

A photograph of a stone wall with a small yellow flower in the foreground. The wall is made of large, irregular stones in shades of grey and brown. A vertical crack runs down the center. In the foreground, there is green grass and a single yellow flower with a thin stem. The text is overlaid on the image.

სვეტლანა ბერიკაშვილი

ქართულ-ბერძნული  
კონტრასტული გრაფიკა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის  
ინსტიტუტი

•

**პროგრამა „ლოგოსი“**

პუბლიკაციები და ღონისძიებები კლასიკური ფილოლოგიის,  
ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სფეროში



ლოგოსი  
თბილისი 2012

**Svetlana Berikashvili**

**Georgian-Greek Contrastive  
Grammar  
(Nominal System)**

სვეტლანა ბერიკაშვილი

ქართულ-ბერძნული კონტრასტული  
გრამატიკა  
(სახელთა სისტემა)

აღნიშნული პროექტი განხორციელდა ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდში (რუსთაველის ფონდი) მოპოვებული გრანტის მეშვეობით (№ Y-01-10). წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა, არ ასახავდეს ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდის (რუსთაველის ფონდის) შეხედულებებს.

This project has been made possible by financial support from the Foundation for Georgian Studies, Humanities and Social Sciences (Rustaveli Foundation) (№ Y-01-10). All ideas expressed herewith are those of the author, and may not represent the opinion of the Foundation itself.

წიგნი გამოდის კვიპროსის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

The book is published thanks to the financial support of the Ministry of Education and Culture of the Republic of Cyprus

რედაქტორი: **სოფიო შამანიდი**

© პროგრამა „ლოგოსი“, 2012

© სვეტლანა ბერიკაშვილი, 2012

ISBN 978-9941-437-15-1

პროგრამა „ლოგოსი“

ილია ჭავჭავაძის გამზირი 13,  
თბილისი, 0179

ტელ.: +995 32 2250258

ფაქსი: +995 32 2221181

ელ-ფოსტა: [logos@greekstudies-tsu.ge](mailto:logos@greekstudies-tsu.ge)

# სარჩევი

## შესავალი

შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზი და კონტრასტული  
ლინგვისტიკა ..... 9

### I თავი

სახელთა ჯგუფები შინაარსის მიხედვით ..... 16

1.1. არსებითი სახელი..... 16

1.2. ზედსართავი სახელი ..... 28

1.3. რიცხვითი სახელი..... 30

1.4. ნაცვალსახელი ..... 37

1.5. არტიკლი..... 42

### II თავი

სახელთა გრამატიკული კატეგორიები ..... 44

2.1. სქესის გრამატიკული კატეგორია..... 45

2.2. რიცხვის გრამატიკული კატეგორია..... 50

2.3. ბრუნვის გრამატიკული კატეგორია ..... 55

### III თავი

სახელთა ბრუნება ..... 88

3.1. არსებითი სახელი..... 88

3.2. ნაცვალსახელი ..... 99

3.3. მსაზღვრელ-საზღვრული ..... 112

დასკვნა..... 133

Summary..... 140

ბიბლიოგრაფია..... 152



## შესავალი

### შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზი და კონტრასტული ლინგვისტიკა

შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზი სხვადასხვა სისტემის მქონე ენებს შორის მეტად მნიშვნელოვანია უნივერსალური ტიპოლოგიური დასკვნების გამოსატანად. სულ სხვადასხვა ენობრივ სისტემას შორის შეიძლება გამოვლინდეს უამრავი ტიპოლოგიური მსგავსება, რომელთა საფუძველზე შეიძლება დავუშვათ საერთო უნივერსალური სისტემის არსებობა. წინამდებარე ნაშრომში განხილულია ქართული და ახალი ბერძნული ენების სახელთა სისტემის შეპირისპირებითი ანალიზი, ანუ ხდება ორი განსხვავებული ენობრივი სისტემის შედარება. აღნიშნული ენები სხვადასხვა ენათა ოჯახებს მიეკუთვნება: ქართული – იბერიულ-კავკასიურს, ხოლო ბერძნული – ინდოევროპულს. მიუხედავად ამისა, მათ შორის ტიპოლოგიური მსგავსებები შეინიშნება. ნებისმიერ ენებს შორის შეპირისპირებითი ანალიზის შედეგად და იმ განსხვავებათა მიუხედავად, რომლებიც ამ ენათა შორის არსებობს, შეიძლება გამოვლინდეს გარკვეული უნივერსალური ნიშან-თვისებებით განსაზღვრული ზოგადი მოდელი, რომელიც სხვადასხვაგვარად წარმოდგება კონკრეტულ ენობრივ სისტემაში.

როგორც ცნობილია, ენების შედარებითი ტიპოლოგია (თავისი ორი უმნიშვნელოვანესი ასპექტით – ენობრივი უნივერსალიებისა და ენების ეთნიკური თავისებურებების პრობლემატიკით) ენათმეცნიერების საკმაოდ ახალი, მაგრამ მეტად პერსპექტიული დარგია. იგი ეხება სხვადასხვა ენობრივ დონეებს. „ტიპოლოგიური ანალიზი ხორციელდება იერარქიული ლინგვისტური დონეების მიხედვით. ეს გულისხმობს რომ ერთმანეთს უნდა შეუდარდეს სხვადასხვა ენის ერთი და იმავე დონის სისტემები (ფონოლოგიური, მორფოლოგიური, სინტაქსური, სემანტიკური). შესაბამისად დგინდება ფონოლოგიური, მორფოლოგიური, სინტაქსური და სემანტიკური უნივერსალიები“ [გამყრელიძე... 2008:402]. ჩვენი კვლევისას საუბარია მორფოლოგიური დონეების, უფრო კონკრეტულად კი სახელთა სისტემის შედარებაზე,



შესაბამისად უნივერსალიებიც, რომელიც გამოვლინდება, მოროფოლოგიური ხასიათის იქნება.

ნაშრომში სახელებთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხის წარმოდგენისას გამოყენებულია სინქრონულ-შეპირისპირებითი მეთოდი, რომელიც დღესდღეობით ერთ-ერთ წამყვან მეთოდად ითვლება. როგორც ცნობილია, ტრადიციულმა ლინგვისტიკამ შეიმუშავა შედარებითი მეთოდები, ძირითადად, მონათესავე ენებს შორის მიმართებების გამოსავლენად და ერთისა ან რამდენიმე ენის ისტორიული განვითარების წარმოსაჩენად, შესაბამისად ტრადიციული ლინგვისტიკის ფარგლებში ენების დიაქრონული შესწავლა ხდება. ჩვენს ნაშრომში კი საუბარი სხვადასხვა ოჯახის ენებს ეხება, რომელთა შეპირისპირება სინქრონულ დონეზე მიმდინარეობს.

შეპირისპირებითი ანალიზის განსახორციელებლად მეტად მნიშვნელოვანია ე. წ. კონტრასტული ლინგვისტიკის როლი, რომელიც შეისწავლის კონკრეტული ენის სტრუქტურებს სხვა ენის შესაბამის სტრუქტურებთან შეპირისპირებით და ამ გზით გამოავლენს მათ შორის არსებულ სტრუქტურულ და სემანტიკურ განსხვავებებს [გამყრელიძე... 2008:432]. კონტრასტული ანალიზი შეიძლება მიესადაგოს ლინგვისტური სტრუქტურის კვლევის ნებისმიერ დონეს, როგორცაა ფონოლოგია, გრაფოლოგია, მორფოლოგია, ლექსიკოლოგია, ფრაზეოლოგია, სინტაქსი და ტექსტოლოგია. ასევე, კორპუსის ლინგვისტიკის გარკვეული ტექნიკები და მეთოდები შეიძლება გამოიყენებოდეს შიდაენობრივი და ენათაშორისი კონტრასტული ანალიზის დროსაც, როგორცაა, მაგალითად, პარალელური ტექსტის ანალიზი.

კონტრასტული ანალიზის დროს შესაძლოა შეირჩეს მუშაობის ორი მოდელი: ა) ხდება რაიმე კონკრეტული თეორიული მოდელის არჩევა და შემდეგ ამ მოდელს მორგებული ორი შესადარებელი სტრუქტურის შეპირისპირებითი ანალიზი ან ბ) კონტრასტული ანალიზი ხდება მხოლოდ იმისთვის, რომ შუქი მოჰფინოს რაიმე კონკრეტულ თეორიულ პრობლემას სათანადო მასალის მოხმობით [სელინკერი/Selinker, 1980:119].

კლასიკური კონტრასტული ანალიზი მოიცავს სამ ეტაპს, რომელიც ხშირად არ არის მკვეთრად განსაზღვრული. ეს ეტაპებია: 1) აღწერა, 2) შეპირისპირება და 3) შედარება, ე. ი. კონტრასტული ანალიზი ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით [ჰალიდეი/Halliday... 1964:113-114].

რისპირებითი ანალიზი შეუძლებელია შესადარებელი დონეების წინასწარი დაწვრილებითი აღწერის გარეშე, რომელიც რა თქმა უნდა, ერთი თეორიული მიდგომის ფარგლებში უნდა მომდინარეობდეს (მაგალითად, ტრადიციული ან ტრანსფორმაციული ან სხვ. გრამატიკის კუთხით). მეორე ეტაპი ძალიან მნიშვნელოვანია, ანუ როდესაც საუბარია შეპირისპირებაზე, უნდა გავარკვიოთ, გრამატიკული სისტემის რომელი ნაწილები უნდა შევუდაროთ ერთმანეთს. ძირითადად, კონტრასტული ლინგვისტიკა გამოყოფს შესადარებელი სისტემების სამ სფეროს, ესენია: 1. ენების სხვადასხვა თანაფარდი სისტემის შედარება, როგორცაა ნაცვალსახელები, არტიკლი, ზმნა და ა. შ. 2. თანაფარდი კონსტრუქციების შედარება, მაგალითად, კითხვითი, უარყოფითი, სახელადი ფრაზები და ა. შ. 3. თანაფარდი წესების შედარება, მაგალითად, მოქმედებითი გვარის ვნებითად გადაქცევა, ზედსართავის ადგილი წინადადებაში და ა. შ. [კრზეჟოვსკი/Krzeszowski... 1990:35-37].

ამ ძირითადი დებულებების გათვალისწინებით სახელთა სისტემის სხვადასხვა საკითხის შეპირისპირებითი ანალიზის დროს მოცემულია ჯერ საკითხის დაწვრილებითი აღწერა, ხოლო შემდეგ სხვადასხვა თანაფარდი სისტემის შედარება.

კონტრასტული კვლევები განკუთვნილია სხვადასხვა ლინგვისტური მოდელებისათვის, როგორცაა ტრადიციული, სტრუქტურული, ტრანსფორმაციულ-წარმომშობი გრამატიკები და ა. შ. ტრადიციული უცხო ენის გრამატიკები იყენებენ კონტრასტულ მიდგომას, როდესაც ხდება სამიზნე ენის სტრუქტურებისა და ფუნქციების შედარება ენა-წყაროსთან. ასეთი შედარებები საკმაოდ მნიშვნელოვანია პედაგოგიური თვალსაზრისით [ნიკელი/Nickel, 1971:4].

წარმოდგენილ ნაშრომში უცხო (ბერძნული) ენის სტრუქტურები აღწერილია მშობლიური ენის შესაბამის სტრუქტურებთან შეპირისპირებით, რაც დაეხმარება ბერძნული ენის შემსწავლელთ უფრო კარგად გაიგონ სახელთა სისტემასთან დაკავშირებული ესა თუ ის საკითხი და პარალელები გაავლონ ქართულ ენასთან. ჩვენი აზრით, უცხო ენების სწავლებისას სასურველია გამოვიყენოთ შედარებით-შეპირისპირებითი მეთოდი არა მხოლოდ ლექსიკურ ნაწილში, არამედ სხვადასხვა გრამატიკული საკითხის სწავლებისას.

კონტრასტული ლინგვისტიკა ჩამოყალიბდა 1950 წელს რობერტ ლადოს მიერ, და ძირითადად დაკავშირებული იყო გამოყენებითი ლინგვისტიკის სხვადასხვა ასპექტის გადაწყვეტასთან. ასე, მაგალითად, რობერტ დი პიეტრო მას იყენებდა უცხო ენების სწავლებისას (იხ. Di Pietro, R.J. (1971) *Language Structures in Contrast*, Newbury House), ბასილ ხატიმი ტექსტის თარგმანზე მუშაობისას (იხ. Hatim, B. (1997) *Communication across Cultures. Translation Theory and Contrastive Text Linguistics*, University of Exeter Press), ხოლო პალ ხელტაი (იხ. Heltai, P. (1988) "Contrastive analysis of terminological systems and bilingual technical dictionaries", *International Journal of Lexicography* Vol. 1(1) pp. 32-40) და რაინხარდ ხარტმანი (იხ. Hartmann, R.R.K. (1991) "Contrastive linguistics and bilingual lexicography", in *Woerterbuecher / Dictionaries / Dictionnaires. International Encyclopedia of Lexicography* ed. by F.J. Hausmann et al. (Vol. III, pp. 2854-2859), De Gruyter) ორენოვანი ლექსიკონების შედგენისას.

ამგვარად, კონტრასტული ლინგვისტიკისადმი განსაკუთრებული ინტერესი გამოწვეულია არა მხოლოდ ცალკეული ენების საკუთრივ თეორიული პრობლემების გადაწყვეტით, არამედ იმიტაც, რომ ის უშუალოდ დაკავშირებულია პრაგმატიკასთან: უცხო ენების სწავლებასთან, თარგმანის თეორიასა და პრაქტიკასთან, ორენოვანი ლექსიკონების შედგენასთან.

თანამედროვე კონტრასტული ლინგვისტიკის ამოცანებში შედის ენებს შორის არსებული განსხვავებების წარმოჩენა და ამის შედეგად საერთო უნივერსალიების დადგენა პრაქტიკული პრობლემების გადასაწყვეტად. სტრუქტურული კონტრასტული კვლევები, რომლებიც 60-იან წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში განვითარდა, თეორიული თვალსაზრისით საკმაოდ მწირია. ისინი ძირითადად ორიენტირებულია პრაქტიკულ საკითხებზე, ხოლო ტრანსფორმაციულ-წარმომშობი კონტრასტული კვლევები უფრო მყარ თეორიულ ბაზას ეფუძნება, თუმცა საკმაოდ შეზღუდული აქვთ პრაქტიკული გამოყენების არეალი [კრზეჟოვსკი/Krzeszowski... 1990:3106].

ჩვენი კვლევა უფრო პრაქტიკულ მიზნებს ემსახურება, ამიტომაც შეპირისპირებითი ანალიზი მოცემულია ტრადიციული სტრუქტურალური კონტრასტული გრამატიკის მოდელის ფარგლებში. შეპირისპირებითი ანალიზი საკმაოდ ხშირად გამოიყენება მეორე ან

უცხო ენის სწავლებისას. ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩარევას (Transfer).<sup>1</sup> მეორე ენის შემსწავლელს ავტომატურად გადა-  
მოაქვს მშობლიური ენიდან წესები ან ნიმუშები, რომლებიც საერთოა  
ორივე ენობრივი სისტემისათვის – ეს არის დადებითი ჩარევა.  
ამასთანავე არსებობს შესაძლებლობა, რომ ერთი ენიდან მეორეში  
გადმოვიდეს წესები ან ნიმუშები, რომლებიც მეორე ენაში არ არსებობს  
და შესაბამისად ამის შედეგად გვექნება ენობრივი შეცდომები – ამ  
შემთხვევაში საუბარია უარყოფით ჩარევაზე [ბელა/Μπέλλα, 2007:61].  
ამ მხრივ დადებითი ჩარევა უადვილებს უცხო ენის შემსწავლელს  
სწავლის პროცესს, ხოლო უარყოფით ჩარევას მივეყვართ შეცდომები-  
საკენ, რომელთა წყარო მშობლიურ ენაში უნდა ვეძიოთ [ლადო/Lado,  
1964:222]. უარყოფითი ჩარევის შედეგად მიღებული შეცდომების  
ანალიზი ასევე შეიძლება გამოგვადგეს სწავლების დროს. ამგვარად,  
მეორე ენის შესასწავლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისეთ  
სახელმძღვანელოებს, რომელიც ეფუძნება სამიზნე ენის სისტემის  
სამეცნიერო აღწერას და პარალელურად გვთავაზობს მის შედარებას  
მოსწავლის მშობლიურ ენასთან [ფრაისი/Fries, 1972:9]. ჩვენი ნაშრომი  
ანალოგიურად, ორი სხვადასხვა ენობრივი სისტემის პარალელურ  
აღწერას ეფუძნება, ყურადღება გამახვილებულია განსხვავებებზე  
მშობლიურ ენასთან, რომელიც სწავლების დროს დიდ სირთულეს  
იწვევს. გარკვეული დასკვნების დროს ვითვალისწინებთ ქ. თბილისის  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის  
ინსტიტუტის სტუდენტებთან ჩატარებული ტესტების შედეგებს.

შედარებით-შეპირისპირებითი დასკვნების საფუძველზე სხვადასხვა  
სისტემის მქონე ენებს შორის შეიძლება გამოვლინდეს ყველა ბუნებრივი  
ენისათვის დამახასიათებელი ზოგადი პრინციპები, რაც „უნივერსალური  
გრამატიკის“ არსებობის საფუძველად შეიძლება მივიჩნიოთ. ნოამ ჩომსკის  
„უნივერსალური გრამატიკის“ თეორიის კვლევა დღესდღეობით ძალიან  
აქტუალურია მსოფლიოს უნივერსიტეტთა ბევრ ლინგვისტურ სკოლაში.  
უკანასკნელი წლების ფსიქოლინგვისტიკის გამოკვლევები მიმართულია  
ადამიანის ტვინის ფუნქციონირების და ადამიანის შემეცნებითი

---

<sup>1</sup> დაწვრილებით ე. წ. ტრანსფერის შესახებ იხ. R. Lado 1957. Linguistics across cultures. Ann Arbor; R. Lado 1964. Language Teaching: a scientific approach. New York.

შესაძლებლობების შესწავლისაკენ. ამ კვლევების ძირითადი მიზანია გამოვლინდეს, თუ როგორ მოქმედებს ადამიანის ტვინი, რა შესაძლებლობები აქვს მას და რა შეფარდებაა ადამიანის ტვინსა და მის შესაძლებლობებს შორის [ჩომსკი/Chomsky, 2000:13]. ზუსტად ამ საკითხების გადაწყვეტას ცდილობს ნ. ჩომსკი ტრანსფორმაციულ-წარმომშობი გრამატიკის შემოღებით, რომლის ძირითადი წესები ეფუძნება ტერმინების: თანდაყოლილი ენობრივი უნარი (linguistic competence – ენობრივი კომპეტენცია) და ენობრივი შესრულება (linguistic performance) დაპირისპირებას [პიტა/Πίτα, 1998:68].

ნოამ ჩომსკის თეორიის მიხედვით, ენა გენეტიკურად განსაზღვრული ფენომენია. ენა ადამიანში თანდაყოლილი ნიჭის სახით არის მოცემული, რომელსაც საფუძვლად უდევს ყველა ბუნებრივი ენისათვის დამახასიათებელი ზოგადი პრინციპები – „უნივერსალური გრამატიკა“ [გამყრელიძე... 2008:486]. ბევრმა ფსიქოლოგმა თეორიულად დაუშვა რთული, გენეტიკურად დაპროგრამირებული ლინგვისტური მექანიზმის არსებობა ადამიანის ტვინში. საუბარია ენის ათვისების მექანიზმზე (Language Acquisition Device), რომელიც „პატარა ენათმეცნიერებით მოქმედებს ტვინში“ [ბელა/Μπέλλα, 2007:65].

ნოამ ჩომსკის თეორიის მიხედვით ბავშვს აქვს გარკვეული თანდაყოლილი უნარი დაამუშავოს ინფორმაცია და შექმნას შიდა სტრუქტურები. ამის წყალობით ის აგებს მშობლიური ენის გრამატიკას. ანალოგიურად ხდება მეორე ენის გრამატიკის აგებაც ენათაშორისი სტრუქტურების გამოყენებით. ენათაშორისი თეორია (Interlanguage Theory) ეფუძნება ნ. ჩომსკის აზრებს უნივერსალური გრამატიკის შესახებ. ამ თეორიის მიხედვით განსაზღვრული სტრატეგიები, რომელსაც იყენებს მეორე ენის შემსწავლელი, მსგავსია იმისა, რასაც იყენებს ბავშვი მშობლიური ენის ათვისებისას.<sup>2</sup>

რა თქმა უნდა, ეს დებულება მხოლოდ ჰიპოთეზურ ხასიათს ატარებს. მაგრამ, ჩვენი აზრით, ქართული და ახალი ბერძნული ენების შედარებითი ანალიზისას ვლინდება ისეთი მსგავსებები, რაც უშვებს ამ ენებში უნივერსალური შიდა სტრუქტურების არსებობას. სწავლები-

---

<sup>2</sup> იხ. S. Corder 1981. Formal simplicity and functional simplification in second language acquisition. In R. Andersen, (ed.) *New Dimensions in Second Language Acquisition Research*. Mass.

სას ყოველთვის მიზანშეწონილია უცხო ენის სტრუქტურების აღწერა მშობლიური ენის შესაბამის სტრუქტურებთან შეპირისპირებით. „ორი ან მეტი ენის თანაფარდ სტრუქტურათა შეპირისპირებითი შესწავლისას ცხადად წარმოჩინდება მათი მსგავსება–განსხვავებანი, რაც საფუძვლად შეიძლება დაედოს უფრო ფართო უნივერსალურ–ტიპოლოგიურ დასკვნებს“ [გამყრელიძე... 2008:432].

# I თავი

## სახელთა ჯგუფები შინაარსის მიხედვით

### 1. 1. არსებითი სახელი

არსებითი სახელი საგნის სახელია, როგორც ქართულ, ასევე ბერძნულ ენაშიც. ტერმინი წარმომდგარია სიტყვიდან *არსი*, ანუ ისეთ რამეს აღნიშნავს, რაც რეალურად არსებობს. ბერძნული ტერმინი *ουσιαστικόν* ასევე მომდინარეობს სიტყვიდან *ουσία*, რაც *არსს* ნიშნავს. ქართულში არსებით სახელთა შემდეგი ჯგუფები გამოიყოფა: სულიერთა და უსულოთა, ადამიანისა და არაადამიანისა (ვინ ჯგუფისა და რა ჯგუფისა), კონკრეტული და აბსტრაქტული, საკუთარი და საზოგადო, კრებითი და ნივთიერებათა სახელები. ახალ ბერძნულში შინაარსის მიხედვით შემდეგი ჯგუფები გვაქვს: კონკრეტული და აბსტრაქტული, საკუთარი და საზოგადო, კრებითი სახელები. როგორც ვხედავთ, ახალი ბერძნულის გრამატიკებში ცალკე ჯგუფებად არ გამოიყოფა სულიერთა და უსულოთა სახელები, ადამიანისა და არაადამიანისა, ნივთიერებათა სახელები. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ბერძნული ენის სახელებს არ გააჩნიათ სულიერი და უსულო საგნების ანდა ნივთიერებათა სახელების გაგება, ჩვეულებრივ ცალკე ჯგუფად ეს სახელები წარმოდგენილი არაა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მხრივ ბერძნული ენის გრამატიკებში არაერთგვაროვნებას ვხვდებით. ასე, მაგალითად, ხრისტოს კლერისის და გიორგიოს ბაზინიოტისის გრამატიკაში ყველა სახელი ორ ჯგუფადაა დაყოფილი: საკუთარი და საზოგადო. თავის მხრივ საზოგადო იყოფა კიდევ ორ ჯგუფად: კონკრეტული და აბსტრაქტული. საკუთარ სახელებში შედის პირთა, ცხოველების, საგნების, ადგილის, დღეების, თვეების და დღესასწაულების სახელწოდებები. საზოგადო კონკრეტულ სახელებში წარმოდგენილია: საგნების კლასის, ერთადერთი საგნების გამომხატველი, ნივთიერებათა და კრებითი სახელები. საზოგადო აბსტრაქტული სახელებიც თავის მხრივ ორად იყოფა: აბსოლუტური აბსტრაქტული და გრადაციით აბსტრაქტული სახელები [კლერისი/Κλαίρις... 1998:4-8]. რაც შეეხება, ადამიანთა და არაადა-

მიანთა სახელებს, სახელთა ეს ჯგუფი დამახასიათებელია ქართული ენისათვის. ცნობილია, რომ ქართულ ენაში ის სიტყვები, რომლებიც აღნიშნავენ ადამიანს, სხვა სახელებისაგან, იმითაც გამოიყოფა, რომ ამათზე ითქმის ვინ, ყველა დანარჩენზე კი – რა. ვინ მოვიდა? ამ კითხვის პასუხი შეიძლება იყოს: ბავშვი, მეზღა და მისთ. მაშინ როდესაც ცხოველებზე, ფრინველებსა და სხვა საგნებზე რა ითქმის: რა მოკალი? – ხოხობი, იხვი, ირემი და სხვ., რა მოიტანე? კალამი, ფანქარი, წიგნი და სხვა [შანიძე, 1980:38]. ამგვარი დაყოფა ვინ ჯგუფისა და რა ჯგუფის სახელებად ბერძნული ენისათვის არ არის დამახასიათებელი, ვინაიდან ბერძნულში ყველა სულიერი სახელი პასუხობს კითხვაზე – ვინ, ხოლო უსულო კითხვაზე – რა.

განვიხილოთ თითოეული ჯგუფი ცალ-ცალკე.

1. სულიერთა და უსულოთა სახელები. სულიერ სახელებს მიეკუთვნება ცოცხალ არსებათა სახელები: ადამიანები, ცხოველები, ფრინველები და ა. შ. უსულოთა სახელებს მიეკუთვნება უსულო საგნები. ანალოგიურადაა ახალ ბერძნულში, გვაქვს ἄψυχα (სულიერი) და ἀψυχα ὄντα (უსულო), გაგება იგივეა, მაგრამ გრამატიკებში ცალკე ჯგუფად წარმოდგენილი არაა.

2. ადამიანისა და არაადამიანისა (ვინ-ჯგუფისა და რა-ჯგუფისა). ქართულისათვის ეს დამახასიათებელი ჯგუფია. იგი დაკავშირებულია გრამატიკული კლასების რაოდენობასთან იბერიულ-კავკასიურ ენებში. ასე, იბერიულ-კავკასიურ ენებში ოთხი ან სამი გრამატიკული კლასი გამოიყოფა: პირველი მოიცავს მამაკაცის აღმნიშვნელ სახელებს (მამა, პაპა...), მეორეში – მეტწილად ქალი ივარაუდება (დედა, ბებია...), მესამესა და მეოთხეში ცხოველთა, მცენარეთა, სხვა კონკრეტულ თუ განწყებულ საგანთა სახელები. ამრიგად, პირველი ორი კლასი ამჟამად ადამიანს (პიროვნებას) გულისხმობს, მესამე და მეოთხე – ნივთის კატეგორიას განეკუთვნება [ჩიქობავა, 1979:92]. ანუ გვაქვს ადამიანის და არაადამიანის სახელები. ბერძნულს ანალოგიური გაგება არ გააჩნია.

3. კონკრეტული და აბსტრაქტული. ა. შანიძის მიხედვით კონკრეტული სახელი აღნიშნავს არსებას ან ისეთ ფიზიკურ ობიექტს, რომელსაც გრძნობათა ორგანოებით აღვიქვამთ.



ხოლო აბსტრაქტული (განყენებული) სახელი აღნიშნავს ისეთ რამეს, რომელსაც ნივთიერი საგანი არ გააჩნია [შანიძე, 1980:38]. ანალოგიურ განმარტებას ვხვდებით ბერძნული ენის გრამატიკებში. მ. ტრიანდაფილიდისის მიხედვით, συγκεριμένα (კონკრეტული) ეწოდება არსებით სახელს, თუ ის აღნიშნავს პირს, ცხოველს ან საგანს, αφηρημένα (აბსტრაქტული) კი ეწოდება არსებით სახელს, თუ ის აღნიშნავს მოქმედებას, მდგომარეობას ან თვისებას [ტრიანდაფილიდისი/Τριανταφυλλίδης, 2002:215]. აბსტრაქტული სახელების დაყოფა აბსოლუტურ და გრადაციით აბსტრაქტულ სახელებად, რაც ბერძნული ენის ზოგიერთ გრამატიკაშია წარმოდგენილი, მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია, ვინაიდან ეს დაყოფა ძალზე პირობითია და ყოველთვის არ გამოხატავს სახელის ნამდვილ ვითარებას. აბსოლუტური და გრადაციით აბსტრაქტული სახელების განსხვავება ხდება იმისდა მიხედვით, დაერთვის თუ არა ამ სახელებს რაოდენობის მიმითებელი განსაზღვრება – πολλή (ბევრი) ან λίγη (ცოტა). თუ დაერთვის, სახელი იქნება გრადაციით აბსტრაქტული, ხოლო თუ არ დაერთვის – აბსოლუტური აბსტრაქტული. მაგალითად, აბსოლუტურის მაგალითია ειρήη (მშვიდობა), αιτία (მიზეზი) და სხვ., ხოლო გრადაციით აბსტრაქტულის πίστη (რწმენა), συχνότητα (სიხშირე), επιθυμία (სურვილი) და ა. შ. [კლერისი/Κλαίρη... 1998:8].

4. საკუთარი და საზოგადო. საკუთარია ის არსებითი სახელი, რომელიც ჰქვია ერთ რომელიმე საგანს. საკუთარ სახელებში შედის გეოგრაფიული სახელები ანუ ტოპონიმები, ადამიანთა სახელები და გვარები, ფსევდონიმები, ცხოველთათვის შერქმეული სახელები, წიგნების, ჟურნალ-გაზეთების, გემების და სხვა სახელწოდებანი. საზოგადოა ისეთი სახელი, რომელიც აღნიშნავს არა ერთ გარკვეულ, არამედ მრავალ ერთგვარ საგანს. ასევეა ბერძნულ ენაშიც, საკუთარია ის არსებითი სახელი, რომელიც აღნიშნავს განსაზღვრულ პირს, ცხოველს ან საგანს. ამგვარად, საკუთარია: ადამიანთა სახელები და გვარები, სახელები, რომლებსაც არქმევენ ცხოველებს ან საგნებს (გემებს, თვითმფრინავებს და ა. შ.), აგრეთვე გეოგრაფიული სახელები ანუ ტოპონიმები. საზოგადოა ისეთი სახელი,

რომელიც აღნიშნავს ერთგვარ პირს, ცხოველს თუ საგანს, ასევე განყენებულ ცნებებს [ტრიანდაფილიდისი/Τριανταφυλλίδης, 2002:213].

ახალი ბერძნული ენის საკუთარ სახელებთან დაკავშირებით უნდა შევეხოთ შემდეგ საკითხებს: 1) საკუთარი სახელების მართლწერის საკითხი; 2) ძველი ბერძნული საკუთარი სახელების გადმოცემა ახალ ბერძნულში. აქვე გვსურს სათანადოდ წარმოვადგინოთ ახალი ბერძნული საკუთარი სახელების გადმოცემა ქართულში. როგორც ცნობილია, ძველი ბერძნული სახელების ქართულად გადმოცემასთან დაკავშირებით საკმაოდ მდიდარი ლიტერატურა არსებობს და სხვადასხვა ტრადიციას დამკვიდრებული. რაც შეეხება ახალ ბერძნულს, ამ მხრივ ჯერ შესაბამისი ნორმები არ მოგვეპოვება.

- ა) საკუთარი სახელების მართლწერა. საკუთარი სახელები ბერძნულ ენაში იწერება მთავრული ასოთი. მაგალითად, Ελένη (ელენე), Δημήτριος (დიმიტრი), Πετρόπουλος (პეტროპულოსი), Ελλάδα (საბერძნეთი) და სხვ. გარდა ზემოთ აღნიშნული ჯგუფებისა, საკუთარ სახელებად ითვლება აგრეთვე: ა) ეროვნების აღმნიშვნელი სახელები: Γάλλος (ფრანგი), Έλληνας (ბერძენი), Γεωργιάδης (ქართველი) და სხვ.; ბ) წარმომავლობის სახელები, ე. ი. სახელები, რომლებიც აღნიშნავენ ადამიანს, რომელიც წარმოშობით არის ამა თუ იმ კონკრეტული ადგილიდან. მაგალითად, Ανατολίτης (აღმოსავლელი), Θρακιάτης (თრაკიელი), Φλαρεντίνος (ფლორენციელი), Θεσσαλονικιάς (თესლონიკელი) და ა. შ.; გ) კვირის დღეების, თვეებისა და დღესასწაულების სახელწოდებები: Αύγουστος (აგვისტო), Κυριακή (კვირა დღე), Χριστούγεννα (ქრისტეს შობა) და სხვ.; დ) ლიტერატურულ ნაწარმოებთა და ხელოვნების ნიმუშების სახელწოდებები: η Ιλιάδα του Ομήρου (ჰომეროსის ილიადა). ორი კომპონენტისაგან შემდგარ ტოპონიმებში ორივე დაიწერება მთავრული ასოთი: Άνα Βόλος (ანო ვოლოსი), Νέα Φιλαδέλφεια (ნეა ფილადელფია) და სხვ. მთავრული

ასოთი იწერება აგრეთვე სიტყვები: Θεός (ღმერთი), Παναγία (ღვთისმშობელი), Άγιο Πνεύμα (წმინდა სული) და მათი სინონიმები. საკუთარი სახელებიდან ნაწარმოები ზედსართავი სახელები კი პატარა ასოთი დაიწერება. მაგალითად, ομῆρικῆ πίσητου (ჰომეროსის პოეზია), πλατωνικοῖ διάλογοι (პლატონის დიალოგები), χριστιανοῖ (ქრისტიანები) და სხვ. [დაწვრილებით იხ. ტრიანდაფილიდისი/Τριανταφυλλίδης, 2002:213-215].

- ბ) ძველი ბერძნული საკუთარი სახელების გადმოცემა ახალ ბერძნულში<sup>1</sup>. ძველ ბერძნულს ახალი ბერძნულისაგან სრულიად განსხვავებული ბრუნება ახასიათებდა. ამ საკითხს უფრო ვრცლად, ბრუნების სისტემის წარმოდგენისას შევეხებით. ახლა კი მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ძველ ბერძნულში, როგორც ცნობილია, ბრუნების სამი ტიპი ანუ სამი კანკლედობა იყო. I კანკლედობას განეკუთვნებოდა α-ფუძიანი სახელები, II კანკლედობას ის სახელები, რომელთა ფუძე ბოლოვდება ο-ზე, III კანკლედობა კი აერთიანებდა თანხმოვანფუძიან, მარტივ ხმოვნებზე დაბოლოებულ სახელებსა და დიფთონგებზე დაბოლოებულებს [გიორგობიანი... 2007:25-26]. შესაბამისად ახალში ძველი ბერძნულის საკუთარი სახელების გადმოცემისას, I და II კანკლედობის სახელები ისევე გადმოდის და იბრუნება, როგორც სხვა არსებითები. ხოლო მესამე კანკლედობის სახელების გადმოცემასთან დაკავშირებით, სამი თვალსაზრისი არსებობს: 1) ძველ ბერძენ მოღვაწეთა სახელების შეცვლის უფლება არავის აქვს. შესაბამისად, ძველ ბერძნულ საკუთარ სახელებს ტრადიციული ფორმა და ბრუნების ტიპი უნდა შევუნარჩუნოთ. მაგალი-

---

<sup>1</sup> დაწვრილებით აღნიშნულ საკითხს შეგიძლიათ გაეცნოთ: რ. გორდეზიანი, ი. დარჩია, ს. შამანიდი 2001. ძველი და ახალი ბერძნული. შედარებითი გრამატიკა. თბილისი; Γ. Μηνάς 1995, 2001. Βελτιώστε τα ελληνικά σας. Λευκωσία.

თად, ο Πλάταν – τος Πλάτανος. 2) ძველი ბერძნული საკუთარი სახელები უნდა მოვარგოთ თანამედროვე ენის სისტემას. შესაბამისად, ძველი ბერძნულის III კანკლედობის საკუთარი სახელები უნდა გადმოვიტანოთ -აც, -იჯ დაბოლოებებით და უნდა ვაბრუნოთ როგორც ამავე ბოლოკიდურიანი სახელები. მაგალითად, ο Πλάτανος – τος Πλάτωνα. 3) ძველ ბერძნულ საკუთარ სახელებს სახელობით ბრუნვაში უნდა შევუნარჩუნოთ ტრადიციული ფორმა, ხოლო სხვა ბრუნვებში ახალი ბერძნული სისტემის შესაბამისად უნდა ვაბრუნოთ. მაგალითად, ο Πλάταν – τος Πλάτωνα. ამ სამი მოსაზრებიდან დღეისათვის ყველაზე მეტად მეორე თვალსაზრისს უჭერენ მხარს [გორდეზიანი... 2001:54-55].

- გ) ძველი ბერძნული საკუთარი სახელების გადმოცემა ქართულში. აღნიშნული საკითხი ანუ ბერძნული საკუთარი სახელების გადმოცემა თვით თანამედროვე ბერძნულშიც ძალზე მწვავედ დგას, რომ აღარაფერი ვთქვათ სხვა ენებზე. ქართულად ძველი ბერძნული სახელების გადმოცემის რამდენიმე ტრადიცია არსებობს. „მკვლევართა ერთი ნაწილი ვარაუდობს, რომ აუცილებელია გავითვალისწინოთ ევროპული ტრადიცია და სახელობითი გადმოვიტანოთ სახელობითი ბრუნვის ფორმით; მეორენი ემხრობიან ამ აზრს, მაგრამ გამონაკლისად მიიჩნევენ რა -აც და -იჯ დაბოლოებიან სახელებს მათი ჟღერადობის გამო (ისინი ნათესაობითი ბრუნვის ასოციაციას იწვევენ, მაგ.: „ალკიბიადესი“), გვთავაზობენ მხოლოდ ამ ტიპის სახელები გადმოვიტანოთ ასიგმატურად („ალკიბიადე“); სხვანი გვირჩევენ მივსდითოთ XVIII-XX საუკუნეებში გაკვალულ გზას, როდესაც ანტიკურ სამყაროსთან ზიარება უპირატესად რუსულენოვანი გზით ხორციელდებოდა, რის შედეგადაც ბერძნულ და ლათინურენოვან სახელთა ფუძისეული ფორმით გადმოღების ტენდენცია დომინირებდა (ჰომერი, არ-

ტემიდა, ვენერა და სხვა); არსებობს კიდევ ერთი, უაღრესად მნიშვნელოვანი ტრადიცია, რომელიც ბერძენთა და ქართველთა მრავალსუკუნოვანი უშუალო კონტაქტების შედეგად დამკვიდრდა: საკუთარ სახელთა წოდებითი ბრუნვის ფორმით გადმოტანის წესი (ალექსანდრე, სოკრატე, არისტოტელე), რაც სმენით მიღებულ ინფორმაციას ემყარება. თუმცა აქ გეოგრაფიულ სახელთა წარმოდგენის პრობლემა იჩენს თავს“ [ტონია, 2007:6-7]. აქვე მკვლევარი მართებულად შენიშნავს, რომ, რა თქმა უნდა, ამ საკითხის უნიფიცირება შეუძლებელია და რომ ეს საკითხი სხვა ქვეყნებშიც მოუგვარებელია. ჩვენ დაწვრილებით აღარ შევხებით ქართულში ძველი ბერძნული სახელების გადმოცემის წესებს, რადგანაც ამასთან დაკავშირებით მდიდარი ლიტერატურა არსებობს,<sup>2</sup> და ძირითადად ახალი ბერძნულის საკუთარი სახელების გადმოცემას განვიხილავთ.

დ) ახალი ბერძნული საკუთარი სახელების გადმოცემა ქართულში. ახალი ბერძნული საკუთარი სახელების გადმოცემისას ქართულში ძირითადად სარგებლობენ იმავე პრინციპებითა და წესებით, რაც ძველი ბერძნული ენისათვის იყო შემოღებული. აქ დავიმოწმებთ მკვლევარს მ. მჭედლიძეს, რომელიც აღნიშნავს, რომ „უცხო სახელთა გადმოცემის ტრადიცია სხვადასხვა ენაში სხვადასხვაა, რაც, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, არა იმდენად უცხო ენის, არამედ უპირველეს

---

<sup>2</sup> დაწვრილებით იხ. შემდ. კ. გიგინიშვილი, რედ. ივ. გიგინიშვილი, აკ. ურუშაძე, მ. ჭაბაშვილი 1980. ბერძნულ და რომაულ პირთა და გეოგრაფიული სახელების ქართულად გადმოტანის წესები. *ბერძნული და რომაული საკუთარი სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი*. თბილისი; ს. ყაუხჩიშვილი 1925. ბერძნული მამაკაცების სახელების გადმოცემისათვის ქართულში. *ივ. ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი კრებული*. თბილისი; ნ. ტონია 2007. რეკომენდაციები ანტიკური ხანის საკუთარ სახელთა ქართულად გადმოტანისათვის. თბილისი; მ. მჭედლიძე 2005. ძველ ბერძნულ -ოც, -აც, -იჯ დაბოლოებთან პირის სახელთა გადმოცემისათვის ქართულში. ლოგოსი. *წელიწადური ელინოლოგიასა და ლათინისტიკაში*. 3. თბილისი, 271-279 და სხვ.

ყოვლისა, მშობლიური ენის ბუნებრივ მონაცემებს ეყრდნობა“ [მჭედლიძე, 2005:271], ასე რომ ჩვენი მთავარი პრინციპიც სწორედ მშობლიური ენის მონაცემებს ეყრდნობა. ყველა საკუთარი სახელი უნდა გადმოვიტანოთ სახელობითის ფორმით, გარდა ტრადიციად ქცეული სახელებისა, რომელიც ქართულში წოდებითის ფორმითაა შემოდებული, როგორცაა, მაგალითად, პეტრე, ივანე და სხვ. ეს სახელები ძველი ბერძნულიდანაა დამკვიდრებული, ამიტომ ასეთი სახელების გადმოცემისას უნდა ვიხელმძღვანელოთ ძველი ბერძნულიდან სახელების გადმოცემის ძირითადი პრინციპებით. გვარების გადმოცემის შემთხვევაში, აუცილებელია მათი სახელობითის ფორმით ხმარება, ვინაიდან ძალიან ხშირად, განსაკუთრებით წიგნების ავტორების სახელები მოცემულია ნათესაობით ბრუნვაში, მაგალითად, Ν. Καζαντζάκη, Αναφορικά στον Γκρέκο (ნ. კაზანძაკისი, აღსარება გრეკოსთან), ბერძნულ გვარებს კი სქესების გაგება ახლავს, ამიტომ იმ შემთხვევაში, როდესაც ჩვენ ქართულად გადმოგვაქვს ფორმა კაზანძაკი, ბერძნულად იგი მდედრობითი სქესის აღმნიშვნელია, შესაბამისად ამ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად სასურველია გვარების გადმოტანა სახელობითის ფორმით.

**ახალი ბერძნულის ანბანი და მისი შესაბამისი  
გადმოცემა ქართულში**

ასო	სახელწოდება	შესაბამისი ქართული ბგერა
<b>A α</b>	άλφα	ა
<b>B β</b>	βήτα	ბ
<b>Γ γ</b>	γάμμα	ღ
<b>Δ δ</b>	δέλτα	ძ
<b>E ε</b>	έψιλον	ე
<b>Z ζ</b>	ζήτα	ზ
<b>H η</b>	ήτα	ო
<b>Θ θ</b>	θήτα	თ
<b>I ι</b>	ιώτα	ი
<b>K κ</b>	κάππα	კ
<b>Λ λ</b>	λάμδα	ლ
<b>M μ</b>	μι	მ
<b>N ν</b>	νι	ნ
<b>Ξ ξ</b>	ξι	ქს
<b>O ο</b>	όμικρον	ო
<b>Π π</b>	πι	პ
<b>P ρ</b>	ρο	რ
<b>Σ σ ς</b>	σίγμα	ს
<b>T τ</b>	ταυ	ტ
<b>Υ υ</b>	ύψιλον	ი
<b>Φ φ</b>	φι	f
<b>X χ</b>	χι	ხ, ჰ
<b>Ψ ψ</b>	ψι	ფს
<b>Ω ω</b>	ωμέγα	ო

ახალი ბერძნულის სპეციფიკური ბგერები ქართულში შემდეგნაირად უნდა გადმოვიდეს:

1. δ–ს შესაბამისი ბგერა ქართულში არ მოგვეპოვება. მის ანალოგიურ ბგერას ვხვდებით ინგლისურ ენაში th-ს სახით, მაგალითად, this, that... ბერძნული სახელების ან გვარების ქართულად გადმოცემის შემთხვევაში, იგი გადმოვა დ ბგერის

სახით. მაგალითად, Δρακοπίσλος – დრაკოპულუ, Διοσῆσις – დიონისიოსი და ა. შ.

2. θ ბერას δ-ს მსგავსად შეესაბამება ინგლისური th ისეთ სიტყვებში, როგორცაა, მაგალითად, theme, theory... ბერძნული სახელებისა ან გვარების ქართულად გადმოცემის შემთხვევაში, იგი გადმოვა თ ბერის სახით. მაგალითად, Θεοτόκος – თეოტოკისი, Θεοφάνης – თეოფანისი... ანალოგიურად გადმოვა გეოგრაფიული სახელებიც, მაგალითად, Θεσσαλονίκη – თესალონიკი და ა. შ.

3. ქართულში φ ბერის შესატყვისი ბერა არ გვაქვს. იგი გამოითქმის ინგლისური f ან რუსული ф ბერის მსგავსად. საკუთარი სახელების ქართულად გადმოცემისას მას შესატყვისება ბერა ფ, მაგალითად, Φαμάκης – ფარმაკისი და სხვ.

### დიგრაფები, დიფტონგები<sup>3</sup>, ასომუხამებები

დიგრაფები, დიფტონგები, ასომუხამებები	შესაბამისი ქართული ბერა
ou	უ
αι	ე
ει	ი
οι	ი
υι	ი
γκ	გ, ნგ
γγ	ნგ
γχ	ნჰ, ნხ
μπ	ბ, მბ
ντ	დ, ნდ
τζ	ძ
τσ	ც
αυ	ავ
ευ	ევ

<sup>3</sup> დიფტონგების გადმოცემისას ორი ხმოვანი ბერა ერთ მარცვლად გამოითქმის. მაგალითად, αι, αη – გამოითქმის როგორც აე. შესაბამისად სირთულეს საკუთარი სახელების გადმოცემისას აქ არ ვხვდებით.



1. თანხმოვანი დიგრაფი γκ სიტყვის თავში გამოითქმის როგორც გ, სიტყვის შუაში გამოითქმის როგორც ნგ.
2. თანხმოვანი დიგრაფი μπ სიტყვის თავში გამოითქმის როგორც მბ, სიტყვის შუაში გამოითქმის როგორც მბ. თუმცა ბერძნული საკუთარი სახელების გადმოცემისას, თუ თანხმოვანი დიგრაფი μπ-ს შემდეგ გვხვდება დ ბგერის აღმნიშვნელი ხმოვნები ან ხმოვანი დიგრაფები, მაშინ ქართულად გადმოდის მბ-ს სახით. მაგალითად, Ολυμπία – ოლიმპია და სხვ.
3. თანხმოვანი დიგრაფი ντ სიტყვის თავში გამოითქმის როგორც დ, სიტყვის შუაში გამოითქმის როგორც ნდ. აქაც თანხმოვანი დიგრაფი μπ-ს მსგავსად, თუ ντ-ს მოჰყვება ი ბგერის აღმნიშვნელი ხმოვნები ან ხმოვანი დიგრაფები, მაშინ ქართულად გადმოდის ნტ-ს სახით. მაგალითად, Μόντης – მონტისი, მაგრამ Αντρέας – ანდრეასი და სხვ.

ვინაიდან, ახალი ბერძნული ძველისაგან განსხვავებით ცოცხალი ენაა, ამიტომ აქ ჩნდება მეორე საკითხიც, თუ როგორ უნდა გადმოვიტანოთ ქართული საკუთარი სახელები ბერძნულად. აქაც რამდენიმე წესს უნდა შევხებით:

1. ახალ ბერძნულ ენაში გვხვდება დ-ს აღმნიშვნელი სამი ასო-ბგერა: η, ι, υ და სამი ხმოვანი დიგრაფი: ει, οι, υι, შესაბამისად ქართული საკუთარი სახელების ახალ ბერძნულად გადმოცემისას, სასურველია შემოვიფარგლოთ ერთი დ-თი: ι ასოთი. განსაკუთრებით ქართული გვარების ან ტოპონიმების გადმოცემის შემთხვევაში, მაგალითად, ასათიანი – Ασπιάνι, მინაშვილი – Μινασπιλι, კახეთი – Κάχეთი, სიღნაღი – Σιγνάγι და ა. შ. ქალების საკუთარი სახელები, რომელიც მთავრდება ფ-ზე, მაგალითად, ეკატერინე, ირინე და ა. შ. ბოლოში დაიწერება η ასოთი: Αικατερίνη, Ειρήνη, ვინაიდან η ბგერა მდებარეობითი სქესის დაბოლოებას წარმოადგენს და მსგავსი სახელები ბერძნულშიც მოიპოვება.
2. ბ-ზე დაწყებული სახელები და გვარები დაიწერება თანხმოვანი დიგრაფით: μπ, მაგალითად, ბერიკაშვილი – Μπερικασπιლი, ბორის – Μπόρις... დ-ზე დაწყებული სახელები და გვარები დაიწერება თანხმოვანი დიგრაფით: ντ, გამონაკლისის შემთხვევაში ტრადიციით დამკვიდრებული სახელები დაიწერება δ ასოთი, მაგალითად, დათუაშვილი – Νταουასπιლი, მაგრამ დავით – Δαβίδ... გ-ზე

დაწეული სახელები და გვარები დაიწერება თანხმოვანი დიგრაფით:  $\gamma\kappa$ , მაგალითად, გელაშვილი – Γκელაშβίλι, გოჩა – Γκότσα, გამონაკლისია სახელი გიორგი, რომელიც  $\gamma$ -თი იწერება Γιάργιჯ.

3. ბერძნულში არ არსებობს ქართულის სპეციფიკური შემდეგი ასო-ბგერები:  $\text{ჟ, შ, ზ, წ, ჭ, ჯ}$ . ეს ბგერები შემდეგნაირად დაიწერება:

ა) ერთნაირად გამდოიცემა  $\text{შ, ჟ}$  და  $\text{ჯ}$ :  $\text{შ}$  –  $\tau\zeta$ , მაგალითად, ჟორჟოლიანი – Τζορτζοლიάνι,  $\text{ჯ}$  –  $\tau\zeta$ , მაგალითად, ჯანაშია – Τζανασιά. ბ)  $\text{შ}$  –  $\sigma$ , მაგალითად, შანშიაშვილი – Σανσιασβίλι. გ) ერთნაირად გადმოიცემა  $\text{ზ, ც, წ}$  და  $\text{ჭ}$ :  $\text{ზ}$  –  $\tau\sigma$ , მაგალითად, ჩადუნელი – Τσαντουნέλι,  $\text{წ}$  –  $\tau\sigma$ , მაგალითად, წიკლაური – Τσικλαούρι,  $\text{ჭ}$  –  $\tau\sigma$ , მაგალითად, ჭავჭავაძე – Τσαβτσαβιάძε. რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ ძირითადი დებულებებია, და შეიძლება მრავალი სხვა გამონაკლისიც დაიძებნოს.

5. კრებითი და ნივთიერებათა სახელები. კრებითა სახელი, რომელიც აღნიშნავს ადამიანთა, ცხოველთა ან ფრინველთა კრებულს. ზოგიერთი სიტყვა ერთ ცალკე სიტყვასაც შეიძლება აღნიშნავდეს და კრებულსაც. ნივთიერებათა სახელები კი ნივთიერებას აღნიშნავენ. ანალოგიურადაა წარმოდგენილი ამ სახელების დეფინიცია ახალი ბერძნული ენის გრამატიკებშიც. კრებითი ეწოდება არსებით სახელს, რომელიც აღნიშნავს პირთა ან საგანთა ერთობლიობას, კრებითი სახელი მრავლობითი რიცხვისაგან იმით განსხვავდება, რომ მრავალ ერთგვაროვან პირს ან საგანს გამთლიანებულად გადმოცემს, ხოლო მრავლობითი კი მათ ერთმანეთისაგან განცალკევებულად წარმოაჩენს. ნივთიერებათა სახელი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ახალი ბერძნულის ყველა გრამატიკაში ცალკე არ არის წარმოდგენილი.

სქემის სახით პარალელურად წარმოვადგენთ არსებითი სახელის ჯგუფებს შინაარსის მიხედვით ქართულ და ახალ ბერძნულ ენებში.

## არსებითი სახელის ჯგუფები შინაარსის მიხედვით

ქართული	ახალი ბერძნული
სულიერთა და უსულოთა	სულიერი* და უსულო*
ადამიანისა და არაადამიანისა	-----
კონკრეტული და აბსტრაქტული	<p>კონკრეტული და აბსტრაქტული</p>
საკუთარი და საზოგადო <ul style="list-style-type: none"> <li>ა) გეოგრაფიული ანუ ტოპონიმები</li> <li>ბ) ადამიანთა სახელები და გვარები, ფსევდონიმები</li> <li>გ) ცხოველთათვის შერქმეული სახელები</li> <li>დ) წიგნების, ჟურნალ-აზეთების, ლიტერატურული ნაწარმოებების, ხელოვნების ნიმუშების სახელები</li> <li>ე) გემების, თვითმფრინავების და ა.შ. სახელები</li> <li>ვ) კვირის დღეები, თვეები</li> </ul>	საკუთარი და საზოგადო <ul style="list-style-type: none"> <li>ა) გეოგრაფიული ანუ ტოპონიმები</li> <li>ბ) ადამიანთა სახელები და გვარები, ფსევდონიმები</li> <li>გ) ცხოველთათვის შერქმეული სახელები</li> <li>დ) წიგნების, ჟურნალ-გაზეთების, ლიტერატურული ნაწარმოებების, ხელოვნების ნიმუშების სახელები</li> <li>ე) გემების, თვითმფრინავების და ა.შ. სახელები</li> <li>ვ) კვირის დღეები, თვეები, დღესასწაულები</li> <li>ზ) ეროვნების აღნიშვნელი სახელები</li> <li>თ) წარმომავლობის სახელები</li> </ul>
კრებითი და ნივთიერებათა	კრებითი და ნივთიერებათა* <sup>4</sup>

### 1. 2. ზედსართავი სახელი

ქართულ ენაში ზედსართავი ჰქვია ისეთ სიტყვას, რომელიც არსებითი სახელის რაიმე ნიშანს ასახელებს. ბერძნულში ზედსართავი სახელი აღნიშნავს საგნის თვისებას ან რაოდენობას. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბერძნულის ზედსართავ სახელებში რიცხვითი სახელებიც შედის. ქართულ ენაში ზედსართავი სახელი ორ ჯგუფად

<sup>4</sup> ცხრილში ვარსკვლავით აღნიშნულია ის სახელები, რომლის გაგება ბერძნულ ენას გააჩნია, მაგრამ ცალკე ჯგუფებად გრამატიკებში გამოყოფილი არ არის.

იყოფა: ვითარებითი და მიმართებითი. ბერძნული ენის ბევრ გრამატიკაში ზედსართავ სახელთა დაყოფა ჯგუფებად შინაარსის მიხედვით მოცემული არ არის. ასეა, მაგალითად, მ. ტრიანდაფილიდისის და ა. ცოპანაკისის გრამატიკებში [ტრიანდაფილიდისი/Τριανταφυλλίδης, 2002:260-261, ცოპანაკისი/Τσοπανάκης, 1994:247-251]. ქართულში ვითარებითა პირველადი ზედსართავი სახელი, ხოლო მიმართებითა ზედსართავი, თუ საგნის ნიშანი, რომელსაც ის გამოხატავს, სხვა საგანთან მიმართებით არის ნაგულისხმევი. მიმართებით ზედსართავ სახელებს ხარისხის ფორმები არ გააჩნია. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში მიმართებითი ზედსართავი ვითარებითად არის ქცეული და ხარისხებსაც აწარმოებს: ჭკუა – ჭკვიანი – უჭკვიანესი; ძალა – ძლიერი – უძლიერესი და სხვ. [შანიძე, 1980:39]. მსგავს დაყოფას ვითარებით და მიმართებით ზედსართავ სახელებად ვხვდებით ხ. კლერისის და გ. ბაბინიოტისის გრამატიკაში, ოღონდ აქ ამ ორი ჯგუფის გარდა მოცემულია სხვა ჯგუფებიც და დასახელებებიც განსხვავებულია. კერძოდ, ზედსართავი სახელები შემდეგ ჯგუფებადაა წარმოდგენილი: აღწერითი ანუ ხარისხის (περιγραφικό ή ποιοτικό), კლასიფიკაციის (ταξινομικό), ფერის (χρώματος), ნივთიერებათა (ύλης) და რაოდენობრივი (ποσοτικά). თუმცა ამათგან ორი ჯგუფია ძირითადი: აღწერითი და კლასიფიკაციის, ანუ ის ჯგუფები, რასაც ჩვენ ვითარებით და მიმართებით ზედსართავ სახელებად მივიჩნევთ. აქაც კლასიფიკაციის ანუ მიმართებითი ზედსართავი ხარისხის ფორმებს არ აწარმოებს და მისი ძირითადი ფუნქციაა საგნის ნიშანის გამოხატვა, რომელიც სხვა საგანთან მიმართებითაა ნაგულისხმევი და რომელიც მიეკუთვნება განსაზღვრულ კეტეგორიას ან განსაზღვრულ ტიპს. მაგალითად, δασικός (ტყის), θιλάσσιος (ზღვის), επισημοσυνικός (სამეცნიერო) და სხვ. რაც შეეხება დანარჩენ ჯგუფებს, ეს ჯგუფები შეიძლება მიეკუთვნებოდეს როგორც აღწერით, ასევე კლასიფიკაციის ზედსართავ სახელებს [კლერისი/Κλαίρης... 2004:46-59].

## ზედსართავ სახელთა ჯგუფები შინაარსის მიხედვით

ქართული	ახალი ბერძნული
ვითარებითი	აღწერითი ანუ ხარისხის } ძირითადი
მიმართებითი	კლასიფიკაციის }
	ფერის } დამატებითი
	ნივთიერებათა }
	რაოდენობრივი (გაურკვეველი რიცხვის აღმნიშვნელი) }
	არითმეტიკული ზედსართავები (რიცხვითი სახელები)

### 1. 3. რიცხვითი სახელი

რიცხვითი სახელი ჰქვია ისეთ სიტყვას, რომელიც აღნიშნავს რაოდენობას ან რიგს. ქართული თვლის სისტემა შერეული ტიპისაა: ნაწილობრივ ათობითია და ნაწილობრივ ოცობითი. ბერძნული თვლის სისტემა ათობითია. ქართულში რიცხვითი სახელი დამოუკიდებელი მეტყველების ნაწილია, მაშინ როდესაც ბერძნულში ის ზედსართავ სახელებში შედის და მას αριθμητικά επιθετα ანუ არითმეტიკული ზედსართავი სახელები ჰქვია. შინაარსის მიხედვით ქართულში რიცხვითი სახელები სამი ჯგუფისაა: რაოდენობითი, რიგობითი და წილობითი. ახალ ბერძნულში უფრო მეტი ჯგუფი გამოიყოფა. ესენია: რაოდენობითი (απόλυτα), რიგობითი (τακτικά), წილობითი (πολλαπλασιαστικά, სიტყვასიტყვით გამრავლებითი), ჯერობითი (αναλογικά, სიტყვასიტყვით შესაბამისობითი) და კრებითი (περιληπτικά) რიცხვითი სახელები.<sup>5</sup> გარდა ამისა, ბერძნულში არის კიდევ წილადი (κλασματικά) რიცხვითი სახელები, რომელთა გადმოსაცემად გამოიყენება: რაოდენობითი რიცხვითი სახელი მრიცხველისათვის და რიგობითი რიცხვითი სახელი მნიშვნელისათვის [ტრიანდაფილიდისი, 1999: 217].

განვიხილოთ თითოეული ჯგუფი ცალ-ცალკე.

<sup>5</sup> ტერმინების თარგმანის დროს გამოყენებულია მ. ტრიანდაფილიდისის გრამატიკის მოკლე კურსის ქართული თარგმანი: მ. ტრიანდაფილიდისი 1999. ახალი ბერძნული ენის გრამატიკის მოკლე კურსი. ქართულად თარგმნილი ზ. ხინთიბიძის მიერ. თესალონიკი.

1. რაოდენობითი რიცხვითი სახელები. რაოდენობითია ისეთი სახელი, რომელიც საგნის რაოდენობას აღნიშნავს. მაგალითად, ერთი, ორი და სხვ. ქართულში გარკვეული რიცხვის აღმნიშვნელ სახელთა გარდა, მოიპოვება აგრეთვე გაურკვეველი რიცხვის აღმნიშვნელი სახელები: ბევრი, მრავალი, ცოტა და სხვ. [შანიძე, 1980:40]. ეს სახელები, როგორც გარკვეული, ასევე გაურკვეველი რიცხვის აღმნიშვნელი რაოდენობით რიცხვით სახელთა ჯგუფს მიეკუთვნება. ახალ ბერძნულში გაურკვეველი რიცხვის აღმნიშვნელი სახელები: πολλοί (ბევრი), λίγιοι (ცოტა), αρκετοί (საკმარისი) და სხვ. რაოდენობრივი ზედსართავი სახელების ჯგუფშია შესული და შესაბამისად, რაოდენობითი რიცხვითი ანუ არითმეტიკული ზედსართავი სახელების ჯგუფში აღარ განიხილება.

შედგენილობის მიხედვით რაოდენობითი რიცხვითი სახელი შეიძლება იყოს მარტივი და რთული. მარტივია: ერთი, სამი, ათი და სხვ. რთულია: თერთმეტი, თორმეტი, ოცდახუთი და სხვ. [შანიძე, 1980:40]. ასევე ბერძნულ ენაში, აქაც გვაქვს მარტივი (μοιολεκτικά) და რთული (σύνθετα) რაოდენობითი რიცხვითი სახელები.

აქვე უნდა აღვნიშნოთ რაოდენობით რიცხვით სახელებთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები.

ა) ფუძეგარკვევებული და სხვადასხვა რიცხვით სახელთა შეერთებით მიღებული რთული რიცხვითი სახელები იწერება დეფისით. მაგალითად, ორ-ორი, სამ-სამი, ათი-თორმეტი და სხვ. მსგავსი სახის რაოდენობითი რიცხვითი სახელები ბერძნულშიც ხშირად გვხვდება, მაგრამ ბერძნულში ეს სახელები ცალ-ცალკე იწერება. მაგალითად, ένα ένα (ერთ-ერთი მამრ.), μια μια (ერთ-ერთი მდ.), δέκα δέκα (ათ-ათი) და სხვ. ხშირად ბერძნულში ფუძეგარკვევების თავიდან ასაცილებლად από (-დან, -გან) წინდებული გამოიყენება. მაგალითად, κέρφικακ από τρεις σε κάθε γωνία (სამ-სამი კაცი თითო კუთხეში დაიმალა) [ტრიანდაფილიდისი/Τριανταφυλίδης, 2002:278].

ბ) ქართულ ენაში რთული რაოდენობითი რიცხვითი სახელები ასის ფარგლებში და ასეულები იწერება ერთად. მაგალითად, ოცდაერთი, ოთხმოცდახუთი, ორასი, სამასი და სხვ. რიცხვითი სახელები ასს ზევით იწერება ცალ-ცალკე. მაგალითად, ას ორი,

ორას ოთხმოცდათვრამეტი, სამი ათას ორმოცდარვა და სხვ. ბერძნულში რაოდენობითი რიცხვითი სახელები ცამეტიდან ცხრამეტამდე და ასეულები ერთი სიტყვით იწერება. მაგალითად, δεκατρία (ცამეტი), δεκαεφτά (ჩვიდმეტი), διακόσια (ორასი), εβδομάσια (შვიდასი) და სხვ. ოცდაერთიდან მოყოლებული რთული რაოდენობითი რიცხვითი სახელები ცალ-ცალკე იწერება. მაგალითად, είκοσι πέντε (ოცდახუთი), ενενήντα οχτώ (ოთხმოცდათვრამეტი), διακόσια τριάντα πέντε (ორას ოცდათხუთმეტი) და სხვ.

- გ) ქართულში რიცხვითი სახელი „ნახევარი“ დეფისით გამოიყოფა იმ სახელს, რომელსაც ის უკავშიროდ დაერთვის, მნიშვნელობა არა აქვს ის სახელი, რომელსაც დაერთვის, არსებითი სახელია თუ რიცხვითი. მაგალითად, ოთხ-ნახევარი, ათ-ნახევარი, თვე-ნახევარი, წელიწად-ნახევარი და სხვ. ბერძნულში ზედსართავი სახელი „ნახევარი“, როდესაც დაერთვის არსებით სახელს, ჩვეულებრივ მსაზღვრელ-საზღვრულის ფუნქციით გამოიყენება და, ბუნებრივია, ცალ-ცალკე იწერება, მაგალითად, μισό δρόμος (ნახევარი გზა), μισή άρα (ნახევარი საათი) და სხვ., ხოლო როდესაც დაერთვის რიცხვით სახელს, ერთად იწერება. აქ კიდევ მნიშვნელობა აქვს იმ რიცხვითი სახელის ფუძის დაბოლოებას, რომელსაც ეს სახელი დაერთვის. თუ რიცხვითი სახელი თანხმოვანფუძიანია, მაშინ დაერთვის სახელი -ήμισο, ხოლო თუ ხმოვანფუძიანია, მაშინ დაერთვის სახელი -μισο. მაგალითად, δισήμισο πεπόνια (ორნახევარი ნესვი), τεσσεριςμισο άρες (ოთხნახევარი საათი) და სხვ. [ტრიანდაფილიდი-სი/Τριανταφυλλίδης, 2002:260].
- დ) ბერძნულ ენაში რაოდენობით რიცხვით სახელებთან დაკავშირებულ ორთოგრაფიულ წესებში ასევე მოცემულია εννέα (ცხრა) და εννιάκόσια (ცხრასი) რიცხვითი სახელების დაწერილობის საკითხი. ეს სახელები ორი v-თი იწერება, მაშინ, როცა ამავე ფუძიდან ნაწარმოები რიცხვითი სახელი ενενήντα (ოთხმოცდაათი) და რიგობითი რიცხვითი სახელი ένατος (მეცხრე) ერთი v-თი.
2. რიგობითი რიცხვითი სახელები. რიგობითი ჰქვია ისეთ რიცხვით სახელს, რომელიც აღნიშნავს საგნის რიგს. ბერძნულ გრამატიკაში რიგობით რიცხვით სახელებად მიჩნეულია ის

სახელები, რომლებიც აღნიშნავენ რიგს, თანამიმდევრობას, არითმეტიკულ მწკრივს. ქართულში „რიგობითი სახელები ნაწარმოებია სათანადო რაოდენობითი სახელის ფუძისაგან თავში მე-ს და ბოლოში ე-ს დართვით. მაგალითად, მეორე, მესამე, მეათე, მეოცე და სხვ. წარმოების მხრივ განკერძოებით დგას პირველი, რომელიც „მეერთეს“ ნაცვლად გამოიყენება. მაგრამ რთულ რიცხვით სახელებთან ითქმის მეერთეც და პირველიც. და-თი შეერთებული რიცხვითი სახელებისაგან რიგობითის ფორმები ერთეულებს, ათსა და ათმეტეულებს მოუდის. ითქმის მეოცე, მაგრამ ოცდამეხუთე და სხვ.“ [შანიძე, 1980:40]. ბერძნულში რიგობითი რიცხვითი სახელები ასევე იწარმოება რაოდენობითი რიცხვითი სახელისაგან სათანადო სუფიქსების დართვით. ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს რიგობით რიცხვით სახელთან  $\pi\rho\acute{\alpha}\tau\omicron\varsigma$  (პირველი), რომელიც არ წარმოდგება რაოდენობითი რიცხვითი სახელისაგან  $\acute{\epsilon}\nu\alpha\varsigma$ ,  $\mu\iota\alpha$ ,  $\acute{\epsilon}\nu\alpha$  (ერთი). რთულ რიცხვით სახელებშიც გამოიყენება  $\pi\rho\acute{\alpha}\tau\omicron\varsigma$  (პირველი). ა. შანიძის განმარტებით, „პირველი“ ძალიან ჰგავს ინდოევროპულ შესატყვის სიტყვას. მას მაგალითად აქვს მოყვანილი ლათ. *primus*, რუს. *первый* ანალოგიურ მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ ბერ.  $\pi\rho\acute{\alpha}\tau\omicron\varsigma$ . აქვე ა. შანიძე აღნიშნავს „მას (ე.ი. პირველს) საფუძვლად ქართული პირი უძვეეს: პირ-ვ-ელ-ი – პირისაკენ მდგომი, წინ მდგომი“ [შანიძე, 1980:135].

რიგობითი რიცხვითი სახელების მართლწერასთან დაკავშირებით ასევე რამდენიმე საკითხს უნდა შევხვით. რიგობითი რიცხვითი სახელი ორივე ენაში შეიძლება გადმოიცეს როგორც არაბული, ასევე ლათინური ციფრებითაც.

- ა) რიგობითი რიცხვითი სახელების რომაული ციფრებით გამოხატვისას არც თავში ეწერება რამე და არც ბოლოში. მსგავსი სიტუაცია გვაქვს ბერძნულშიც. მაგალითად, III ტომი (მესამე ტომი), III τόμος (τρίτος τόμος).
- ბ) რიგობითი რიცხვითი სახელები არაბული ციფრებით ქართულში შემდეგნაირად გადმოიცემა: ა) თუ მაწარმოებელი *მე* თავში აქვს რიგობით რიცხვით სახელს, მაშინ ჯერ იწერება *მე*, შემდეგ დეფისი და ბოლოს სათანადო რიცხვი: მე-2, მე-18, მე-100 და სხვ. ბ) თუ



მაწარმოებელი მე რთული სიტყვის შიგნითაა მოქცეული, მაშინ ჯერ იწერება რიცხვი, შემდეგ დეფისი და ბოლოს *ქ.* 25-ე, 90-ე, 144-ე და სხვ. გ) პირველი არაბული ციფრით ასე გამოიხატება: 1-ლი. ბერძნულში არაბული ციფრებით რიგობითი რიცხვითი სახელების გამოხატვისას ბოლოს დაერთვის რიგობითი რიცხვითი სახელების დაბოლოებები -ოც, -ი, -ი, დეფისის გარეშე: 30ც, 12ი, 100ი და სხვ. ბერძნულ ენას ახასიათებს კიდევ ერთი თავისებურება: რიცხვები ზოგჯერ ასოების საშუალებით გადმოიცემა. ამ შემთხვევაში, ეს რიცხვის აღმნიშვნელი ასოები დაიწერება მკვეთრი მახვილის ფორმის მქონე პატარა ნიშნით. როდესაც ეს ნიშანი ასოს ზემოთ მარჯვენა მხარეს დაესმის, მაშინ ის აღნიშნავს ერთეულებს, ათეულებსა და ასეულებს, ხოლო როცა ქვემოთ მარცხენა მხარეს – მაშინ ათასეულებს. მაგალითად, Α´ (პირველი), Β´ (მეორე), Γ´ (მესამე) და ა. შ. ,ααβ´ (1852-ე). ზოგჯერ არაბული ციფრების დაწერილობის ანალოგიით, -ოც, -ი და -ი დაბოლოებები დართული აქვს ასოებს: Αοц, Βοц, Γοц და ა. შ., რაც ყოველად გაუმართლებელია.

ასოებით რიცხვების გადმოცემის ტრადიცია ახალ ბერძნულში ძველი ბერძნულიდან მოდის. ამასთან რიცხვების გადმოცემისას გამოიყენება ისეთი ასოებიც, რომლებიც თანამედროვე ბერძნულში აღარ არსებობს. ეს ასოებია: ε (სტიგმა), ς (კოპა), ζ (სამპი), რომლებიც გამოხატავენ შესაბამისად 6, 90 და 900-ს. ეს ასოები, როგორც აღნიშნავენ ძველი და ახალი ბერძნულის შედარებითი გრამატიკის ავტორები, V საუკუნის ატიკურ ანბანში უკვე აღარ იხმარებოდა [გორდეზიანი... 2001:110]. მიუხედავად ამისა, ასოებით რიცხვების გადმოცემის ტრადიცია მაინც დღემდე შენარჩუნებულია. მარტივი ერთეულები (1-9) გადმოიცემა პირველი ცხრა ასოთი (α-θ), ათეულები (10-90) – შემდეგი ცხრა (ι- ς), ხოლო ასეულები დანარჩენი ასოებით (ρ – ϗ) [გორდეზიანი... 2001:110]. როგორც ცნობილია, ძველ ქართულ ასო-ნიშნებსაც რიცხვითი მნიშვნელობაც ჰქონდათ: პირველ ცხრა გრაფემას (ა-თ) – ცხრა ერთეულისა, მომდევნო ცხრა გრაფემას (ი-ჟ) – ცხრა ათეულისა, შემდეგ ცხრა გრაფემას (რ-შ) – ცხრა ასეულისა, ხოლო უკანასკნელ ცხრა გრაფემას (ჩ – ჰ) – ცხრა ათასეულისა. მ-გრაფემას ათი ათასისა [პატარიძე, 1980:80]. როგორც ვხედავთ, აქ არა მხოლოდ ანალოგიური მდგომარეობა გვქონდა, არამედ პრინციპიც ასოებისთვის რიცხობრივი მნიშვნელობების მინიჭებისა ერთნაირი იყო. განსხვავება

იმაში მდგომარეობს, რომ თანამედროვე ბერძნულში ეს ტრადიცია დღემდეა შენარჩუნებული, მართალია არა ნებისმიერი ანგარიშგებისას, არამედ გარკვეულ შემთხვევებში, ძირითადად, წიგნების ტომების, თავების, გრამატიკაში პირების და სხვ. მითითების დროს. რაც შეეხება ქართულს, „შემოღების შემდგომ მეთვრამეტე საუკუნის დამლევამდე, თვით მე-19 საუკუნის დამდეგსაც კი რიცხვითი ანბანი იყო მიღებული ყოველგვარი ანგარიშების აღსანუსხავად“ [ჯავახიშვილი, 1949: 149].

3. წილობითი რიცხვითი სახელები. ქართულში წილობითი ჰქვია ისეთ სახელს, რომელიც მთელის ნაწილს რიცხობრივი შეფარდებით გამოხატავს. იგი იწარმოება რიგობით სახელთაგან, ფუძედ გამოყენებულია რიგობითის ვითარებითი ბრუნვის ფორმა: მეორედ – მეორედი, მესამედ – მესამედი და სხვ. ბერძნულში წილობით სახელებს წილადი (κλασματικά) სახელები ჰქვია. წილადი რიცხვების გადმოსაცემად გამოიყენება: რაოდენობითი რიცხვითი სახელი – მრიცხველისათვის და რიგობითი რიცხვითი სახელი – მნიშვნელისათვის: ένα δεύτερο (ერთი მეორედი), δύο τρίτα (ორი მესამედი) და სხვ. როგორც ბერძნულში, ასევე ქართულში „მეორედის“ ნაცვლად ხშირად ითქმის „ნახევარი“, რომელიც უკავშიროდაც დაერთვის სახელს და რომლის მართლწერაზე ზემოთ გვქონდა საუბარი.<sup>6</sup>

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბერძნულს რიცხვითი სახელების სხვა დამატებითი ჯგუფებიც გააჩნია. ესენია წილობითი, ჯერობითი და კრებითი რიცხვითი სახელები. ბერძნული ენის გრამატიკებში დღემდე არ არის აზრთა ერთიანობა ამ ტიპების კლასიფიკაციისა და მათთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის შესახებ. ანალოგიური ჯგუფები გამოიყოფოდა ძველ ბერძნულშიც. „ძველი ბერძნული ენის ევროპულ სახელმძღვანელოებში რაოდენობითი და რიგობითი რიცხვითი სახელების გარდა, გამოყოფენ ე. წ. ზმნიზედურ (მაგ.: πεντάκις – ხუთჯერ), ზედსართავულ (მაგ.: διπλούς, διπλάσιος – ორმაგი) და სუბსტანტივურ (მაგ.: ἡ μισάς, μισάδος – ერთეული) რიცხვით სახელებს“ [გორდეზიანი... 2001:105]. ძველი და ახალი ბერძნული ენის შედარებით

---

<sup>6</sup> იხ. გვ. 32. რაოდენობით რიცხვით სახელებთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები.

თი გრამატიკის ავტორები სამართლიანად აღნიშნავენ, რომ ახალმა ბერძნულმა, ფაქტობრივად, შეინარჩუნა ზმნიზედური, ზედსართავული და სუბსტანტივური რიცხვითი სახელები, ოღონდ მათ სახელწოდებები შეუცვალა. „ზმნიზედური რიცხვითი სახელი მიიჩნევა ზმნიზედის ერთ-ერთ ტიპად, ზედსართავული განიხილება როგორც ორი სახის: წილობითი (πολλαπλασιαστικά) (მაგ.: διπλός – ორმაგი) და ჯერობითი (αναλογικά) (მაგ.: διπλάσιος – ორჯერ დიდი, ორჯერ მეტი) რიცხვითი სახელი, ხოლო სუბსტანტივური განხილულია როგორც კრებითი (περιληπτικά) რიცხვითი სახელი (მაგ.: μονάδα – ერთეული)“ [გორდეზიანი... 2001:105]. ბერძნული რიცხვითი სახელების აღნიშნული ტიპების ტერმინოლოგიური საკითხი ვრცლადაა წარმოდგენილი სამეცნიერო ლიტერატურაში<sup>7</sup>, ამიტომ მას აქ აღარ შევხებით. წარმოვადგინოთ თითოეული ეს ჯგუფი ცალ-ცალკე.

1. ბერძნული ენის წილობითი რიცხვითი სახელები. წილობითი სახელები აღნიშნავენ, თუ რამდენი მარტივი ნაწილისაგან შედგება რაიმე და აქვთ დაბოლოება -πλός, -πλή, -πλό. მაგალითად, διπλός, -ή, -ό (ორმაგი), τριπλός, -ή, -ό (სამმაგი) და ა. შ.
2. ჯერობითი რიცხვითი სახელები. ჯერობითი რიცხვითი სახელები აღნიშნავენ, თუ როგორი შესაბამისობა ანუ პროპორცია არსებობს ორ სხვადასხვა სიმრავლეს შორის, ე. ი. რამდენჯერ დიდია ერთი სიმრავლე მეორესთან შედარებით და აქვთ დაბოლოება -πλάσιος, -πλάσια, -πλάσιο. მაგალითად, διπλάσιος, -α, -ο (ორჯერ მეტი), τριπλάσιος, -α, -ο (სამჯერ მეტი) და ა. შ. [ტრიანდაფილიდისი, 1999: 219].
3. კრებითი რიცხვითი სახელები. კრებითი რიცხვითი სახელები აბსტრაქტული რიცხვითი სახელებია. ისინი იწარმოება შესაბამისი რაოდენობითი რიცხვითი სახელებისაგან, სხვადასხვა

---

<sup>7</sup> დაწვრილებით იხ. С. И. Соболевский 1948. Древне-греческий язык. Учебник для высших учебных заведений. Москва; E. Schwyzer 1966. Griechische Grammatik. München. П. Шантрен 1953. Историческая морфология Греческого языка. Москва; Μ. Τριανταφυλλίδης 2002. Νεοελληνική Γραμματική της δημοτικής. Ανατύπωση της έκδοσης του ΟΕΣΒ (1941) με διορθώσεις. Θεσσαλονίκη, P. Mackridge 1990. Η Νεοελληνική γλώσσα. Περιγραφική ανάλυση της νεοελληνικής κοινής. μετάφραση: Κ. Ν. Πετρόπουλος. Αθήνα, Α. Γ. Τσopanάκης 1994. Νεοελληνική Γραμματική. Θεσσαλονίκη და სხვა.

დაბოლოების დართვით. ეს დაბოლოებებია: -αρά და -άδα.  
მაგალითად, δεααρά (ათიოდე), δεαάდა (ათეული) და სხვ.

**რიცხვითი სახელის<sup>8</sup> ჯგუფები შინაარსის მიხედვით**

ქართული	ახალი ბერძნული
<p>რაოდენობითი</p>	<p>რაოდენობითი</p>
რიგობითი	რიგობითი
წილობითი	წილადი
	წილობითი
	ჯერობითი
	კრებითი

**1. 4. ნაცვალსახელი**

„ნაცვალსახელი ისეთი უბანია, სადაც ყველაზე მეტი მსგავსებაა სულ სხვადასხვა სისტემის ენათა შორის, არა მარტო სტრუქტურის მხრივ, არამედ – მატერიალურ ნაწილშიც“ – წერს ვ. თოფურია [თოფურია, 1979:219]. ზუსტად ამიტომ ჩვენ ამ მეტყველების ნაწილს სათანადო ადგილს დაუთმობთ და მასზე საკმაოდ ვრცლად ვიმსჯელებთ ნაშრომის მომდევნო თავებში. აქ კი მხოლოდ ძირითად საკითხებს შევხებით. სახელწოდება „ნაცვალსახელი“ წარმომდგარია ორი სიტყვის შეერთებით: ნაცვალ-სახელი ე. ი. სახელის ნაცვალი, სახელის მაგიერი, მისი შემცვლელი. სახელწოდება 'ნაცვალსახელი'

<sup>8</sup> როგორც ზემოთ გვექონდა აღნიშნული, როცა ბერძნულ ენაში რიცხვით სახელზე ვსაუბრობთ, არ ვგულისხმობთ დამოუკიდებელ მეტყველების ნაწილს, არამედ არითმეტიკულ ზედსართავებს.

ყველა ენაში ბერძნულიდან მომდინარეობს. ცალკე მეტყველების ნაწილად ეს სახელი ბერძენმა გრამატიკოსებმა გამოყვეს და სათანადო ტერმინიც ბერძნული ენის ნიადაგზე შეიმუშავეს. ესაა  $\alpha\tau\alpha\nu\sigma\mu\iota\alpha$ , რომელიც შედგება ორი სიტყვისაგან:  $\alpha\tau\iota$  ნიშნავს 'ნაცვლად', 'მაგიერ',  $\sigma\iota\mu\alpha$  კი არის 'სახელი', 'სახელწოდება'. სხვა ენებზე შესატყვისი სიტყვა ბერძნული ტერმინის სიტყვასიტყვით თარგმანს წარმოადგენს.

პირველად ჩვ. წ. აღ.-მდე II საუკუნეში დიონისიოს თრაკიელმა ნაცვალსახელი განსაზღვრა როგორც სიტყვა, რომელიც იხმარება სახელის ნაცვლად. ნაცვალსახელის ასეთი გაგება თითქმის დღემდე გვხვდება გრამატიკულ ლიტერატურაში. „ნაცვალსახელი ჰქვია ისეთ სიტყვას, რომელიც ფრაზაში ეკვივალენტია რომელიმე სახელისა (არსებითისა, ზედსართავისა, რიცხვითისა). იგი ერთგვარ მაგივრობას, ანუ ნაცვლობას ეწევა სახელებისას. ამიტომ დაერქვა მას „ნაცვალსახელი“ (უფრო სწორი იქნებოდა „სახელთნაცვალი“), შემოკლებით: ნაცვალი“ [შანიძე, 1980: 41]. ახალი ბერძნულის გრამატიკაშიც იგივე განმარტებაა: „ნაცვალსახელი ჰქვია ისეთ სიტყვებს, რომლებსაც მეტყველების დროს ვიყენებთ სახელების, არსებითების ან ზედსართავების ნაცვლად“ [ტრიანდაფილიდისი/Τριανταφυλλίδης, 2002:285]. როგორც ვხედავთ, ბერძნულის გრამატიკაში ნაცვალსახელის განმარტებისას არ ფიგურირებს რიცხვითი სახელი, ეს ბუნებრივიცაა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ახალი ბერძნულის გრამატიკაში რიცხვითი სახელი დამოუკიდებელი მეტყველების ნაწილი კი არ არის, არამედ ზედსართავ სახელში შედის.

ა. მარტიროსოვი თვლის, რომ ნაცვალსახელთა მთავარ ფუნქციად შენაცვლების განსაზღვრა ცალმხრივია და მთლიანად არ შეესატყვისება იმ მნიშვნელობას, რომელიც ამჟამად ამ მეტყველების ნაწილს აქვს ენის გრამატიკულ წყობაში. პირველად, როცა ბერძნული ენის შესწავლისას გამოიყო ნაცვალსახელი, როგორც მეტყველების ნაწილი, და შენაცვლების ფუნქცია მის არსებით ნიშნად ჩაითვალა, მხედველობაში ჰქონდათ ნაცვალსახელთა განსაზღვრული ჯგუფები, კერძოდ, პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელები. შემდეგში ეს ფუნქცია მექანიკურად გავრცელდა აგრეთვე ისეთ ნაცვალსახელებზე, როგორიცაა კითხვითი, კუთვნილებითი, მიმართებითი, ურთიერთობითი, განსაზღვრებითი, განუსაზღვრელობითი და უარყოფითი ნაცვალსახელები, მიუხედავად იმისა, რომ ნაცვალსახელთა მეტ წილს

არ გააჩნია შენაცვლების ფუნქცია. ამ როლს ასრულებს მხოლოდ ზოგიერთი ნაცვალსახელი და ისიც არა ყოველთვის. ეს ნიშნავს იმას, რომ შენაცვლების ფუნქცია ნაცვალსახელისათვის ძირითადი, მუდმივი დამახასიათებელი ნიშანი არ არის [მარტიროსოვი, 1964:12].

არ შევჩერდებით იმის განხილვაზე, თუ როგორ და რა პრინციპით აჯგუფებენ ნაცვალსახელებს ქართველი გრამატიკოსები. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ, დღესდღეობით გავრცელებული შეხედულების თანახმად, ნაცვალსახელებში შინაარსის მიხედვით ათი ჯგუფი გამოიყოფა. ესენია: პირისა, ჩვენებითი, კითხვითი, კუთვნილებითი, კითხვით-კუთვნილებითი, მიმართებითი, ურთიერთობითი, განსაზღვრებითი, განუსაზღვრელობითი და უარყოფითი. ბერძნულში ამ მხრივ, განსხვავებული ვითარებაა. აქ შინაარსის მიხედვით მხოლოდ რვა ჯგუფი გამოიყოფა. ესენია: პირის (πρῶταικός), კუთვნილებითი (κτητικός), უკუქცევითი (ἰσόπαις ἢ αὐτοπαις), განსაზღვრებითი (οριστικός), ჩვენებითი (δεικτικός), მიმართებითი (αναφορικός), კითხვითი (ερωτηματικός) და განუსაზღვრელობითი (ἀρῖστες) [ტრიანდაფილიდის/Τριανταφυλλίδης, 2002:285]. როგორც ვხედავთ, ქართულთან შედარებით, ბერძნულს აკლია კითხვით-კუთვნილებითი, უარყოფითი და ურთიერთობითი, ხოლო უკუქცევითი ცალკეა გამოყოფილი. კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელები – ვისი? (ποιανός;), რისი?/რისა? (τίος;) კითხვით ნაცვალსახელთა ჯგუფშია შესული, ხოლო უარყოფითები არავინ (κἀνένας, κἀμία, κἀνένα), არაფერი (τίποτε / τίποτα) – განუსაზღვრელობით ნაცვალსახელთა ჯგუფში. დაწვრილებით თითოეულ ჯგუფს ნაცვალსახელისათვის განკუთვნილ სპეციალურ თავში განვიხილავთ. აქ კი მხოლოდ პარალელური სქემების წარმოდგენით შემოვიფარგლებით.

## ნაცვალსახელების ჯგუფები შინაარსის მიხედვით

ქართული	ახალი ბერძნული
პირის: მე, შენ, ეს, ეგ, ის (იგი); ჩვენ, თქვენ, ესენი, ეგენი, ისინი (იგიანი); თავი (უკუქცევითი)	პირის: <i>εγώ, εσύ, αυτός, αυτή, αυτό, τος, τη, το, εμείς, εσείς, αυτοί, αυτές, αυτά, τοι, τες, τα</i>
-----	უკუქცევითი: <i>του εαυτού μου, του εαυτού σου, του εαυτού του, του εαυτού της, του εαυτού μας, του εαυτού σας, του εαυτού τους (των) εαυτών τους.</i> <i>τον εαυτό μου, τον εαυτό σου, τον εαυτό του, τον εαυτό της, τον εαυτό μας, τον εαυτό σας, τον εαυτό τους (των) εαυτούς τους.</i>
ჩვენებითი: ეს, ეგ, ის (იგი); ასეთი (აგეთი), ეგეთი (მაგეთი), ისეთი; ამნაირი, მაგნაირი, იმნაირი; ამისთანა, მაგისთანა, იმისთანა; ამდენი, მაგდენი, იმდენი	ჩვენებითი: <i>αυτός, αυτή, αυτό, (ε)τούτος, (ε)τούτη, (ε)τούτο, εκείνος, εκείνη, εκείνο, τέτοιος, τέτοια, τέτοιο, τόσος, τόση, τόσο.</i>
კითხვითი: ვინ? რა? რომელი? როგორი? რარიგი? რანაირი? როდინდელი? სადაური? რამდენი? რაერთი? რადარა?	კითხვითი: <i>τι; ποιος; ποια; ποιος; πόσος; πόση; πόσο; ποιανός; τινός;</i>
კუთვნილებითი: ჩემი, შენი, მისი (იმისი); ჩვენი, თქვენი, მათი	კუთვნილებითი: <i>μου, σου, του, της, του, μας, σας, τους, δικός, -η, -ο μου,</i>

<sup>9</sup> მიუხედავად იმისა, რომ სქემის შედგენისას ძირითად ამოსავლად ქართული ენის მონაცემებს ვიღებთ და მას ვუდარებთ ბერძნულში არსებულ ფორმებს, ამ შემთხვევაში მიზანშეწონილად მივიჩნით უკუქცევითი ნაცვალსახელების მეორე ადგილას დასმა, არა იმიტომ, რომ ბერძნულ ნაცვალსახელთა ჯგუფებში ის მეორე ადგილასაა, არამედ იმიტომ რომ ქართულში უკუქცევითი ნაცვალსახელი პირის ნაცვალსახელებში შედის და შესაბამისად, პარალელის გავლება უფრო ადვილია. გარდა ამისა, ჩვენი აზრით, ის ფაქტი, რომ უკუქცევითი ნაცვალსახელი ბერძნულ ენაში პირის ნაცვალსახელის შემდეგაა, ნათლად მიუთითებს პირის ნაცვალსახელთა და უკუქცევითი ნაცვალსახელების კავშირს.

(იმათი), თავისი (თვისი)	δικός, -η, -ο μας, δικός, -η, -ο σου, δικός, -η, -ο σας, δικός, -η, -ο του, δικός, -η, -ο της
კითხვით-კუთვნილებითი: ვისი? რისა? (რისი?)	-----
მიმართებითი: ვინც (ვინცა), რაც (რაცა), რომელიც, როგორიც, რანაირიც, როდინდელიც, რამდენიც, ვისიც, რისაც (რისიც), სადაურიც.	მიმართებითი: που, ο οποίος, η οποία, το οποίο, όποιος, όποια, όποιο, ό, τι, όσος, όση, όσο, οποιοσδήποτε, οποιαδήποτε, οποιδήποτε, οσοσδήποτε, οσηδήποτε, οσοδδήποτε, οτιδήποτε
ურთიერთობითი: ერთმანეთი (ერთმანერთი), ერთურთი, ერთიმეორე	-----
განსაზღვრებითი: თვით (თვითონ, თითონ), თავად, თვითეული, ყოველი, ყველა, სხვა, მავანი.	განსაზღვრებითი: ο ίδιος, η ίδια, το ίδιο, μόνος, -η, -ο μου, μόνος, -η, -ο σου, μόνος, -η, -ο του, μόνος, -η, -ο της, μόνος, -η, -ο του, μόννοι, -ες, -α μας, μόνοι, -ες, -α σας, μόνοι, -ες, -α τους
განუსაზღვრელობითი: ერთი, ზოგი (ზოგიერთი), კაცი; ვინმე, რამე, რომელიმე, როგორიმე; ვიღაც, რაღაც, რომელიღაც, როგორიღაც.	განუსაზღვრელობითი: ένας, μια, ένα, κανένας (κανείς), καμιά (καμία), κανένα, κάποιος, κάποια, κάποιο, μερικοί, μερικές, μερικά, κάτι, καπτι, τίποτε (τίποτα), κάμποσος, κάμποση, κάμποσο, κάθε, καθένας, καθεμιά (καθεμιά), καθένα, καθετί, (ο, η, το) δείνα, (ο, η, το) τάδε, άλλος, άλλη, άλλο
უარყოფითი: არავინ, ვერავინ (ვერვინ), სუვინ (სურავინ), არაფერი, ვერაფერი, არა, ვერა, სურა, სურაფერი.	-----



## 1. 5. არტიკლი

ბერძნულ ენაში მეტყველების ნაწილად ითვლება აგრეთვე არტიკლი ანუ ართრონი (άρθρον). ახალი ბერძნული ენის გრამატიკებში არტიკლი არსებით სახელამდე განიხილება, ანუ მას მეტყველების ნაწილთა სისტემაში პირველი ადგილი უკავია. ჩვენ კი მას ბოლოს განვიხილავთ, ვინაიდან ქართულ ენას არტიკლი არ გააჩნია. შესაბამისად შევეხებით მხოლოდ იმ საკითხებს, რაც მნიშვნელოვანია ბერძნული ენის, როგორც უცხო ენის შესწავლის თვალსაზრისით. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდიდან არტიკლი მეტყველების ნაწილთა სისტემაში განიხილება. ასე, მაგალითად, არისტოტელე „პოეტიკაში“ მეტყველების ცალკეულ ნაწილთა სახელწოდებებს გვთავაზობს, მათ შორის არტიკლისაც, შემდეგ არტიკლს სტოელების მეტყველების ნაწილთა სისტემაში და დიონისიოს თრაკიელის გრამატიკაში ვხვდებით. მართალია, სტოელებთან მას ოდნავ განსხვავებული მნიშვნელობა აქვს. „ტერმინში *ართრონი* სტოელები გულისხმობდნენ ნაცვალსახელებსაც (ჩვენებითი, კითხვითი, მიმართებითი, განუსაზღვრელობითი) და საკუთრივ ართრონსაც“ [ქაროსანიძე, 2000:14]. თუმცა აღსანიშნავია, რომ მეტყველების ნაწილთა ტრადიციულ სისტემაში ართრონი სახელებთან განიხილება [ქაროსანიძე, 2000:15] და ცალკე მეტყველების ნაწილად წარმოდგენილი არ არის. ასევე ცალკე მეტყველების ნაწილად ის არ განიხილება არც ძველი და ახალი ბერძნული შედარებითი გრამატიკის ავტორებთან, არამედ მოცემულია არსებით სახელთან ერთად.<sup>10</sup>

არტიკლის საშუალებით ბერძნულ ენაში გამოხატავენ, რომ მოსაუბრე ეხება: ა) მთელ კატეგორიას (ხდება განზოგადება) ან ბ) კატეგორიის ერთ-ერთ წარმომადგენელს, პირს ან საგანს (ხდება დაკონკრეტება). დაკონკრეტების შემთხვევაში მოსაუბრე შეიძლება ეხებოდეს პირს ან საგანს, რომელიც უნდა განსაზღვროს (განსაზღვრული მითითება) ან იმას, რომლის განსაზღვრა არ სურს (განუსაზღვრე-ლი მითითება) [კლერისი/Κλαίρις... 1998:89]. შესაბამისად, ბერძნულ ენაში არის ორი არტიკლი განსაზღვრული (οριστικό) და განუსაზღვრე-ლი (αόριστο). განსაზღვრული არტიკლი გამოიყენება, როცა საუბარია

<sup>10</sup> იხ. რ. გორდეზიანი, ი. დარჩია, ს. შამანიდი 2001. ძველი და ახალი ბერძნული. შედარებითი გრამატიკა. თბილისი, 35.

განსაზღვრულ, კონკრეტულ პირსა ან საგანზე, განუსაზღვრელი, როცა საუბარია განუსაზღვრელსა და არაკონკრეტულ პირსა ან საგანზე. არსებობს აგრეთვე ისეთი შემთხვევები, როდესაც არტიკლი არ უნდა გამოიყენებოდეს, ამ შემთხვევაში ზოგიერთი მეცნიერი გამოყოფს ე. წ. ნულოვან არტიკლს. არტიკლის სინტაქსურ მახასიათებლებს ცალკე შემდგომში განვიხილავთ.

## II თავი

### სახელთა გრამატიკული კატეგორიები

თანამედროვე ქართულში სახელს ბრუნვისა და რიცხვის გრამატიკული კატეგორიები აქვს. ბერძნულში ამას სქესის გრამატიკული კატეგორიაც ემატება. ქართულში სქესის გრამატიკული კატეგორია არ მოგვეპოვება, თუმცა ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში იყო ცდები სახელის კატეგორიებში სქესი შეეტანათ. ასე, მაგალითად, შანშოვანის გრამატიკაში სახელების გრამატიკულ კატეგორიებს შორის სქესიც არის დასახელებული. ზ. შანშოვანი სულ სახელის ექვს გრამატიკულ კატეგორიას გამოყოფს. ესენია: რაოდენი, სქესი, ნაკვეთი, სახე, რიცხვი, სრბოლი. ასევე, ანტონ პირველის გრამატიკაში სახელის გრამატიკულ კატეგორიებში სქესია შეტანილი, რომელსაც ანტონი „ნათესავს“ უწოდებს. ანტონის გრამატიკაში სახელს ხუთი მდევარი ახასიათებს: ნათესავი, ნაკვეთი, სახე, რიცხვი და ბრუნვა. „ასეთი დიდი რაოდენობა სახელის კატეგორიებისა გამოწვეულია იმით, რომ გაერთიანებულია ფორმაცვალების კატეგორიები და სიტყვაწარმოება. სახე და ნაკვეთი შედის სიტყვაწარმოებაში (სახეში იგულისხმება მარტივი და ნაწარმოები ფუძეები, ნაკვეთში კი მარტივი და შედგენილი ფუძეები – კომპოზიტები)“ [ლუჟავა, 1956:439]. სახელის გრამატიკული კატეგორიების ამგვარი გამოყოფა ჯერ კიდევ დიონისიოს თრაკიელის ძველი ბერძნული ენის გრამატიკაში გვხვდება. დიონისიოსთანაც სახელს ხუთი მდევარი<sup>1</sup> აქვს: „Παρέπεται δὲ τῶ σὶσματι πέντε· γένη, εἶδη, σχήματα, ἀριθμοί, πτώσεις“ (“სახელს ხუთი მდევარი აქვს: სქესი, სახე, ნაკვეთი, რიცხვი, ბრუნვა“) [ქაროსანიძე, 2000:98]. როგორც ჩანს, ქართულში სქესის კატეგორიის

---

<sup>1</sup> ტერმინ „მდევარის“ შესახებ ლ. ქაროსანიძე აღნიშნავს: „ქართული გრამატიკული ტერმინი „მდევარი“ ზუსტი ექვივალენტია ბერძნული παραπόμενον-ისა, რაც παρέπωμα ზმნის („თან მიყვები“, „მივდევ“) მიმღობას წარმოადგენს. „მდევარი“, დღევანდელი საენათმეცნიერო ტერმინოლოგიით, კატეგორიაა...“ [ქაროსანიძე, 2000:15]. ამასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ახალ ბერძნულში გრამატიკული კატეგორიების აღსანიშნავად ბერძნულ გრამატიკებში ორი ტერმინი გვხვდება. ესენია: παραπόμενα, რაც ძველი ბერძნული ტერმინის ზუსტ ექვივალენტს წარმოადგენს და συνηκόμενα („თანხლებნი“).

დანერგვაც ბერძნული და საერთოდ, უცხოური გრამატიკების ზეგავლენით უნდა აიხსნას.

## 2. 1. სქესის გრამატიკული კატეგორია

დიონისიოს თრაკიელთან სქესი სამია: მამრობითი, მდედრობითი და საშუალო. ამას შეიძლება დაემატოს კიდევ ორი: საზიარო და ზესაზიარო. „Γένη μὲν οὐκ εἶσι τρία· ἀρσενικόν, θηλυκόν, οὐδέτερον. ἔτι οἱ δὲ προστιθέασιν τοῦτοις ἄλλα δύο, κοινόν τε καὶ ἐπίκοινον, κοινόν μὲν οἷον ἴππος κῶν, ἐπίκοινον δὲ οἷον χελιδὼν ἀετός.“ („სქესი სამია: მამრობითი, მდედრობითი, საშუალო. ხოლო ზოგიერთები უმატებენ ამათ სხვა ორს: საზიაროს და ზესაზიაროს. საზიარო, მაგალითად, ἴππος („ცხენი“), κῶν („ძაღლი“); ზესაზიარო, მაგალითად, χελιδὼν („მერცხალი“), ἀετός („არწივი“)“ [ქაროსანიძე, 2000:99]. ანტონ კათალიკოსთან კი სქესი ანუ ნათესავი ოთხ ჯგუფად იყოფა: მამრობითი, მდედრობითი, უმეშვეობითი (საშუალო) და საზოგადო. დიონისიოს თრაკიელთან მოცემული საზიარო და ზესაზიარო სახელები აქ ერთ ჯგუფად საზოგადო სქესის სახელებადაა გაერთიანებული. ბუნებრივია, რომ აქ ერთმანეთში აღრეულია სქესის ბიოლოგიური და გრამატიკული გაგება. „ანტონისათვის ამოსავალია სემასიოლოგიური სხვაობა. ანტონი ერთმანეთში ურევს გრამატიკულ და რეალურ სქესს“ [ლეჟავა, 1956:439]. ქართულში სხვადასხვა სქესის სახელები რაიმე გრამატიკული ნიშნით კი არ განსხვავდება ერთმანეთისაგან, არამედ მხოლოდ შინაარსით.

როგორც ცნობილია, ბევრ ინდოევროპულ ენას სქესის გრამატიკული გაგება ახასიათებს. ენაში გრამატიკული სქესის არსებობის შემთხვევაში ყველა სიტყვა დაყოფილია ორ ან სამ სქესად და აქ არავითარი მნიშვნელობა აქვს სიტყვის სემასიოლოგიას ანუ ბიოლოგიურ სქესს. ინდოევროპულ ენათა სპეციალისტები ფიქრობენ, რომ სამ სქესს ინდოევროპულ ენებში ორი ჯგუფი უდევს საფუძვლად: ერთია „ცოცხალი“, მეორე – „არაცოცხალი“. „ცოცხალის“ რეინტერპრეტაციამ მოგვცა „მამრობითი“ და „მდედრობითი“; „არაცოცხალი“ წარმოდგენილია „საშუალო სქესში“ [ჩიქობავა, 1979:88]. ამის საუკეთესო მაგალითია ხეთური ენა, რომელიც ყველაზე ახლოსაა ინდოევროპული ენის უძველეს მდგომარეობასთან, მასში წარმოდგენილია ორი სქესი: საერთო („ცოცხალთა“ ჯგუფისთვის) და საშუალო („არაცოცხალთა“ ჯგუფისთვის), ამათგან პირველი მოგვიანებით ორ სქესად – მამრო-

ბითად და მდედრობითად დაიყო მთელ რიგ ინდოევროპულ ენებში – ძველ ინდურში, ძველ ბერძნულში, ლათინურში და სხვ. [გამყრე-ლიძე/Гамкрелиძე... 1984:280].

პროტოინდოევროპულში არ იყო განსხვავება მამრობითი და მდედრობითი სქესის სახელების წარმოებაში. მათ ერთნაირი გრამატიკული გამოხატულება ჰქონდა, ასე, მაგალითად, -ი ფუძიანი სახელები შეიძლება ყოფილიყო, როგორც მამრობითი, ასევე მდედრობითი სქესისა. თვალსაზრისი, რომ მამრობითი და მდედრობითი სქესის სახელები არ განირჩეოდა პროტოინდოევროპულში დადასტურდა ძველი ინდოევროპული ენის – ხეთურის მაგალითზე. ხეთურში არ განირჩევა საერთოდ მდედრობითი სქესის სახელები. მაგრამ, რამდენადაც ცნობილია, განსხვავება ფორმებში მაინცდამაინც არ არის აუცილებელი (ასე, მაგალითად, ფორმებით *ლაცდ* და *იბდ*, ვერ მივხვდებით რომელია მამრობითი და რომელია მდედრობითი სქესის სახელი). ის, რასაც აქვს მნიშვნელობა, არის სახელების შეთანხმება ზედსართავებთან და ნაცვალსახელებთან, ე. ი. მნიშვნელობა აქვს ზედსართავებს თუ გააჩნიათ სხვადასხვა ფორმა მამრობითი და მდედრობითი სქესისათვის. პროტოინდოევროპულში ზედსართავ სახელებში მდედრობითი სქესი ან არ გამოიხატება, ან გამოიხატება - (*i)eh₂* სუფიქსის საშუალებით. როგორც ჩანს, მდედრობითი სქესის სახელებისათვის გრამატიკული აღმნიშვნელის გამოყოფა უფრო გვიან მოხდა. თუმცა ამ სისტემის კვალი ბევრ ინდოევროპულ ენაში დასტურდება და სავარაუდოა, რომ შეიძლება მისი აღდგენა პროტოინდოევროპულშიც. ის ფაქტი, რომ ხეთურს არ გააჩნია მდედრობითი სქესის სახელები, შეიძლება აიხნას იმით, რომ ეს კონკრეტული კატეგორია უბრალოდ, დაიკარგა ხეთურში, როგორც დაიკარგა ბევრი სხვა რამ. ასევე გვიანდელი წარმოშობის უნდა იყოს საშუალო სქესის სახელების გამოყოფა. ასე, ინდოევროპულ ენებში მამრობითი და საშუალო სქესის ზედსართავი სახელები მხოლოდ სახელობით და ბრალდებით ბრუნვაში განსხვავდებოდა [ბიქსი/Beekes, 2004:256-257].

დღესდღეობით ბევრი ინდოევროპული ენისთვის, და მათ შორის ბერძნულისათვისაც დამახასიათებელია სქესის გრამატიკული კატეგორია და ბრუნების ტიპებიც შესაბამისად, სქესის გრამატიკულ კატეგორიებზეა დამოკიდებული. თუმცა რამდენად მართებულია ამ

პრინციპით ბრუნების ტიპების გამოყოფა ახალ ბერძნულში, ეს ცალკე მსჯელობის საგანია და ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

ახალ ბერძნულ ენაში რეალური სქესის გადმოცემა რამდენიმე საშუალებით ხდება, კერძოდ: ა) სხვადასხვა სიტყვებით გადმოცემა, მაგალითად, άντρας – γυναίκα, γιός – κόρη (კაცი – ქალი, ვაჟიშვილი – ქალიშვილი), ბ) სუფიქსების საშუალებით სქესების წარმოება, მაგალითად, ήρσας – ήρσᾶ, ποιητής – ποιήτρια (გმირი /მამრ./ – გმირი /მდედრ./, პოეტი /მამრ./ – პოეტი /მდედრ./), გ) არტიკლის საშუალებით სქესების განსხვავება ο γράμματέας – η γράμματέας, ο δικαστής – η δικαστής (მდივანი /მამრ./ – მდივანი /მდედრ./, მოსამართლე /მამრ./ – მოსამართლე /მდედრ./), დ) განსაზღვრებით სახელის სქესის მითითება, მაგალითად, ο αρσενικός ελέφαντας – ο θηλυκός ελέφαντας (სპილო /მამრ./ – სპილო /მდედრ./) [კლერისი/Κλαίρης... 1998:54-56].

ქართულში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სქესის გრამატიკული კატეგორია არ მოგვეპოვება. რეალური სქესი აღნიშნება საგანგებო სახელებით. მაგალითად, მამა – დედა, და – ძმა, მამალი – დედალი, ხვადი – ძუ და სხვ. თუ შეიძლება ლაპარაკი სახელთა კლასიფიკაციაზე, ისიც მხოლოდ კლას-კატეგორიებისა და არა სქესების მიხედვით. სამეცნიერო ლიტერატურაში სამართლიანად აღნიშნავენ, რომ სქესების მიხედვით და კლასების მიხედვით სახელების კლასიფიკაციათა შორის საგრძნობი განსხვავებაა: სადაც სქესებია გარჩეული, იქ ეს ეხება როგორც ადამიანს, ისე ყველაფერ სხვას; მაგრამ სადაც გრამატიკული კლასებია გარჩეული, იქ ე. წ. მამრობითი სქესისა, ე. ი. I კლასისა, შეუძლებელია იყოს სხვა რამ, თუ არა ადამიანი [ლექავა, 1956:439].

ქართველურ ენებში დაყოფა უნდა ყოფილიყო გრამატიკული კლასების მიხედვით. სახელებში გარჩეული უნდა ყოფილიყო ადამიანისა და ნივთის კლასი ისე, როგორც ეს ბევრ იბერიულ-კავკასიურ ენაშია წარმოდგენილი. აქ, მორფოლოგიურ სისტემაში გარჩეულია ორი ძირითადი კლას-კატეგორია: „ვინ“-კატეგორია და „რა“-კატეგორია, ანუ ადამიანის და ნივთის კატეგორიები. ამ ჯგუფების გარჩევა, მართალია, ბიოლოგიური ნიშნით იწყება, მაგრამ ბიოლოგიურ ჯგუფებად არ მიიჩნევა, „უფრო ფასეულსა“ და „ნაკლებ ფასეულს“ უდრის თავისი არსით. ასე, მაგალითად, „წყალი“ ერთ კლასში შეაქვთ, თუ „სასმელ წყალზეა“ ლაპარაკი და – სხვა კლასში, თუ

„სარეცხად ხმარებულ წყალს“ გულისხმობენ [ჩიქოზავა, 1979:89]. ქართულში კლას-კატეგორიები დიდი ხანია რაც მოშლილია. მაგრამ ქართულმა დღემდე შემოგვინახა ადამიანისა და ნივთის სემასიოლოგიური კატეგორიები: კითხვა ვინ? მხოლოდ ადამიანს ეხება, კითხვა რა? გულისხმობს სხვა ყველაფერს – ცოცხალსაც და არაცოცხალსაც [ჩიქოზავა, 1950:034].

მამსადადამე, ბერძნულში გვაქვს სამი გრამატიკული სქესი: მამრობითი (αρσενικόν), მდედრობითი (θηλυκόν) და საშუალო (ουδέτερον). ხოლო ქართულში სქესის გრამატიკული კატეგორია არ მოგვეპოვება. ქართულ სინამდვილეში ბერძნულიდან ქართულად ტექსტების თარგმანის დროს იყო მცდელობები ხელოვნურად გადმოეცათ ბერძნულში არსებული სქესების კატეგორიების განსხვავება. ასე, მაგალითად, იოანე პეტრიწის მთარგმნელობითი სკოლის დოკუმენტებში ერთმანეთისაგან განსხვავებულია „ადამიანი“ სიტყვის გადმოცემა მამრობით და მდედრობით სქესში: ὁ ἄνθρωπος და ἡ ἄνθρωπος ქართულად გადმოიცემა სიტყვებით: კაცი და კაცად, ასევე მრავლობითის ნათესაობითში ერთმანეთისაგან განსხვავებულია ნაცვალსახელი ყოველივე, მამრობითი სქესისათვის τῶν πάντων – ყოველნივე და მდედრობითი სქესისათვის τῶν πασῶν – ყოელანი [დონდუა/Дошдуа, 1956:304-305]. რაც შეეხება თვითონ ტერმინს „γένος“ („სქესი“) და მის გადმოცემას ქართულში („გვარი“, „ნათესავი“, „გვარეობა“ და ა. შ.), ამაზე ვრცელი ლიტერატურა არსებობს, ამიტომ მას აქ აღარ შევხებით.<sup>2</sup>

ბერძნული ენის შესწავლის დროს ბუნებრივია, რომ ქართველ შემსწავლელს უნდა გაუჭირდეს სქესის გრამატიკული კატეგორიის ათვისება და ამასთან დაკავშირებით შესაძლოა გარკვეული სირთულეები შეექმნას. მაგრამ ხშირ შემთხვევაში ეს სირთულეები არც ისე დიდია, რამდენადაც იყო მოსალოდნელი. ასე, მაგალითად, ქართულიდან ბერძნულად თარგმნის დროს, თუ კონტექსტით არ არის გათვალისწინებული რაიმე კონკრეტული სქესის სახელი, შემსწავ-

---

<sup>2</sup> დაწვრილებით იხ. ლ. ქაროსანიძე 2000. დიონისიოს თრაკიელის „გრამატიკის ხელოვნება“ და ძველი ქართული გრამატიკული აზროვნება. თბილისი, 72-75; რედ. ვ. თოფურია 1956. სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში. ტ. I. თბილისი 1956; ა. ჩიქოზავა 1979. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი. თბილისი და სხვ.

ლელი ირჩევს ამა თუ იმ სახელს თავისი შეხედულებისამებრ.<sup>3</sup> ასე, მაგალითად, ბერძნული გრამატიკის სხვადასხვა სირთულის გამოსავლენად თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის სუდენტებს ჩავუტარეთ შესაბამისი ტესტირება, სადაც მოცემული იყო არსებითი სახელები, რომელთა გადმოცემა თარგმანის დროს შეიძლებოდა, როგორც მამრობითი, ისე მდედრობითი სქესის სახელებით. ამ დროს სტუდენტები ირჩევენ ფსიქოლოგიური ასოციაციით იმ სქესს, რომელიც, მათი აზრით, უფრო შეეფერება ამა თუ იმ სახელს. ასე, მაგალითად, ოცი სტუდენტიდან სიტყვა მასწავლებლის (ο δάσκαλος / η δασκάλα) გადმოსაცემად თოთხმეტმა სტუდენტმა ეს სახელი მდედრობით სქესში დაწერა, ხოლო სიტყვა ექიმის (ο γιατρός / η γιατρός, η γιατρίνα) გადმოსაცემად ცხრამეტმა სტუდენტმა მამრობითი სქესი აირჩია. თანაც იმ წინადადებაებში, სადაც ქართულში რეალური სქესი ემთხვევა ბერძნულის გრამატიკულ სქესს, შემსწავლელი სულ არ გრძნობს რაიმე განსხვავებას აღნიშნული კატეგორიის გადმოცემისას. ასე, მაგალითად, იმავე ოცი სტუდენტიდან ქართული და ბერძნული წინადადებაების შედარებისას, სადაც მოცემული იყო სახელი ძმა – ο αδερφός, კითხვაზე, რა განსხვავებაა ორ წინადადებას შორის, მხოლოდ სამმა სტუდენტმა აღნიშნა, რომ ბერძნულ სახელს სქესის გაგება აქვს, ქართულს კი არა. ჩვენი აზრით, ქართველ შემსწავლელს რომ არ უჭირს სქესის გაგება განპირობებულია იმით, რომ სახელების დაყოფა „აქტივად“ და „ინაქტივად“ ანუ „ცოცხალ“ და „არაცოცხალ“ კატეგორიებად არის ენის უძველესი მდგომარეობა, რომელიც შემდგომში უკვე სქესის კატეგორიაში გადაიზარდა, და ამდენად, გასაგებია ქართველი შემსწავლელისათვის თანაც ბერძნულ ენაში სინტაქსურად სქესის მიხედვით ზმნის შეთანხმება სახელთან არ ხდება. მაშინ, როდესაც ზოგიერთ სხვა ინდოევროპულ ენაში ასეთი შეთანხმება დასტურდება. ასე, მაგალითად რუსულში, წარსული დროის გადმოცემისას ზმნაში აისახება სქესის კატეგორია: он написал книгу (მან დაწერა წიგნი /მამრ. სქ./) – она написала книгу (მან დაწერა წიგნი /მდედრ. სქ./). ბერძნულში

---

<sup>3</sup> ბერძნული და ქართული ენისათვის დამახასიათებელი თავისებურებების შედარების დროს დავეყრდნობით ბერძნული ფილოლოგიის განყოფილების სტუდენტებთან ჩატარებული გამოკითხვის ან ტესტირების შედეგებს.



ორივე შემთხვევაში ზმნა იქნება ერთი ფორმით ἔγγραφε (დაწერა), აქ არა აქვს მნიშვნელობა αὐτὸς (ის /მამრ. სქ./) გვექნება, თუ αὐτὴ (ის /მდედრ. სქ./). ეს ფაქტი, ჩვენი აზრით, ასევე უადვილებს ქართველ შემსწავლელს ბერძნულში სქესის კატეგორიის გაგებას.

## 2. 2. რიცხვის გრამატიკული კატეგორია

ქართულში გვაქვს ორი რიცხვი: მხოლობითი და მრავლობითი. ანალოგიური მდგომარეობა ახალ ბერძნულშიც ძველი ბერძნული-საგან განსხვავებით, სადაც სახელს სამი რიცხვი გააჩნდა: მხოლობითი (εἰκότως), მრავლობითი (πληθυντικός) და ორობითი (δυσικός). ამ უკანასკნელს უკვე ჰომეროსთან ხშირად ენაცვლება მრავლობითი რიცხვი, ხოლო კლასიკურ ეპოქაში ორობითი მთლიანად მრავლობითით იცვლება, თუ არ ჩავთვლით ზოგიერთ გამონაკლისს [გორდეზიანი... 2001:35]. ქართულში ორობითი რიცხვი არ მოიპოვება, მაგრამ მისი გადმონაშთი რამდენადმე შემონახულია ხევსურულში<sup>4</sup> [შანიძე, 1980:38]. სამაგიეროდ, სახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოების თვალსაზრისით, ქართულში ორგვარი ფორმები გვაქვს: -ებ-იანი და -ნარ-თანიანი. ეს ორი მრავლობითი მართო აფიქსებით კი არ განსხვავდება ერთმანეთისაგან, არამედ წარმოების წესითაც: -ებსუფიქსი სახელისაგან ახალს – მრავლობითის – ფუძეს ქმნის და დაირთავს ბრუნვათა იმავე ნიშნებს, რაც მხოლობითშია. -ნარ-თანთან მრავლობითში სხვაგვარი მდგომარეობაა: აქ მრავლობითში ორი სუფიქსი გვევლინება, ამათგან: -ნ მისდევს -ებ-ის წარმოების წესს, ე. ი. მრავლობითის ფუძეს ქმნის და ნიშნებს დაირთავს, -თა კი რამდენიმე ბრუნვაში გვხვდება და მას ევალება როგორც მრავლობითი რიცხვის, ისე ამ ბრუნვათა აღნიშვნაც [შარაძენიძე, 1956:271]. ანუ, აქ გვაქვს წარმოების ორი ტიპის დაპირისპირება. ერთი დამახასიათებელია აგლუტინაციური ენისათვის, ხოლო მეორე ფლექსიურისათვის. ქართული აგლუტინაციური ენაა და, ამდენად, ქართულისათვის

---

<sup>4</sup> ხევსურულში ორობითი რიცხვის საკითხისათვის იხ. ა. შანიძე 1967. ორობითი რიცხვის საკითხისათვის ხევსურულში. *თბილისის უნივერსიტეტის შრომები*. ტ. 121. თბილისი, 23-27; К. Д. Лондуа 1956. О двух суффиксах множественности в грузинском. *სახელის ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში*. ტ. I. თბილისი, 290-312.

ბუნებრივია პირველი მრავლობითი. მეორე მრავლობითის -თა სუფიქსს რამდენიმე ფუნქცია აქვს: ის გადმოგვცემს მრავლობით რიცხვსა და სამ ბრუნვას. ერთ აფიქსს რომ რამდენიმე ფუნქცია აქვს, ეს ფლექსიური ენისათვის არის დამახასიათებელი და ქართულისათვის მეორეულ მოვლენას წარმოადგენს [შარაძენიძე, 1956:272]. ბერძნული ფლექსიური ენაა, აქ მრავლობითის საწარმოებლად გამოყენებული სუფიქსები სქესების მიხედვით იცვლება, და რიცხვის გარდა, ბრუნვების მნიშვნელობაც აქვთ. თუმცა ახალ ბერძნულში გვხვდება სახელები, რომელთაც მრავლობითში -δ-ს შემცველი სუფიქსი უჩნდებათ, მაგრამ ამ შემთხვევაში არ არის საუბარი მრავლობითის წარმოებაზე, არამედ უბრალოდ მრავლობითის სუფიქსის გავრცობაზე. საქმე ეხება სხვადასხვაფუძიან სახელებს, რომლებიც უპირატესად უცხო ენებიდან არის ნასესხები და შესაბამისად მათი გავრცობა -δ-ს შემცველი სუფიქსებით, როგორც ჩანს, მეორეული მოვლენაა. მაგალითად, ο ψαμάρ - οί ψαμάρδεξ (მეპურე), ο νοικοκύρης - οί νοικοκύρηδεξ (მეოჯახე, მასპინძელი), ο καφές - οί καφέδεξ (ყავა) და ა. შ.

ქართულის -ებ-იან-ი და -ნარ-თანთან-ი მრავლობითის გენეზისის საკითხს ბევრი მკვლევარი ეხება. აქ ჩვენ აღვნიშნავთ რამდენიმე მომენტს, კერძოდ: მრავლობითის სუფიქსების დაკავშირება კლასკატეგორიებთან, დუალისის შემთხვევები და ფუნქციების გადანაწილება ორ მრავლობითს შორის. როგორც ცნობილია, -ებ-იანი ანუ პირველი მრავლობითი უფრო ახალ ქართულში იხმარება (და ძველში ნაკლებად), ხოლო -ნარ-თანთან ანუ მეორე მრავლობითი უფრო ძველ ქართულში იხმარებოდა (და ახალში ნაკლებად). „ზოგჯერ პირველ მრავლობითს „ახალს“ ემახიან და მეორეს „ძველს“. მაგრამ ამ შემთხვევაში „ახალი“ და „ძველი“ იმას არ ნიშნავს, თითქოს ერთი მხოლოდ ახალ ქართულში იხმარებოდეს და მეორე მხოლოდ ძველ ქართულში“ [შანიძე, 1980:47]. არც ძველ და არც ახალ ქართულში არ არის მკვეთრად განსაზღვრული მრავლობითის ამ ორი ფორმის ფუნქციები. -ნარ-თანთან მრავლობითი -ებ-იანი მრავლობითის პარალელურად გამოიყენება და ძალიან ხშირად ერთი ფუნქციით გვხვდება. მოკლედ შეიძლება ჩამოვყალიბოთ ორივე მრავლობითის ძირითადი თავისებურებები, მორფოლოგიური და სინტაქსური თვალსაზრისით. ჯერ ერთი, -ებ-იანი მრავლობითის დროს ბრუნვის ნიშნები იგივეა, რაც მხოლოდობითში, განსხვავება ამ შემთხვევაში

მხოლოდ ფუძემია. მაგალითად, მხ. ნათ. ზღვ-ის(ა), მრ. ნათ. ზღვ-ებ-ის(ა). რაც შეეხება, -ნარ-თანთან მრავლობითს, აქ სახელობითსა და წოდებითში -ნ სუფიქსი გვხვდება, რომელიც როგორც -ებ-იანი მრავლობითი დაირთავს მხოლობითის ბრუნვის ნიშნებს, ხოლო რაც შეეხება ირიბ ბრუნვებს აქ -თ სუფიქსი გვაქვს, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მრავლობითსაც აღნიშნავს და სამ ბრუნვას: მოთხრობითს, მიცემითსა და ნათესაობითს. ამ მხრივ საინტერესოა, როგორ ხდება მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმება რიცხვში. თუ საზღვრული პირველი მრავლობითის ფორმით არის წარმოდგენილი, მსაზღვრელი არავითარ მონაწილეობას არ იღებს; ხოლო თუ მეორე მრავლობითის ფორმით არის, მაშინ შეიძლება მსაზღვრელიც აწარმოებდეს მრავლობით რიცხვს ძველებური წესით [შანიძე, 1980:83]. მაგალითად, დიდ-ი ქალაქ-ებ-ი, მაგრამ მაღალ-ნ-ი მთა-ნ-ი. აქ შეიძლება გვევარაუდა, რომ ვინაიდან მეორე მრავლობითს ნაწილობრივ მაინც აქვს ფლექსიურობის ელემენტი, ამიტომ მისთვის დამახასიათებელია მსაზღვრელ-საზღვრულის რიცხვში შეთანხმება. ბერძნულში, როგორც ფლექსიურ ენაში, მსაზღვრელ-საზღვრული ყოველთვის შეთანხმებულია რიცხვში. მაგალითად, მხ. რ. ο μεγάλος άντρας (დიდი კაცი), მრ. რ. οι μεγάλοι άντρες (დიდი კაცები). თუმცა მეორე მრავლობითის -თ სუფიქსს, რომელიც ირიბი ბრუნვების ფლექსიადაა მიჩნეული, თავდაპირველად ერთი ფუნქცია უნდა ჰქონოდა, ის მხოლოდ რიცხვის საწარმოებელი იყო. ამას ბევრი მკვლევარი აღნიშნავს.<sup>5</sup> ამგვარად, „აგლუტინაციურს ენებში ფლექსიურ მოვლენათა ანალიზი ცხადყოფს, რომ ფლექსიურობას წინ უძღოდა აგლუტინაცია“ [ჩიქოვა, 1935:87]. ძველ ქართულში განსაზღვრულ შემთხვევებში, როდესაც ლოგიკური ობიექტი მრავლობითში გვხვდებოდა -ნ სუფიქსით, აუცილებლად ეთანხმებოდა შემასმენელს რიცხვში. მაგალითად, მხ. რ. და-ლუწ-ა ქალაქ-ი, მრ. რ.

<sup>5</sup> დაწვრილებით იხ. თ. შარაძენიძე 1956. -თა სუფიქსიანი მრავლობითი მოქმედებითსა და ვითარებითს ბრუნვებში. *სახელის ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში*. ტ. I. თბილისი, 271-285; Н. Марр 1925. Грамматика древне-литературного грузинского языка. 37; არნ. ჩიქოვა 1939. მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართველურ ენებში, *უნივერსიტეტის შრომები*. X. თბილისი, 169; არნ. ჩიქოვა 1956, მრავლობითის სუფიქსთა გენეზისისათვის ქართულში. *სახელის ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში*. ტ. I. თბილისი, 313-323.

და-ლეწ-ნ-ა ქალაქ-ნ-ი [დონდუა/Дондуа, 1956:291]. აღსანიშნავია, რომ ახალ ბერძნულ ენაში განსაზღვრულ ზმნებთან დღესაც ანალოგიურ მდგომარეობას ვხვდებით. საუბარია ძირითადად ნაკლულ უპირო ზმნებზე<sup>6</sup>, რომელთაც მრავლობითში დასმული ობიექტი რიცხვში ეთანხმება. მაგალითად, მხ. რ. μου ἀρέσχει το βίβλιον (მომწონს წიგნი), მრ. რ. μου ἀρέσχει τα βίβλια (მომწონს წიგნები). რაც შეეხება -ებ-იანი მრავლობითის სუბიექტის შეთანხმებას შემასმენელთან, აქ გვაქვს შემთხვევები, როდესაც ზმნა მხოლოდით რიცხვში გვხვდება. ასე იყო ძველ ქართულში, ასეა ახალ ქართულშიც, მსგავსი მოვლენა დასტურდება მეგრულ-ჭანურშიც. ყველაზე ხშირად ასეთი შეთანხმება გვაქვს იმ შემთხვევებში, როდესაც სუბიექტი ნივთს გამოხატავს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ძველ ბერძნულში შემასმენელი ეთანხმება ქვემდებარეს პირსა და რიცხვში, ხოლო შემასმენლის სახელადი ნაწილი – სქესში, რიცხვსა და ბრუნვაში. მაგრამ არსებობს გამონაკლისიც, თუ ქვემდებარე საშუალო სქესისაა და მრავლობით რიცხვშია, მაშინ ზმნა მას მხოლოდით რიცხვში ეთანხმება. მაგალითად, Τὰ κακὰ σπάρχει τοὺς ἀνθρώπους (უბედურება ხალხს აერთიანებს) [სობოლევსკი/Соболевский, 1948:244]. ეს იმიტომ ხდება, რომ თავდაპირველად საერთო ინდოევროპულ ენაში საშუალო სქესის სახელების მრავლობით რიცხვს კრებითობის გაგება ჰქონდა. [ბიქსი/Beekes, 2004:256]. ძველ ქართულ ტექსტებში ბერძნულიდან თარგმნის დროს მთარგმნელები ხშირად შეგნებულად იყენებდნენ ამ შემთხვევაში -ებ-იან მრავლობითს იმისთვის რომ უფრო შესაფერისად გადმოეცათ ბერძნული ენის ეს თავისებურება [დონდუა/Дондуа, 1956:291]. ახალ ბერძნულში ასეთი შეთანხმება აღარ დასტურდება. აქ ძირითადად ზმნა ეთანხმება ქვემდებარეს პირსა და რიცხვში. ერთადერთი გამონაკლისია, როდესაც ქვემდებარედ გამოყენებულია კრებითი სახელი და ზმნა შეიძლება მრავლობით რიცხვშიც შეგვხვდეს. მაგალითად, Το συγγενολόγι του φοβερύου να κάψου και να σκοτώσου. /-οι συγγενείς τους/ (ნათესაობა მას აშინებს, რომ დაწვავს და მოკლავს /-მათი ნათესავები/), Εσύ μονάχα έχεις κορίτσια; Ο άλλος κόσμος δεν έχει; /-οι άλλοι άνθρωποι/ (შენ მხოლოდ გყავს გოგოები?)

<sup>6</sup> ნაკლულ უპირო ზმნების შესახებ დაწვრილებით იხ. Α. Γ. Τσοπανάκης 1994. Νεοελληνική Γραμματική. Θεσσαλονίκη, 396-425.

სხვა ხალხს არ ჰყავს? /=სხვა ადამიანებს/) [ძარძანოსი/Τζαρτζάνος, 1996:44].<sup>7</sup> ასეთი სინტაქსური წყობა დამოკიდებულია კონტექსტზე ანუ იმაზე, თუ რა იგულისხმება აღნიშნული კრებითი სახელით (σύνταξη κατά νοούμενο).

ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს, რომ -ებ სუფიქსი ძველ ქართულში ნივთის კლას-კატეგორიას გამოხატავდა, ხოლო -ნ ადამიანისა. ამის შესახებ, არნ. ჩიქობავა აღნიშნავს, რომ -ნ და -ებ ორი განსხვავებული კლასის საწარმოებელი არ შეიძლება იყოს და მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში არსებული პრინციპების შედარების საფუძველზე შემდეგ დასკვნამდე მიდის, რომ იბერიულ-კავკასიურ ენათა აბსოლუტურ უმრავლესობაში მხოლოდობითი გარჩეულია ადამიანი და ნივთი, ხოლო მრავლობითში ეს გარჩევა მოშლილია, ხდება დეპერსონალიზაცია. შესაბამისად, „1. მრავლობითის -ნ, -ებ ერთი და იმავე გრამატიკული კლას-კატეგორიისაა. 2. ესაა ნივთის გრამატიკული კლასის ექსპონენტები. 3. მათი სხვაობა სხვადასხვა დიალექტობრივ (თუ ენობრივ) წრეთა სხვაობიდან მომდინარეობს. 4. სახელთა მრავლობითის ქართულში ნივთის კატეგორიის ფორმანტი აწარმოებს“ [ჩიქობავა, 1956:319]. -ნარ-თანიანი მრავლობითის შესახებ არსებობს ვარაუდი, რომ ის წარმოშობით ორობითია, რომელმაც დაკარგა თავისი პირვანდელი მნიშვნელობა და მრავლობითად იქცა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამჟამად ხევსურულ კილოში რამდენამდე შემორჩენილია ძველისძველი ვითარება. ა. შანიძის აზრით, ეს ვითარება ხევსურულში მტკიცედ და საყოველთაოდ გატარებული ფაქტი არ არის და გადავარდნის გზაზე დგას. თუმცა მკვლევარი მიუთითებს ხევსურულში არსებულ მაგალითებს: „გამარჯვება, ოჟო! (მისალმება ერთ კაცს), გამარჯვება, ოჟნო! (მისალმება ორ კაცს), გამარჯვება, ოჟებო! (მისალმება ორზე მეტს)“ და დასძენს, რომ „ორობითი რიცხვის მქონე ენებს ორობითში ნაკლები ფორმები აქვთ, მხოლოდობითთან და მრავლობითთან შედარებით, ძველი ქართულის -ნარ-თანიანი მრავლობითი (წარმოშობით ორობითი) იმავე ნაკლებობას გვიჩვენებს“ [შანიძე, 1976:32]. მაგრამ, დანამდვილებით იმის მტკიცება, რომ -ნარ-თანიანი

<sup>7</sup> დაწვრილებით ზერძულ ენაში ქვემდებარის შემასმენელთან შეთანხმების შესახებ იხ. A. Τζαρτζάνος 1996. Νεοελληνική σύνταξη (της κοινής διημοτικής). Α. Θεσσαλονίκη, 44-54.

მრავლობითი ორობითს აღნიშნავდა, დღესდღეობით ჩვენ არ შეგვიძლია.

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ წარმოების მხრივ ქართულში ორი მრავლობითია, ის არ შეიძლება მივიჩნიოთ მრავლობითის ორ ფორმად, რომელიც განსაზღვრული კატეგორიის სახელებს ახასიათებს ან რომელსაც დუალისის გაგება ახლავს. თუმცა ხევსურულის მაგალითზე შეიძლება გვევარაუდა, რომ -ნ სუფიქსი შეიძლებოდა ორობითობის ან უფრო წყვილების ამსახველი ყოფილიყო. მაგრამ, ამის დამადასტურებელი ფაქტები ქართულში არ მოგვეპოვება. ასე რომ დღესდღეობით შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ქართულში, ისევე როგორც ახალ ბერძნულში ორი რიცხვია მხოლოდ: მხოლობითი და მრავლობითი.

### **2. 3. ბრუნვის გრამატიკული კატეგორია**

ბრუნვა არის გრამატიკული კატეგორია, რომლითაც გამოიხატება ურთიერთობა განსაზღვრულ სახელსა და სხვა სახელსა თუ მოვლენას შორის. ბრუნვათა რაოდენობა სხვადასხვა ენაში სხვადასხვანაირია. ყველა ბრუნვას გააჩნია თავისი სპეციფიკური ნიშანი, რადგანაც ზუსტად ამ ნიშნების მეშვეობით გამოიხატება ამა თუ იმ ენისათვის დამახასიათებელი სინტაქსური მნიშვნელობა და განსაზღვრულ მაჩვენებლებს შორის არსებული ურთიერთობა [ლობჟანიძე, 2001:3]. სახელის ცვლას ბრუნვათა მიხედვით ბრუნება ანუ დეკლინაცია ეწოდება.

ენის მორფოლოგიური ტიპიდან გამომდინარე ბრუნების ფორმებს სხვადასხვანაირი გრამატიკული შინაარსი აქვს. ფლექსიურ ენებში ბრუნვის ფლექსია გამოხატავს არა მხოლოდ ბრუნვის, არამედ რიცხვისა და სქესის გრამატიკულ კატეგორიებსაც. მაგალითად, ლათინური ენის, გენეტივის ფორმაში *librorum* ფლექსიას -*orum* აქვს არა მხოლოდ ნათესაობითი ბრუნვის, არამედ მრავლობითი რიცხვისა და მამრობითი სქესის მნიშვნელობაც. აგლუტინაციურ ენებში ბრუნვის ნიშნები გამოხატავენ მხოლოდ ბრუნვის მნიშვნელობებს [ბერიკაშვილი, 2008:7]. ეს არის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი ქართულ და ბერძნულ სისტემას შორის არსებული განსხვავებებისა. ბერძნული ფლექსიური ენაა და შესაბამისად ბრუნვის ნიშანი გამოხატავს არა მხოლოდ ბრუნვის, არამედ რიცხვისა და სქესის გრამატიკულ

კატეგორიებს. ხოლო ქართული აგლუტინაციური ენაა, ე. ი. ბრუნვის ნიშნებით მხოლოდ ბრუნვათა მნიშვნელობაა გადმოცემული. ამგვარად, ბრუნების პროცესი ქართულში მარტივია. ბრუნების სიმარტივეს ის გარემოება იწვევს, რომ ბრუნვის ნიშნებად ყველა სახელს ერთი და იგივე ბოლოსართი მოუდის როგორც მხოლოდობითში, ასევე მრავლობითში. მაგალითად, მხოლ. კაც-ი, კაც-მა, კაც-ს და ა. შ. – მრ. კაც-ებ-ი, კაც-ებ-მა, კაც-ებ-ს და ა. შ. ერთი ბრუნვის ფარგლებში ნაირსახეობას ვიღებთ ფონეტიკური პროცესების გამო [ჩიქობავა, 1950:032-033]. ბერძნულ ენაში სხვა ვითარებაა. ბერძნული ენა ინდოევროპულ ენათა ოჯახს მიეკუთვნება და შესაბამისად მას ახასიათებს ის ნიშნები, რაც ინდოევროპულ ენათა ბრუნებისას გვხვდება. ბრუნების სისტემა ბერძნულ ენაში მრავალფეროვნებას გვიჩვენებს მეტყველების ერთი ნაწილის ფარგლებშიც კი. იგი საკმაოდ რთულია. აქ ბრუნებისას მრავალი ფაქტორია გასათვალისწინებელი. კერძოდ: ა) სქესის გრამატიკული კატეგორია; ბ) სახელის ფუძის დაბოლოება; გ) სახელის თანაბარ და არათანაბარმარცვლიანობა; დ) სახელის ბრუნებისას ბრუნვის ნიშნების რაოდენობა ერთი ტიპის ფარგლებში და სხვ. გარდა ამისა, ერთსა და იმავე ბრუნვას შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული ბოლოკიდური იმისდა მიხედვით, თუ რა ბგერაზე ბოლოვდება სახელის ფუძე. ანუ ბერძნულში, ისევე როგორც ქართულში, დიდი მნიშვნელობა აქვს ფონეტიკურ პროცესს. ამ მრავალფეროვნების მიზეზები ინდოევროპული ენების ისტორიულ განვითარებაში უნდა ვეძიოთ. სუფიქსების მრავალფეროვნება არის ანარეკლი სახელთა უძველესი სემანტიკური კლასიფიკაციისა, რომელიც ახასიათებდა ინდოევროპულ ენებს იმ პერიოდში, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული ბრუნების სისტემა.

ამ კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს ყველა საგნის დიფერენციაცია ჯგუფებად განსაზღვრული ნიშნების მიხედვით, ანუ ხდება სახელთა დაჯგუფება მათი სემანტიკის შესაბამისად. მაგალითისთვის მოვიყვანთ ძველი ბერძნული ენის -r- ფუძიან სახელებს: ὁ πατήρ (მამა), ἡ μήτηρ (დედა), ἡ θυγάτηρ (ქალიშვილი), τὸ ἡπάρ (ღვიძლი) და სხვ. ანუ აქ -r- ფუძიან სახელებში შედის ნათესაობის და ადამიანისა და ცხოველის სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი სახელები. სახელების უძველესმა სემანტიკურმა დიფერენციაციამ გამოიწვია ინდოევროპულ ენებში ბრუნების ტიპების მრავალფეროვნება [დესნიც-

კაია/Десницкая, 1941:49-55] და შესაბამისად განაპირობა მათი ნაირსახეობები ცალკეულ ენებში, მათ შორის ბერძნულშიც.

ენის ისტორიული განვითარების შედეგად ბრუნების სისტემა შეიძლება გამარტივდეს და უნიფიცირება განიცადოს. ზოგიერთ ენაში ბრუნების სისტემა შეიძლება საერთოდ გაქრეს. თანაც სისტემის დაშლა არსებით სახელებში უფრო სწრაფი ტემპით ხდება, ვიდრე ნაცვალ-სახელებში. მაგალითად, თანამედროვე ფრანგულ ენაში არსებითი სახელი არ იცვლება ბრუნების მიხედვით, მაშინ როდესაც ნაცვალ-სახელებში შენარჩუნებულია ორი, პირდაპირი და ირიბი ბრუნვის ფორმა, მაგალითად, ფრანგ. je და me [ბულიგინა/Булыгина... 1990:457]. ბრუნების გაქრობა ძირითადად იმის მომასწავებელია, რომ ენაში ანალიტიკური გამოხატვის საშუალებები ვითარდება, რის შედეგადაც ბრუნვათა ფლექსიის ფუნქციას დამხმარე სიტყვები (არტიკლი, წინდებული) ასრულებენ.

ქართულში ყველა სახელი იბრუნვის, ისეთებიც კი, რომლებიც ნასესხებია ბრუნვის არმქონე ენებისაგან ან ისეთი ენებისაგან, რომლებსაც სახელთა ბრუნება შეიძლება ჰქონდეთ, საზოგადოდ, მაგრამ ზოგიერთი სახელი მაინც უბრუნველია. მაგალითად, სიტყვები: პალტო და დეპო ფრანგულისაგან რუსულშია ნასესხები, რუსულისაგან კი ქართულშია გადმოსული. არც ერთი მათგანი არ იბრუნვის არც ფრანგულში, არც რუსულში, მაგრამ ქართულში ისინი ბრუნვითაა [შანიძე, 1980:44]. ბერძნულში, ძირითადად, უცხო სიტყვები უბრუნველია. ეს სიტყვები ბრუნვის ნიშნების მიხედვით არ იცვლება, მაგრამ მათი ბრუნვა არტიკლით ჩანს, რომელიც ყველა ბრუნვაში იცვლება. ნასესხები სიტყვების უმრავლესობა ბერძნულში საშუალო სქესისაა, შესაბამისად, საშუალო სქესის არტიკლს დაირთვის. მაგალითად, το τένις (ჩოგბურთი), το τραμ (ტრამვაი), το ταξί (ტაქსი) – του τένις, του τραμ, του ταξί და ა. შ. [ტრიანდაფილიდისი/Τριανταφυλλίδης, 2002:254]. ქართულში საერთო წესიდან გამონაკლისს შეადგენს სულ რამდენიმე ნაცვალსახელი: *მე, შენ, ჩვენ, თქვენ, თვით*, რომლებიც არ იბრუნვის. ბერძნულში კი ეს ნაცვალსახელები ბრუნვაცვალდება.<sup>8</sup>

ბრუნების კლასიფიკაცია შეიძლება სხვადასხვა ნიშნის მიხედვით ხდებოდეს. ძირითადად გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორები:

---

<sup>8</sup> დაწვრილებით იხ. 102-103.



1. ბრუნვა შინაარსის მიხედვით შეიძლება იყოს სინტაქსური და სემანტიკური. სინტაქსური ბრუნვა ძირითადად გამოხატავს ამა თუ იმ სახელის სინტაქსურ ფუნქციას. სემანტიკური ბრუნვა კი გამოხატავს განსაზღვრულ სახელსა და წინადადების რომელიმე სხვა წევრს შორის არსებულ სემანტიკურ ურთიერთობას.
2. ბრუნვა შეიძლება იყოს რექციული ან შეთანხმებითი. პირველი გამოხატავს ისეთ სინტაქსურ ურთიერთობას, როგორცაა მართვა და განსაზღვრავს სახელს, როგორც დამოკიდებულ ერთეულს. მეორე კი გამოხატავს ისეთ სინტაქსურ ურთიერთობას, როგორცაა შეთანხმება და ახასიათებს უფრო ზედსართავ სახელს.
3. ბრუნვა შეიძლება იყოს სინთეტური ან ანალიტიკური. სინთეტური ბრუნვა გამოიხატება სუფიქსებით ან სხვა საშუალებებით ერთი სიტყვის ფარგლებში. ანალიტიკური ბრუნვა კი გამოიხატება ისეთი ფორმების მეშვეობით, როგორცაა წინდებული ან თანდებული (ძალიან ბევრ იბერიულ-კავკასიურ ენას ახასიათებს ე. წ. თანდებულიანი ბრუნვები).
4. ბრუნვა შეიძლება იყოს პირველადი ან მეორეული. პირველადი იწარმოება სახელის ფუძიდან, ხოლო მეორეული პირველადისაგან [ლობჯანიძე, 2001:3].

თანამედროვე ქართულში აღიარებული ტრადიციის თანახმად **შვიდი** ბრუნვაა.<sup>9</sup> ესენია:

ბრუნვა	ნიშანი
სახელობითი	-ი/0
მოთხრობითი	-მა/-მ
მიცემითი	-ს
ნათესაობითი	-ის
მოქმედებითი	-ით
ვითარებითი	-ად/-დ
წოდებითი	-ო/-ვ

<sup>9</sup> ბრუნვების სახელწოდებების გადმოცემისას როგორც ქართულ, ასევე ბერძნულ ენაშიც, მივუთითებთ ტრადიციულ, გრამატიკულ ლიტერატურაში აპრობირებულ ტერმინებს. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მიგვაჩნია, რომ ესა თუ ის სახელწოდება ზუსტად არ გამოხატავს ბრუნვის არსს და სასურველი იქნებოდა სხვა ტერმინების შემოღება.

ძველ ქართულში ცხრა ბრუნვა იყო. ესენია:

ბრუნვა	ნიშანი
წრფელობითი	-0
სახელობითი	-ი
მოთხრობითი	-მან
მიცემითი	-ს(ა)
ნათესაობითი	-ის(ა)
მიმართულებითი	-ისა
მოქმედებითი	-ით(ა)
ვითარებითი	-ად/-დ
წოდებითი	-ო/-ვ

ამ ბრუნვათაგან, როგორც ვხედავთ, წრფელობითი უნიშნო იყო და უდრიდა სახელის ფუძეს. ყველა დანარჩენს თავ-თავისი ნიშანი ჰქონდა მხოლოდით რიცხვსა და -ებ-იან მრავლობითში. რაც შეეხება -ნართანიან მრავლობითს, მას სამი ფორმა ჰქონდა: ერთი სახელობითისათვის, მეორე წოდებითისთვის, მესამე – ყველა დანარჩენთათვის, გარდა წრფელობითისა, რომელიც მას აკლდა [შანიძე, 1976:31].

მეცნიერთა შორის არ არსებობს აზრთა ერთიანობა არც ბრუნვათა თანმიმდევრობისა და არც ბრუნვათა რაოდენობის შესახებ როგორც ახალ, ისე ძველ ქართულშიც. ასე, მაგალითად, ზ. სარჯველაძის აზრით, ძველ ქართულში შვიდი ბრუნვაა: სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი, ვითარებითი და წოდებითი. მკვლევარი ცალკე არ გამოყოფს წრფელობითსა და მიმართულებით ბრუნვებს. მისი აზრით, „ძველი ქართულის დონეზე წრფელობითისა და სახელობითის ფორმები ერთმანეთს თავისუფლად ენაცვლებიან ისე, რომ არ ირღვევა წინადადების წყობა და არც აზრი იცვლება. ამიტომ წრფელობითი და სახელობითი ძველი ქართულისათვის ერთი ბრუნვის ვარიანტად უნდა მივიჩნიოთ. ამ ბრუნვას ჩვენ სახელობითს ვუწოდებთ. კაც, ზღუა და მისთანა ფორმები უნიშნო სახელობითია, ხოლო კაცი-ი, ზღუა-მ და მისთანანი ნიშნიანი“ [სარჯველაძე, 1997:25]. აგრეთვე მკვლევარი აღნიშნავს, რომ ძველ ქართულში იყო მეორეული ბრუნვებიც, ნაწარმოები ნათესაობითის ფორმისაგან: დანიშნულებითი და მიმართულებითი [სარჯველაძე, 1997:25]. ე. ი. მიმართულებითი ბრუნვა მას მეორეულ ბრუნვად აქვს მიჩნეული.

მეცნიერთა ნაწილი ზოგ ბრუნვას, მაგალითად, წოდებითს, მოთხრობითს და ა. შ. ბრუნვად არ მიიჩნევს ან არ მიიჩნევდა.<sup>10</sup> ასევე უძველესი დროიდან მოყოლებული ქართველი გრამატიკოსები სხვადასხვა ბრუნვას გამოყოფდნენ, რომელიც ყოველთვის არ ესადაგებოდა ქართული ენის სისტემას და შესაბამისად ბრუნვების თანმიმდევრობაც ყოველთვის განსხვავებული იყო. ამ მხრივ, საყურადღებო ცნობებს ქართული ბრუნვების რიგის შესახებ არნ. ჩიქობავა გვაწვდის, რომელიც ბრუნვათა ტრადიციულ დალაგებას უვარგისად მიიჩნევს, რადგანაც ასეთი თანმიმდევრობა „1) ხელს გვიშლის სწორი წარმოდგენა გამოვიძევათ ბრუნვათა შედგენილობის თავისებურებათა შესახებ ქართულში და 2) არ ეგუება ქართული ბრუნვების (კანკლედობის) პროცესს“ [ჩიქობავა, 1956:1]. ბრუნვათა დალაგების ე. წ. ტრადიციული რიგი, როგორც ცნობილია, ანტონის გრამატიკაში იღებს სათავეს.<sup>11</sup> ანტონს რვა ბრუნვა აქვს გამოყოფილი, ესენია: წრფელობითი, ნათესაობითი, მიცემითი, შემასმენლობითი, დაწყებითი, მოთხრობითი, მოქმედებითი და წოდებითი. მართალია, ანტონს შეტანილი აქვს ისეთი ბრუნვაც, რომელიც ქართულს არ გააჩნია, მაგრამ ვინაიდან სხვა ენებში ეს ბრუნვა არსებობდა, მიზანშეწონილად ცნო ამ ბრუნვის შეტანაც, მაგრამ ძირითადად, ანტონის მიერ შემოთავაზებული ბრუნვათა სისტემა საფუძვლად დაედო XVIII და XIX საუკუნეების ბევრ გრამატიკას. არ შევუდგებით სხვადასხვა გრამატიკაში არსებული ბრუნვების თანმიმდევრობის წარმოჩენას, მხოლოდ დავძენთ, რომ აქ ჩვენ სხვადასხვანაირ დალაგებას ვხვდებით. ანტონის რიგს იმეორებენ გაიოზი, ვარლამ ეპისკოპოსი, იესე ჩუბინაშვილი, სოლომონ დოდაშვილი, რამდენადმე იმეორებს პლატონ იოსელიანი, მაგრამ მისგან დიდად განსხვავდება დავით ჩუბინაშვილის, დიმიტრი ყიფიანის, არ. ქუთათელაძის, პ. ვვიცარიძის, თედო ჟორდანიას, მოსე ჯანაშვილის, ს. ხუნდაძის მიერ წარმოდგენილი რიგები, რომლებიც თავიანთ მხრივ, მეტ-ნაკლებად, ერთმანეთისაგან განსხვავდებიან [ცერცვაძე, 1956:470].

<sup>10</sup> ამ ბრუნვებს დაწვრილებით ქვემოთ განვიხილავთ.

<sup>11</sup> ანტონის გრამატიკა ორი რედაქციით არსებობს. პირველი – 1753 წლისა, ხოლო მეორე, შესწორებული ვარიანტი – 1767 წლისაა. ავტორის დამოუკიდებლობა უფრო ჩანს მეორე გრამატიკაში, რომელიც 1885 წელს გამოიცა რაფიელ ერისთავის რედაქტორობით [ლექავა, 1956: 434].

აღსანიშნავია, რომ ქართულის ბრუნვათა ტრადიციული თანმიმდევრობა – სახელობითი, ნათესაობითი, მიცემითი, მოთხრობითი, მოქმედებითი, ვითარებითი და წოდებითი – უცხო გრამატიკების ზეგავლენითაა შექმნილი. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ანტონი გრამატიკაზე მუშაობისას იყენებდა არაერთ უცხო გრამატიკას. პირველი გრამატიკის შედგენისას მან გამოიყენა სომეხი გრამატიკოსის მხითარის სომხური ენის გრამატიკა. მეორე რედაქცია კი შევსებული და შესწორებულია ლათინური, ბერძნული და რუსული გრამატიკების მიხედვით [ცერცვაძე, 1956:459]. მიუხედავად ამისა, ალ. ცაგარელის აზრით, ანტონს სწორად აქვს გადმოცემული „...ის, რაც თითოეული ენის გრამატიკულ თავისებურებებს შეადგენს, ბგერითი თავისებურებანი, ეტიმოლოგიური ფორმები, სიტყვათწარმოება, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, უმთავრესად კი ბრუნება და უღვლილება გადმოცემულია დამოუკიდებლად და ქართული ენის ბუნების შესაბამისად“ [ცაგარელი/Цагарели, 1873:22]. აქვე გვინდა აღვნიშნოთ ე. ბაბუნაშვილის მართებული მითითება: „ამთავითვე უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება, თვითონ ანტონი დაჟინებით უარყოფს თავისი გრამატიკის დაწერისას მხოლოდ სომხური გრამატიკის გამოყენებას არა მარტო მეორე, არამედ პირველი რედაქციის წინასიტყვაობაშიც. პირველ რედაქციაში ის ამბობს, რომ ამ მიზნით მან ლათინური ენის გრამატიკოსები მოიშველია, მეორეში კი ასახელებს ბერძნული, ლათინური, ფრანგული, იტალიური, გერმანული და რუსული ენის გრამატიკოსებს. ამ ასპექტში, ბუნებრივია, საკითხი ისმის ანტონის გრამატიკის მიმართებისა არა მარტო მხითარის გრამატიკასთან, არამედ ბერძნულ და ლათინურ გრამატიკებთანაც“ [ბაბუნაშვილი, 1970:11]. რა თქმა უნდა, ევროპულ ენათა გრამატიკული სახელმძღვანელოები, ძირითადად, ბერძნულ-ლათინური გრამატიკების საფუძველზეა შექმნილი. უკვე ანტიკური ეპოქის გრამატიკოსებთან ვხვდებით დაინტერესებას ისეთი საკითხებით, როგორცაა ბრუნვა და ბრუნება. აქ, ძირითადი აქცენტი გადატანილია საკუთრივ ბრუნვებზე – მათ სახელწოდებებსა და რაოდენობაზე. ასე, დიონისიოს თრაკიელის გრამატიკაში ჩამოთვლილია ხუთი ბრუნვა (მოქმედებითისა და ვითარებითის გარდა), თან თითოეული ბრუნვისათვის ავტორს რამდენიმე სახელი აქვს მითითებული. „Πῶσαις ὁπομάται εἰς πέντε· ἴσθι, γεινῆ, δοτικῆ,

αἰτιατική, κλητική. Λέγεται δὲ ἢ μὲν ὀρθῇ ὀνομαστική καὶ εἰςθεῖα, ἢ δὲ γενική κτητική τὲ καὶ πατρική, ἢ δὲ δοτική ἐπισταλτική, ἢ δὲ αἰτιατική κατ’ αἰτιατικὴν, ἢ δὲ κλητική προσαγορευτική“ („სახელების ბრუნვა არის ხუთი: წრფელობითი, ნათესაობითი, მიცემითი, მიზეზობითი, წოდებითი. წრფელობითს სახელობითსა და ადვილობითს უწოდებენ, ნათესაობითს – კუთვნილებითსა და ჩამომავლობითს, მიცემითს – მიმართულებითს, მიზეზობითს – მიზეზის თანახმად უწოდებენ, წოდებითზე მიმართვითსაც იტყვიან“) [ქაროსანიძე, 2000:102]. თანმიმდევრობა ამ ბრუნვებისა იგივეა, რაც ქართულ გრამატიკებში იყო ტრადიციული. თუმცა ქართულისათვის ასეთი განლაგება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიუღებელია. ქართული ბრუნვების თანმიმდევრობის შესახებ სხვადასხვა თვალსაზრისი არსებობს. ჩვენ ორ მათგანს შევხებით: ერთი ეკუთვნის არნ. ჩიქობავას, მეორე კი – აკ. შანიძეს. ორივე თვალსაზრისი ეყრდნობა ქართული კანკლედობის სპეციფიკურობას. განსხვავება მათ შორის მცირეა და დამოკიდებულია წოდებითი ბრუნვის ბრუნვად მიჩნევაზე. ორივე თანმიმდევრობა ითვალისწინებს არა მარტო ბრუნვის ფორმათა მორფოლოგიურ მხარეს, არამედ აგრეთვე სინტაქსურსაც. ჯერ მოთავსებულია სუბიექტის ბრუნვები: სახელობითი, მოთხრობითი და მიცემითი ანუ ის ბრუნვები, რომლებშიაც ფუძე არ იკუმშება, მერე კი ისინი, სადაც ფუძე შეიძლება შეიკუმშოს. შედარებისთვის წარმოვადგინოთ ორივე თანმიმდევრობას.

არნ. ჩიქობავას მიერ შემოთავაზებული ბრუნვათა თანმიმდევრობა.<sup>12</sup>

სახელობითი	კედელ-ი	მთა	ხე	ფუძე არ იკუმშება ან არ იკვეცება
მოთხრობითი	კედელ-მა	მთა-მ	ხე-მ	
მიცემითი	კედელ-ს(ა)	მთა-ს(ა)	ხე-ს(ა)	
ვნებითი	კედელ-ად	მთა-დ	ხე-დ	
ნათესაობითი	კედელ-ის(ა)	მთ-ის(ა)	ხ-ის(ა)	ფუძე იკუმშება ან იკვეცება
მოქმედებითი	კედელ-ით(ა)	მთ-ით(ა)	ხ-ით(ა)	

<sup>12</sup> ცხრილი აღებულია სტატიიდან: არნ. ჩიქობავა 1956. რატომ არის აუცილებელი ბრუნვათა რიგის შეცვლა ქართულში? *სახელის ბრუნვების ისტორიისათვის ქართველურ ენებში*. ტ. 1. თბილისი, 7.

აკ. შანიძის მიერ შემოთავაზებული ბრუნვათა თანმიმდევრობა.

სახელობითი	სუბიექტის ბრუნვები, ფუძე არ იკუმშება ან არ იკვეცება
მოთხრობითი	
მიცემითი	
ნათესაობითი	ფუძე იკუმშება ან იკვეცება
მოქმედებითი	
ვითარებითი	ფუძე იკუმშება ან არ იკვეცება
წოდებითი	ფუძე არ იკუმშება ან არ იკვეცება

ამ მხრივ ძირითადი განსხვავება, რომელიც არის დაფიქსირებული ამ ორ თანმიმდევრობას შორის, დამოკიდებულია წოდებითი ბრუნვის ბრუნვად მიჩნევაზე. ა. შანიძეს გააზრებული აქვს, რომ შეიძლებოდა ვითარებითი ბრუნვის მიცემითის შემდეგ დასმა, რაც უფრო სწორი იქნებოდა ბრუნებისას მომხდარი ფონეტიკური ცვლილებების თვალსაზრისით. ისე, როგორც ეს არნ. ჩიქობავას აქვს გაკეთებული. მაგრამ მაშინ დაისმოდა წოდებითი ბრუნვის საკითხი. „რაც შეეხება ვითარებითს, შეიძლებოდა ის გადმოგვესვა მიცემითის შემდეგ, რადგანაც ხმოვან-კვეცილ ფუძეებში ფუძის ხმოვნის მიხედვით ის გვერდში ამოუდგებოდა იმ ბრუნვებს, სადაც ეს ხმოვანი შენახულია, და შემდეგ დაიწყებოდა შეკვეცა, მაგრამ ამ შემთხვევაში ფუძის ხმოვანი მაინც იჩენდა თავს უკანასკნელ ბრუნვაში, წოდებითში. ამიტომ სჯობს, მას იგივე ადგილი შერჩეს, რომელიც ტრადიციულად ჰქონდა მოქმედებითსა და წოდებითს შუა“ [შანიძე, 1980:46]. არნ. ჩიქობავა წოდებითს ბრუნვად არ მიიჩნევს და, შესაბამისად, ბრუნვათა თანმიმდევრობაც ძირითადად ფონეტიკურ ცვლილებებზე აქვს დაფუძნებული.

ახალ ბერძნულში სულ **ოთხი** ბრუნვაა.<sup>13</sup> ესენია:

Ονομαστική	სახელობითი
Γενική	ნათესაობითი
Αιτιατική	ბრალდებითი
Κλητική	წოდებითი

<sup>13</sup> ცხრილში არ არის მითითებული ბრუნვის ნიშნები, ვინაიდან ბერძნულში ბრუნების სხვადასხვა ტიპის სახელებთან სხვადასხვა დაბოლოებებს ვხვდებით.

ამათგან, სახელობითი გამოიყენება კითხვაზე: ვინ? რა? პასუხის გაცემისას. ნათესაობითი: ვისი? რისი?, ბრალდებითი: ვის? რას?, ხოლო წოდებითი ეწოდება ბრუნვას, რომელიც გამოიყენება ვინმეს დამახე-ბისას ან ვინმესთან მისალმებისას [ტრიანდაფილიდისი, 1999:142-143].

ძველ ბერძნულში **ხუთი** ბრუნვა იყო. ესენია:

Ὀνομαστική	სახელობითი
Γενική	ნათესაობითი
Δοτική	მიცემითი
Αἰτιατική	ბრალდებითი
Κλητική	წოდებითი

როგორც ვხედავთ, ახალ ბერძნულში ძველისაგან განსხვავებით არ გვაქვს მიცემითი ბრუნვის ფორმა.<sup>14</sup> მისი ფუნქციები გადანაწილდა ბრალდებითსა და ნათესაობით ბრუნვებზე. ძველი ბერძნულის ბრუნვების ძირითადი ფუნქციები შემდეგნაირი იყო: სახელობითი გადმოსცემდა სუბიექტს, ნათესაობითი – კუთვნილებას, მიცემითი – ირიბ ობიექტს, ბრალდებითი – პირდაპირ ობიექტს, ხოლო წოდებითი გამოხატავდა მიმართვას [გორდეზიანი... 2001:36].

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ პროტობერძნულში ინდოევროპული ენებისათვის დამახასიათებელი რვა ბრუნვა იყო, ანუ: ნომინატივი, გენეტივი, დატივი, აბლატივი, ლოკატივი, ინსტრუმენტალისი და ვოკატივი. უძველეს ბერძნულ ტექსტებში ეს სისტემა გამარტივებული სახით გვევლინება. გამარტივების ტენდენცია საერთოდ დამახასიათებელია ენების ისტორიისათვის. უკვე თვით საერთო ინდოევროპულ ენაში გვხვდებოდა შემთხვევები, როცა ერთსა და იმავე ფორმას რამდენიმე ბრუნვაში იყენებდნენ. საერთო ინდოევროპულ ენაში, რამდენადაც შედარებითი ენათმეცნიერება მისი აღდგენის საშუალებას გვაძლევს, ათემატური ფლექსიის დროს (მე-3 ბრუნვა) გენეტივი და აბლატივი მხოლოდით რიცხვში დაემთხვა ერთმანეთს, ასე რომ, თუკი ბერძნულში ერთი და იგივე ფორმა κλητική გამოიყენება, როგორც

<sup>14</sup> მიცემითი ბრუნვის დაკარგვის შესახებ იხ. ს. ბერიკაშვილი 2003. დატივის გაქრო-ბა ბერძნულ ენაში. *ლოგოსი. წელიწადიული ელინოლოგიასა და ლათინისტიკაში*. ტ. I. თბილისი, 111-117.

გენეტივი და აბლატივი, ამაში ახალი არაფერია [შანტრენი/Шантрэн, 1953:13].

ინდოევროპული ენის სახელების სრული პარადიგმა, რომელიც ისტორიულ ინდოევროპულ დიალექტებში დასტურდება, მაშინ ყალიბდება, როდესაც ინდოევროპული ბრუნების სისტემაში ჩნდება სპეციალური ფორმები დატივისა და ლოკატივის ბრუნებისათვის [გამყრელიძე/Гамкрелидзе... 1984:285]. როგორც ცნობილია, საერთო ინდოევროპულ ენაში სემანტიკური თვალსაზრისით განირჩეოდა ორი კლასი: აქტივი და ინაქტივი. ასე, მაგალითად, ინდოევროპულის ლექსემები ადამიანი და ცხოველი, სემანტიკური თვალსაზრისით ორივე აქტივის კლასს მიეკუთვნებოდა და ჰქონდა დაბოლოებები \*-s/\*-os. მაგრამ, როდესაც წინადადებაში ორივე სახელი გამოიყენებოდა ერთი სუბიექტის და მეორე ობიექტის მნიშვნელობით, მაგალითად, ისეთი ტიპისა, როგორიცაა: ადამიანმა მოკლა ცხოველი, სიტყვა ცხოველი იღებდა ინაქტივის დაბოლოებას, ანუ \*-m/\*-om. ეს არის ე. წ. სტრუქტურულ-სინტაქტიკური ინაქტივი. ინაქტივის ასეთი სტრუქტურულ-სინტაქტიკური გამოყენება შეიძლება მივიჩნიოთ ბრუნების ფორმის ჩამოყალიბების საწყის ვარიანტად, კერძოდ, ეს არის აკუზატივის წარმოშობა ნომინატივის საპირისპიროდ [გამყრელიძე/Гамкрელიдзе... 1984:276-277]. შემდეგ ჩნდება გენეტივის ფორმა, რომელიც იმავე აქტივ-ინაქტივის კლასის ნიშნებით ფორმდება ანუ ემთხვევა აქტივის კლასთან ნომინატივის, ხოლო ინაქტივის კლასთან აკუზატივის ფორმებს. საერთო ინდოევროპული ენის ბრუნების ჩამოყალიბების პროცესში აკუზატივისა და დატივის გადმოსაცემად ერთი ფორმა გამოიყენებოდა. ამას ადასტურებს ძველი ხეთური პირველი და მეორე პრონომინალური ფორმები – მაგალითად, ammuk (მე – ბრალდ., მიც.) tuk (შენ – ბრალდ., მიც.), რომლებიც გვიჩვენებს ინდოევროპული ენის უძველეს მდგომარეობას – როცა იყო ორი ძირითადი სახელადი მაწარმოებელი, რომლებიც მოგვიანებით სუბიექტური და საერთოობიექტური ბრუნების სახით გაფორმდა. ამ ბრუნების საშუალებით ხდებოდა ყველანაირი ურთიერთობა პრედიკატულ ფორმებთან. თვითონ დატივ-ლოკატივი ჩნდება მოგვიანებით, მას შემდეგ, რაც იშლება ბრუნების ბინარული სისტემა და ჩნდება უფრო რთული ბრუნების ტიპი. დატივის \*-ei და ლოკატივის \*-i დაბოლოებები ინდოევროპულში არის გარემოებითი



ბრუნვის ნიშნის ორი აბლაუტური ფორმა, შესაბამისად, აქტივისა და ინაქტივის კლასის სახელებთან. \*-ei-ზე დაბოლოებული სახელები გამოხატავდნენ აქტივის კლასს, ხოლო \*-i-ზე დაბოლოებულები – ინაქტივის კლასს [გამყრელიძე/Гамкრელიძე... 1984:286-287]. სტრუქტურულ-სინტაქსური ინაქტივი (რომელიც მოგვიანებით ინდოევროპულ აკუზატივად გაფორმდა), გამოხატავდა როგორც პირდაპირი დამატების, ასევე ირიბი დამატების ფუნქციასაც. ანუ, მოგვიანებით ჩამოყალიბებული დატივის, ლოკატივისა და აბლატივის ფუნქციებს [გამყრელიძე/Гамкრელიძე... 1984:286]. მსგავსი სახის მოვლენას ვხვდებით ძველ ბერძნულში, სადაც ბერძნული დატივი შეითავსებს საკუთრივ მიცემითის, ინსტრუმენტალისის და ლოკატივის ფუნქციებს. ამისდა მიხედვით გვაქვს სუფთა მიცემითი, ადგილის მიცემითი და იარაღის მიცემითი [მავრომატისი/Μαυροματῆς, 1960:11]. თ. გამყრელიძე აღნიშნავს, რომ აქ ტიპოლოგიური პარალელის გავლება შეიძლება ქართველური ენების ენობრივ სტრუქტურასთან, სადაც ანაქრონისტულად შენარჩუნდა სახელთა კლასების ბინარული დაპირისპირება. აქ -ს ნიშნით გამოხატული ბრუნვა აღნიშნავს როგორც პირდაპირი დამატების ფუნქციას, ასევე დატივის და მიმართულებითი ბრუნვების ფუნქციებს. მაგალითად, კაცი აძლევს წიგნ-ს ბავშვ-ს; მიდის ქალაქ-ს და სხვ. [გამყრელიძე/Гамкრელიძე... 1984:286].

საბოლოოდ ჩნდება სახელის რვაბრუნვიანი სისტემა, რომელიც ძველ ბერძნულში უკვე შეკვეცილი სახით გვევლინება. აქ აღარ გვაქვს აბლატივი, ლოკატივი და ინსტრუმენტალისი. ბევრ ინდოევროპულ ენაში ბრუნვათა რიცხვი შემცირდა. ძირითადად, ბრუნვათა შემცირება ოთხ ბრუნვას ეხება: აბლატივს, ლოკატივს, ინსტრუმენტალისსა და დატივს [ბიქსი/Beekes, 2004:255]. ძველ ბერძნულში აბლატივის, ლოკატივისა და ინსტრუმენტალისის ფუნქციები დატივმა შეითავსა. ისეთ წინადადებებში, სადაც სანსკრიტში ინსტრუმენტალისი დასტურდება, ძველ ბერძნულში წინდებულიან დატივის ფორმას ვხვდებით. შემდეგ კი დატივიც ქრება და მისი გაქრობის შემდეგ (დატივი შუა საუკუნეებიდან აღარ გამოიყენება, მაგრამ ფუნქციის შემცირების ტენდენციები უკვე კოინეში, ძვ. წ. IV საუკუნიდან ჩანს), გვრჩება ოთხბრუნვიანი სისტემა.

ბერძნული ენის ბრუნვათა სისტემის სპეციფიკურობა იმაში მდგომარეობს, რომ მას ახასიათებს მკვეთრად გამოხატული ტენდენცია

ბრუნვათა რაოდენობის შემცირებისაკენ, უნიფიკაციისაკენ. როგორც აღვნიშნეთ საერთო ინდოევროპული რვაბრუნვიანი სისტემიდან ძველ ბერძნულში ხუთი ბრუნვა დასტურდება, შემდეგ დატივი ქრება და ახალ ბერძნულში ოთხბრუნვიანი სისტემა გვაქვს. თუმცა ბერძენ მეცნიერთა დიდი ნაწილი წოდებით ბრუნვას ბრუნვად არ მიიჩნევს,<sup>15</sup> და შესაბამისად, თუ გავიზიარებთ ამ აზრს, გამოდის რომ ახალ ბერძნულში უკვე სამი ბრუნვაა. ბრუნვების გაქრობის ტენდენცია მორფოლოგიურ დონეზე ახალ ბერძნულშიც იჩენს თავს. ბრუნვების სხვადასხვა ტიპში მრავლობითი რიცხვის აკუზატივი ემთხვევა ნომინატივს, მრავლობითი რიცხვის გენეტივი ნაკლებად გამოიყენება, მხოლობითი რიცხვის მამრობითი სქესის -აც და -იჯ-ზე დაბოლოებული სახელების პარადიგმები (მაგალითად, πατέρας) შემოიფარგლება მხოლოდ ქვემდებარის ბრუნვის დაპირისპირებით დამატების ბრუნვასთან [ბერიკაშვილი, 2008:54]. ადრეც გამოგვითქვამს მოსაზრება და აქაც გვსურს გავიმეოროთ ჩვენი ვარაუდი, რომ ბერძნული ენა თავისი ისტორიული განვითარების მანძილზე გამარტივების შედეგად თავის პირვანდელ სახეს უბრუნდება, ანუ შესაძლოა, რომ ისევ მივდივართ ბინარული სისტემისაკენ: ქვემდებარისა და დამატების ბრუნვის დაპირისპირებისაკენ.<sup>16</sup> აქ, რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია პურიზმის ფენომენი ენაში, რომელმაც ძალიან გაზარდა ნათესაობითი ბრუნვის ფორმების გამოყენება ახალ ბერძნულში. ეს გარკვეულწილად გამოწვეული იყო ფრანგულიდან და სხვა დასავლეთის ენებიდან სინტაქსური კონსტრუქციების შემოტანით, რამაც, ბუნებრივია, ოდნავ შეაჩერა ბრუნვათა სისტემის ცვლილებები.

რაც შეეხება ბრუნვათა თანმიმდევრობას ახალ ბერძნულში, ამ მხრივ არ არის აზრთა სხვადასხვაობა და შესაბამისად არც სამეცნიერო ლიტერატურაში დასტურდება ბრუნვათა რიგის შეცვლის შესახებ ისეთი კამათი, როგორც ქართულში გვაქვს. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან ბერძნულმა ტრადიციით ძველი ბერძნული გრამატიკული

---

<sup>15</sup> ბერძნულ ენაში წოდებითი ბრუნვის პრობლემატიკის შესახებ იხ. ს. ბერიკაშვილი 2004. ვოკატივის პრობლემისათვის ბერძნულ ენაში. *ლოგოსი. წელიწადული ელინოლოგიასა და ლათინისტიკაში*. ტ. II. თბილისი, 58-63.

<sup>16</sup> აღნიშნული ჰიპოთეზის ამსახველი სქემის სახით წარმოდგენილი მასალა შეგიძლიათ იხ. ჩვენს ნაშრომში: ს. ბერიკაშვილი 2008. ბრუნვების სისტემის კლასიფიკაციის პრინციპები ძველსა და ახალ ბერძნულში. თბილისი, 63-64.

აზროვნებისაგან მიიღო ბრუნვათა ის თანმიმდევრობა, რაც ბერძნული ენის სტრუქტურისათვის იყო დამახასიათებელი. ხოლო ქართულს კი მოუწია უცხო ტრადიციით დამკვიდრებული რიგის ქართული სინამდვილისათვის მორგება. პირველად ბრუნვის სახელწოდებები და ბრუნვათა რიგი სტოელებმა შემოგვთავაზეს. ზუსტად სტოელებმა ტერმინ Πῶσις-ს (ბრუნვა) ის მნიშვნელობა მისცეს, რომელიც მას დღესაც აქვს. სტოელებს, როგორც ჩანს, ხუთბრუნვიანი სისტემა ჰქონდათ, რომელიც შედგებოდა „პიდაპირი ბრუნვისა“ (ῥιπή πῶσις) და ოთხი „ირიბი ბრუნვისაგან“ (πλαγίαι πῶσις). პირდაპირ ბრუნვას სახელობითი ბრუნვა (ῥοιμαστική) ერქვა. ირიბ ბრუნვათაგან სამის სახელწოდებას დიოგენე ლაერტელი გვაწვდის. ესენია: ნათესაობითი (γενική), მიცემითი (δοτική) და მიზეზობითი<sup>17</sup> (αίτιατική). ჰქონდათ თუ არა სტოელებს გამოყოფილი მეხუთე ბრუნვა, იმ მასალების მიხედვით, რაც თანამედროვე მეცნიერებას გააჩნია, მკაფიოდ არ ჩანს. გერმანელი მეცნიერი შტაინთალი ამტკიცებს, რომ არ შეიძლება სტოელებს მეხუთე ბრუნვად წოდებითი (κλητική) ჰქონოდათ, რადგან ისინი წოდებითის ფორმას ცალკე განიხილავდნენ, როგორც მიმართვასო (προσαγορευτικός) [ქაროსანიძე, 2000:14]. დიონისიოს თრაკიელმა ზუსტად სტოელებისაგან აიღო ბრუნვათა სისტემა და იმ დროიდან ასეთი თანმიმდევრობა დამკვიდრდა მსოფლიოს მრავალ ენაში. არნოლდ ჩიქობავას სიტყვებით რომ ვთქვათ, „მას აქეთ ოცდაერთმა საუკუნემ განვლო და მაინც ტრადიციის ლოცვა-კურთხევა გზას უნათებს სტოელ ფილოსოფოსთა ტერმინებსა და პირველადვე განწესებულს მათს თანამიმდევრობას“ [ჩიქობავა, 1956:1].

---

<sup>17</sup> ტერმინ „მიზეზობითის“ შესახებ იხ. ლ. ქაროსანიძე 2000. დიონისიოს თრაკიელის „გრამატიკის ხელოვნება“ და ძველი ქართული გრამატიკული აზროვნება. თბილისი, 36-37, სადაც ავტორს აქვს მოცემული ბერძნული ტერმინის αἰτιατική ორივე თარგმანი „ბრალდებითი“ და „მიზეზობითი“ და შესანიშნავად აქვს დასაბუთებული ტერმინ „მიზეზობითის“ უპირატესობა „ბრალდებითთან“ შედარებით. ჩვენ უბრალოდ, ალფრედ გუდემანისა და დიონისიოს თრაკიელის „გრამატიკის ხელოვნების“ გამომცემელის გუსტავ ულიგის გარდა, რუდოლფ პფაიფერსაც დავიმოწმებდით, რომელიც მიუთითებს, რომ ბრუნვის სახელწოდება უნდა შეესაბამებოდეს მის ფუნქციას. ბრუნვის სახელი წარმოდგება სიტყვიდან αἶπατόν, რაც მიზეზს ნიშნავს, ამგვარად, იგი შეეფერება ბრუნვას, რომელიც მოქმედების მიზეზს აღნიშნავს [პფაიფერი/Pfeifer, 1968:244].

ბრუნვების სახელწოდებები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ანტიკური ეპოქის გრამატიკოსების დაკვირვებების შედეგს წარმოადგენს. ზუსტად იმავე სახით შემონახულია ეს სახელწოდებები ახალ ბერძნულშიც. მართალია, ანტიკური ეპოქის გრამატიკოსებთან რამდენიმე ტერმინი დასტურდება ამა თუ იმ ბრუნვის გამოსახატავად, მაგრამ შემდეგ ტრადიციით ერთ-ერთი მათგანი მკვიდრდება. ასე, მაგალითად, სახელობითის გადმოსაცემად სტოელები იყენებენ ტერმინს – ὀνομαστική (სახელობითი), ἴρμη (პირდაპირი, წრფელი), ხოლო დიონისიოს თრაკიელი ამ ტერმინს უმატებს კიდევ ერთს εἰσεία (პირდაპირი, წრფელი). როგორც ვხედავთ, დიონისიოსს ორი სინონიმი აქვს გამოყენებული ერთი და იმავე ბრუნვის გადმოსაცემად.<sup>18</sup> ძველ ქართულ წყაროებში პირველი ბრუნვისათვის დადასტურებულია შემდეგი ტერმინები: ადვილობითი, ევთია და ორთი, საწრფელო, წრფელობითი და სახელობითი [ქაროსანიძე, 2000:31]. ამ სახელწოდებებით ჩანს, რომ ყველა ეს ტერმინი ბერძნული ტერმინების თარგმანს წარმოადგენს. პირველად სახელობითი ბრუნვა ბრუნვად სტოელებმა ჩათვალეს, მანამდე კი იგი ცალკე მეტყველების ნაწილად – სახელად ითვლებოდა. ამის შესახებ დიდი დავა იყო პერიპატეტიკოსებსა (არისტოტელეს მიმდევრებს) და სტოელებს შორის, რასაც დიონისიოს თრაკიელის ნაშრომის კომენტარებისას, სქოლიასტები არაერთხელ აღნიშნავენ. ჰელიოდოროსის აზრით, εἰσεία პირველი ბრუნვაა იმიტომ, რომ მას გრამატიკული ფორმა არ გააჩნია, ხოლო მისგან ნაწარმოებ მომდევნო ბრუნვას გრამატიკული ფორმა აქვს [ქაროსანიძე, 2000:33]. მაშასადამე, პირველი ბრუნვა იყო ἴρμη ან εἰσεία, ანუ პირდაპირი. დღესდღეობით პირველი ბრუნვის გადმოსაცემად ახალ ბერძნულში დამკვიდრებულია ტერმინი ὀνομαστική (სახელობითი), ვინაიდან სახელობითის ძირითად ფუნქციად მიჩნეულია საგნის დასახელება [კლერისი/Κλαίρη... 1998:41]. თუმცა ბერძნული ენის გრამატიკაში აღნიშნულია, რომ ბერძნულის ოთხი ბრუნვიდან სახელობითი და წოდებითი არის პირდაპირი. აქ გამოყენებულია ტერმინი ἴρμη: „Ἡ ὀνομαστική και η κλητική ὀνομάζονται

<sup>18</sup> ტერმინ εἰσεία-ს შესახებ დაწვრილებით იხ. ლ. ქაროსანიძე 2000. დიონისიოს თრაკიელის „გრამატიკის ხელოვნება“ და ძველი ქართული გრამატიკული აზროვნება. თბილისი, 31-35.

ορθὴ πτῶσει, ἡ γενικὴ καὶ ἡ αιτιατικὴ πλάγιε.” („სახელობითსა და წოდებითს პირდაპირი ბრუნვები ეწოდებათ, ნათესაობითსა და ბრალდებითს კი – ირიბი“) [ტრიანდაფილიდისი/Τριανταφυλλίδης, 2002:210]. რამდენად მართებულია წოდებითი ბრუნვის პირდაპირ ბრუნვად აღიარება, ეს ცალკე მსჯელობის საგანია. როგორც ჩანს, აქ საქმე გვაქვს, საერთოდ ინდოევროპული ენებისათვის დამახასიათებელ ტენდენციასთან, სადაც თავდაპირველად ნომინატივის და ვოკატივის ფუნქციები არ იყო გამიჯნული, და შესაბამისად, ამ ენებს აღნიშნული ორი ბრუნვის სინკრეტიზმი ახასიათებდათ. საერთო ინდოევროპულში ნომინატივ-ვოკატივის გადმოსაცემად ერთი ფორმა გვექონდა როგორც მხოლობით, ისე მრავლობით რიცხვშიც. შემდეგ მხოლობითში მოხდა ამ ბრუნვების დიფერენციაცია. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს დაყოფა უფრო გვიანდელია [კურილოვიჩი/Kurilowicz, 1964:197-198]. ამის კვალობაზე, ახალ ბერძნულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში სახელობითი და წოდებითი პირდაპირ ბრუნვებად მოიხსენიება. ქართულში პირველი ბრუნვის გადმოსაცემად ზუსტად იგივე ტერმინი გვაქვს, რაც ბერძნულში. ჩვენში ტერმინი სახელობითი წრფელობითის ნაცვლად პლატონ იოსელიანმა შემოიღო.<sup>19</sup> მკვლევარი ილ. ცერცვაძე აღნიშნავს, რომ ეს ტერმინი „ჩვენში შესაძლებელია რუსულის ან უშუალოდ ლათინური nominativus-ის თარგმნით იყოს გადმოღებული“ [ცერცვაძე, 1956:470]. თუმცა, როგორც ვხედავთ, ეს ტერმინი ძველ ბერძნულშიც დასტურდება, ასე რომ, სავსებით შესაძლებელი იქნებოდა, ეს ტერმინი ძველი ბერძნულიდანაც თარგმნილიყო. ქართველი მეცნიერები ხომ ზედმიწევნით კარგად იცნობდნენ უცხო გრამატიკულ თეორიებს და მით უმეტეს ბერძნულსაც.

მეორე ბრუნვად ახალ ბერძნულში დღესაც ნათესაობითი ბრუნვაა წარმოდგენილი. მისი სახელწოდებაც ძველი ბერძნული გრამატიკებიდან მომდინარეობს. ნათესაობითის გადმოსაცემად დასტურდება ტერმინი γενική (ნათესაობითი). ჰელიოდოროსი გადმოგვცემს, რომ γενική ჰქვია იმიტომ, რომ იგი წარმომშობია, დედაა ირიბი ბუნვების – ὅτι γένεσις ἐστὶ ταῖς ἄλλαις πτῶσεσι καὶ λοιπῶν πλαγίῳσιν [ქაროსანიძე, 2000:35]. ქართულ სინამდვილეში ამ ტერმინის აღსანიშნავად რამდე-

<sup>19</sup> ეს ტერმინი დასტურდება პლატონ იოსელიანის გრამატიკაში: „პირსწლ-დაწყებითნი კანონნი ქართულისა ღრამმატიკისა“, რომელიც 1840 წელს გამოიცა.

ნიმე ტერმინი გვხვდება, ესენია: შობილობითი, სანათესაო და ნათესაობითი. დღესდღეობით, დამკვიდრებულია ტერმინი ნათესაობითი. ბერძნულის γεινική-ს გარდა საკუთრივ ნათესაობითისა დატივის და აბლატივის ფუნქციებიც აქვს შეთავსებული. ქართულში ნათესაობითი გამოხატავს უბრალო დამატებას და სუბსტანციურ განსაზღვრებას. წინადადებაში ამა თუ იმ წევრის გადმოსაცემად ამ ბრუნვის ფორმას ხშირად დაერთვის თანდებული. თანდებულიანი ნათესაობითით გადმოიცემა: ა) უბრალო დამატება, ბ) დროის გარემოება, გ) ვითარების გარემოება, დ) მიზეზის გარემოება და ე) მიზნის გარემოება [კვაჭაძე, 1996: 231-233].

მესამე ბრუნვად ძველ ბერძნულში მიცემითი ბრუნვა იყო, რომელიც ახალ ბერძნულში აღარ დასტურდება. ლ. ქაროსანიძე აღნიშნავს, რომ მესამე ბრუნვის სახელწოდება თითქმის ყველა ენაში „მიცემა“ ზმნასთან არის დაკავშირებული. „თრაკიელის კომენტატორთა განმარტებებში ასეთ ახსნას ვპოულობთ: διοτική წარმომდგარია δίνωμι (მიცემა) ზმნისაგან, რადგან δίνωμι τῷ φίλῳ (ვაძლევ მეგობარს), ამ წინადადებაში τῷ φίλῳ მიცემით ბრუნვაშია“ [ქაროსანიძე, 2000:35]. ახალ ბერძნულში მიცემითი აღარ გვაქვს, თუმცა მიცემითის ფორმები შემორჩენილია ცალკეულ, გაქვავებულ გამოთქმებში, მწიგნობრულ, საეკლესიო და იურიდიულ ენაში. მაგალითად, δόξα τῶ Θεῷ (მადლობა ღმერთს), πράγματι (ნამდვილად), ενεήντα τοις εκατό (ოთხმოდდაათი პროცენტით), εν πάση περιπτώσει (ყოველ შემთხვევაში), εν τῷ μεταξὺ (ამასობაში), εν μέρει (ნაწილობრივ), λόγῳ (მიზეზით) და სხვ.<sup>20</sup> შესაბამისად, ამ გამოთქმებზე მსჯელობისას სამეცნიერო ლიტერატურაში გამოიყენება ძველი ბერძნულისათვის დამახასიათებელი ტერმინი δοτική. ქართულში გვაქვს ტერმინი მიცემითი. ზ. შანშოვანის გრამატიკაში გვხვდება ტერმინი სამიცემადო. მიუხედავად იმისა, რომ ზ. შანშოვანის გრამატიკა ქართულ ენაზე დაწერილ პირველ ქართულ გრამატიკას წარმოადგენს, იგი, ჯერ ერთი, ფრაგმენტული ხასიათისაა, და მეორეც მეტად დაშორებულია ქართულ სინამდვილეს. რაც შეეხება

<sup>20</sup> დაწვრილებით იხ. A. Thumb 1910. Handbuch der Neugriechische Volkssprache. Grammatik. Texte. Glossar. Strassburg, 28; E. Schwyzer 1966. Griechische Grammatik. Syntax und Syntaktische Stilistik. München, 170. A. Τζαρτζάνος 1996. Νεοελληνική σύνταξις (της κοινής δημοτικής). Τόμος Α'. Θεσσαλονίκη, 81-82.

ბრუნვების სახელწოდებებს, მოცემულს ზ. შანშოვანთან, ისინი ზუსტად გადმოღებულია სომხური გრამატიკიდან.<sup>21</sup>

შემდეგ ბრუნვად, უნდა დავასახელოთ **ბრალდებითი** – ბერძნული ტერმინით *ἀτιπτική*. მეცნიერებაში სხვადასხვა მოსაზრება არსებობს *ἀτιπτική* ბრუნვის სახელწოდების წარმომავლობის შესახებ. ტერმინს *ἀτιπτική* უკავშირებენ, ერთი მხრივ ზმნას *ἀτιπίσαι* (ბრალდება) ან სახელს *ἀπίον* (ბრალი), ხოლო მეორე მხრივ სახელს *ἀπιπτόν* (მიზეზი). თანამედროვე მეცნიერებაში უფრო მიღებული თვალსაზრისით, *ἀτιπτική* უნდა დაუკავშირდეს სიტყვას *ἀπιπτόν* [ქაროსანიძე, 2000:36]. შესაბამისად, ამ ბრუნვის გადმოსაცემად უფრო მართებულია ტერმინ მიზეზობითის გამოყენება. ქართულში ბრალდებითი ბრუნვა არ გაგვაჩნია. ეს შემთხვევითი არ არის: ბრალდებითი ბრუნვის უქონლობა მომდინარეობს ქართული ენის ბუნებიდან. ამ ფაქტში მოჩანს ქართული ზმნისა და ქართული მეტყველების აგებულების სხვაგვარობა [ჩიქობავა, 1956:2]. ბრალდებითის ფუნქციების გადმოსაცემად ქართული ენა იყენებს მიცემითსა და სახელობითს. მაგალითად, მხატვარი ხატავს სურათს – მხატვარმა დახატა სურათი. საერთოდ, ქართული ენის ბრუნვათა სისტემის სპეციფიკურობა იმაშია, რომ ქართულს არ გააჩნია ბრალდებითი ბრუნვა და აქვს მოთხრობითი. „ბრალდებითი ბრუნვის უქონლობა და მოთხრობითი ბრუნვის ქონა ქართულის (და, საერთოდ, იბერიულ-კავკასიურ ენათა) მორფოლოგიის ნიშანდობლივი ფაქტია: ბრუნების ეს თავისებურება, შეპირობებულია უღვლილების თავისებურებით, – კერძოდ, გარდამავალი ზმნის თავისებურებით“ [ჩიქობავა, 1950:032]. მიუხედავად იმისა, რომ ქართულს ბრალდებითი ბრუნვა არ გააჩნია, ჩვენს გრამატიკულ ლიტერატურაში იყო მცდელობები შეეტანათ ეს ბრუნვა ქართულ ბრუნვათა სისტემაში. არა მარტო უცხოელები (მაჯო, ფატერი, კლაპროთი, ბროსე) ხმარობდნენ ქართულში ბრალდებითს, არამედ თვით ქართველებიც, დაწყებული ანტონიდან – გაიოზი, ვარლამ არქიეპისკოპოსი, ს. დოდაშვილი და გ. ფირალოვი, პლატონ

---

<sup>21</sup> დაწვრილებით ქართული და სომხური ტერმინების შედარება იხ. ი. აბულაძე 1940. ქართული გრამატიკული ლიტერატურის ადრინდელი ძეგლები. I. ზურაბ შანშოვანი. *მუზეუმის მოამბე*. თბილისი, 151; ილ. ცერცვაძე 1956. ბრუნვათა საკითხი XVIII და XIX ს.ს. ქართველ გრამატიკოსებთან. *სახელის ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში*. თბილისი, 455-456.

იოსელიანამდე. პლატონ იოსელიანმა თავის 1840 წელს გამოსულ გრამატიკაში ბრალდებითი „უქმად“ გამოაცხადა, რადგანაც „ყოვლად არს მსგავსი სახელობითისაო“ [ჩიქოზავა, 1956:5]. ეს ბრუნვა რომ ქართულისათვის დამახასიათებელი არ იყო, ამას თვითონ ანტონიც აღნიშნავდა, მაგრამ სხვა ენების გავლენით მაინც დატოვა. „შემასმენლობითის შესახებ ანტონი შენიშნავს: ასეთი ბრუნვა ჩვენს ენაში არაა, მაგრამ პირველად გავცვანი და მივბამე რა სხვა ენებს (ლათინურს, ბერძნულსა და სომხურს), საჭიროდ ვცანი მისი გამოყოფა და ნიშნებიც გამოვუნახეო“ [ლეჟავა, 1956:437]. როგორც ვხედავთ, ანტონი ბრალდებით ბრუნვას შემასმენლობითს უწოდებს, ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში კიდევ ორი ტერმინი დასტურდება შესმენილობითი და მიზეზობითი. ტერმინი მიზეზობითი გვხვდება უძველეს ქართულ ორიგინალურ გრამატიკულ ტრაქტატში: „სიტყუაჲ ართრონთათჳს“, რომელიც მოღწეულია XII-XIII და XIV საუკუნეების ხელნაწერებით. აღნიშნული ნაშრომი მ. შანიძემ გამოსცა 1990 წელს. ავტორი აღნიშნავს: „ეს არის ქართველი ავტორის მიერ დაწერილი ორიგინალური ტრაქტატი, რომელშიც განხილულია გრამატიკის ერთი საკითხი და გარკვეული თვალსაზრისით ერთმანეთს არის შედარებული ქართული და ბერძნული ენები“ [შანიძე, 1990:14]. ჩვენთვის საინტერესოა, რომ ამ ტრაქტატის ავტორს, რასაც ლ. ქაროსანიძეც აღნიშნავს, შეუმჩნევია ფორმოზრივი სხვაობა ბერძნულ ბრალდებითსა და მიცემითს შორის და ყურადღება მიუქცევია, რომ მათ გადმოსაცემად ქართულ ფორმათა შორის ასეთი სხვაობა არ არის [ქაროსანიძე, 2000:36]. რაც შეეხება ტერმინს შესმენილობითი, ის 1889 წელს თედო ჟორდანიას მიერ გამოცემულ „ქართულ გრამმატიკაში“ გვხვდება. პლატონ იოსელიანის შემდეგ შემასმენლობითი ქართულ გრამატიკებში არ შეუტანიათ. თედო ჟორდანიას კი ეს ბრუნვა აქვს, როგორც დამატების ბრუნვა და მას შესმენილობითს ეძახის. „შესმენილობითი, მართალია, ჰგავსო სახელობითსო, მაგრამ სახელობითისაგან გასარჩევად ხმოვნებზე დაბოლოებულ სახელებს ძველად დაერთოდა ო-ო...“ [ცერცვაძე, 1956:468]. ანტონის მსგავსად შემასმენლობითს უწოდებს ამ ბრუნვას მელ. კელენჯერიძე 1920 წელს გამოცემულ „ქართულ პრაქტიკულ გრამატიკაში“. მართალია, უკვე მეორე გამოცემაში ავტორს ეს ბრუნვა აღარ აქვს შეტანილი. ასეა თუ ისე, ქართულში ბრალდებითი ბრუნვა არ არსებობს, და მიუხედავად ზოგიერთი გრამატიკოსის



მცდელობისა, იგი მაინც არ დამკვიდრდა ქართულ ბრუნვათა სისტემაში, ვინაიდან, აქ არნ. ჩიქობავას დავიმოწმებთ: „ქართული ენა მთელი თავისი არსებით გამორიცხავს ამ ბრუნვის შესაძლებლობას“ [ჩიქობავა, 1956:6].

ქართული ბრუნვათა სისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თავისებურებაა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოთხრობითი ბრუნვის ქონა. ასეთი ბრუნვა ბერძნულში არ დასტურდება. მოთხრობითი ბრუნვა საერთოდ იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახისათვის დამახასიათებელი ბრუნვაა. იგი გვხვდება ქართველურ ენებში, და, საერთოდ, ყველა იბერიულ-კავკასიურ ენაში, რომელსაც ბრუნვა მოეპოვება, – თუმცა ყველგან ისეთი ფუნქცია არა აქვს, როგორც ქართულში [ჩიქობავა, 1950:032]. ბერძნული ინდოევროპულ ენათა ოჯახს მიეკუთვნება და, ბუნებრივია, რომ მას ეს ბრუნვა არ გააჩნია. არც ერთ ევროპულ ენაში მოთხრობითის მსგავსი ბრუნვა არ მოიპოვება. მოთხრობითი ბრუნვა ბრუნვათა სისტემაში პირველად ანტონ კათალიკოსმა შეიტანა. მანამდე არც მაჯოს, არც ფატერს, არც შანშოვანს ეს ბრუნვა გამოყოფილი არ ჰქონდათ. ანტონის შემდეგ მოთხრობითი ბრუნვა თითქოს დამკვიდრდა ქართულ გრამატიკებში. მაგრამ მარი ბროსესა და დავით ჩუბინაშვილის ინიციატივით სერიოზული კამათი დაიწყო მოთხრობითი ბრუნვის შეტანაზე ბრუნვათა სისტემაში. ეს, როგორც ჩანს, განპირობებული იყო ზუსტად იმით, რომ სხვა ენებს ანალოგიური ბრუნვა არ აქვს. მარი ბროსეს აზრით, „მოთხრობითი არ არის ცალკე ბრუნვა, იმიტომ რომ ნაწევარ-მსაზღვრელი, რომელიც მას დაერთვის, -მან (კაც-მან) ემატება ორივე რიცხვის ყველა ბრუნვას.“<sup>22</sup> მოთხრობითი ბრუნვის არსებობას ასევე უარყოფდა დ. ჩუბინაშვილიც, რამაც დიდი კამათი გამოიწვია. მისი მთავარი მოწინააღმდეგე დ. ყიფიანი იყო. დ. ჩუბინაშვილს შემდეგი არგუმენტები მოჰყავს თავისი აზრის დასამტკიცებლად: „1. მოთხრობითი ბრუნვა იგივე სახელობითი ბრუნვაა, რომელსაც -მან ნაცვალსახელი დაერთვის. კაცმან ფორმაში -მან ბრუნვის ნიშანი კი არ არის, როგორც მიცემითის -სა (კაც-სა) ან ნათესაობითის -ის (კაც-ის),

<sup>22</sup> ეს თვალსაზრისი მ. ბროსეს გამოთქმული აქვს ქართული ენის თვთმასწავლებელში, რომელიც 1834 წელს პარიზში გამოქვეყნდა. დაწვრილებით იხ. ნ. იოსავა 1975. სახელის ბრუნვა მ. ბროსეს „ქართული ენის თვთმასწავლებელში“. *ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში*. ტ. I. თბილისი, 54-60.

არამედ ნაწევარი, მესამე პირის ნაცვალსახელი, რომელიც სხვა შემთხვევაში შეიძლება სხვა ბრუნვის ფორმებსაც დაერთოს: კაცისა მის, კაცსა მას... 2. ორივე ეს ბრუნვა (სახელობითი და მოთხრობითი) ერთი და იმავე კითხვით ამოიცნობა, ხოლო ვერც ერთ ენაში ვერ ნახავთ შემთხვევას, როცა ორი განსხვავებული ბრუნვა ერთი და იმავე კითხვით ამოიცნობოდეს<sup>23</sup> [ცერცვაძე, 1956:462]. ამ არგუმენტების წინააღმდეგ ბევრმა მეცნიერმა გაილაშქრა, და უპირველეს ყოვლისა დ. ყიფიანმა. ასე რომ, გრამატიკის შედგენისას დ. ჩუბინაშვილი იძულებული შეიქნა ბრუნვათა სისტემაში ეს ბრუნვა შეეტანა.<sup>24</sup> მაგრამ მაინც თან დაურთო შენიშვნა: „ე. წ. მოთხრობითი ბრუნვა არის სხვა არაფერი, თუ არა სახელობითი, -მან ნაცვალსახელდართული. მე იგი შევიტანე იმიტომ, რომ იგი ბრუნვად მიაჩნიათ ქართული ენის ცნობილ გრამატიკოსებსა“ [ცქიტიშვილი, 1956:453]. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ დ. ჩუბინაშვილს ეს ბრუნვა ბრუნვად არ მიაჩნდა და იძულებული იყო შეეტანა ბრუნვათა რიგში, მაინც სწორი ადგილი მიუჩინა სხვა გრამატიკებთან შედარებით. მოთხრობითი სახელობითის შემდეგ დასვა, როგორც სუბიექტის ბრუნვა. სხვა გრამატიკებში ის ბრალდებითის ადგილს იკავებს, რაც ყოვლად გაუმართლებელია, ვინაიდან „მოთხრობითი მუდამ აღნიშნავს მოქმედს, აქტიურს – ე. ი. სუბიექტს, ბრალდებითი კი – უმოქმედოს, პასიურს, სხვის მოქმედების ობიექტს“ [ჩიქობავა, 1956:2]. ქართულში მოთხრობითი სახელობითთან შინაგან კავშირშია, თანაც მოთხრობითი და სახელობითი უფრო ახალი წარმონაქმნია, ვიდრე ნათესაობითი და მიცემითი [ჩიქობავა, 1979:145]. ქართულში მოთხრობითი მხოლოდ ორ ნაცვალსახელს აქვს ორგანული წარმოებისა: ვი-ნ და მა-ნ. ყველა სხვა

<sup>23</sup> იხ. А. Цагарели 1894. Сведения о памятниках грузинской письменности. т. I. Санкт-Петербург. 82-84; არნ. ჩიქობავა 1956. რატომ არის აუცილებელი ბრუნვათა რიგის შეცვლა ქართულში? *სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში*. ტ. I. თბილისი 1956, 1-9; ნ. ცქიტიშვილი. კამათი მოთხრობითი ბრუნვის რაობისთვის. *სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში*. ტ. I. თბილისი, 449-453.

<sup>24</sup> მოთხრობითი ბრუნვის გამო დ. ჩუბინაშვილის და დ. ყიფიანის კამათის შესახებ დაწვრილებით იხ. ნ. ცქიტიშვილი 1956. კამათი მოთხრობითი ბრუნვის რაობისთვის. *სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში*. ტ. I. თბილისი, 449-453.

სახელი ერგატის აწარმოებს მა-ნ ნაცვალსახელის დართვით, აღწერითად [ჩიქობავა, 1979:144].

ქართულ და უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში მოთხრობითი ბრუნვის აღსანიშნავად რამდენიმე ტერმინი გამოიყენება. ესენია: ერგატივი (გავრცელდა ა. დირის მეოხებით), მოთხრობითი (ანტონ პირველის გრამატიკიდან), ინსტრუქტივი (ანტ. შიფნერის მიერ შემოღებული), მოქმედებითი (პ. უსლარის ვარიანტით). რუსულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ფართოდ იყო გავრცელებული ტერმინი აქტიური (активный падеж), ე. ი. მოქმედის აღმნიშვნელი ბრუნვა [ჩიქობავა, 1979:136]. რაც შეეხება დღესდღეობით დამკვიდრებულ ტერმინს მოთხრობითი ის ნათლად არ ასახავს ამ ბრუნვის ფუნქციას, მაგრამ ტრადიციით ანტონ კათალიკოსის დროიდან არის დამკვიდრებული. მიუხედავად იმისა, რომ მოთხრობითი ქართულის სპეციფიკური ბრუნვაა, ტერმინი მოთხრობითი ქართული წარმოშობის არ არის. ანტონმა მოთხრობითის სახელწოდება სომხურიდან გადმოიღო. „მართალია, ისეთი ფორმა, რომელსაც ჩვენ მოთხრობითს (ერგატივს) ვუწოდებთ, სომხურს არა აქვს და არც ოდესმე ჰქონია, მაგრამ იქ იყო წინდებულიანი ფორმა: „თვს კაცისა“ = კაცის შესახებ. ეს ტერმინი უთარგმნია ანტონს და გამოუყენებია ისეთი ბრუნვისათვის, რომელიც სომხურს არ გააჩნია“ [ლუქავა, 1956:441].

მოთხრობითი ბრუნვა იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიური სტრუქტურისათვის ნიშანდობლივია. ცხადია, ამ ენათა სინტაქსშიც ეს მორფოლოგიური თავისებურება შესაბამის თავისებურებებს მოასწავებს [ჩიქობავა, 1979:138]. სინტაქსში ეს თავისებურება ერგატიული კონსტრუქციის სახელით არის ცნობილი. ასეთ კონსტრუქციაში შემასმენელი გარდამავალი ზმნაა, მოქმედი სახელი მოთხრობით ბრუნვაშია. „ქართულსა და ქართველურ ენებში ასეთი კონსტრუქცია გვხვდება მხოლოდ ნამყო ძირითადში (რა ქნა?) და კავშირებით მეორეში (რა ქნას?)... ერგატიული კონსტრუქცია მთის კავკასიურ ენებშიც გვაქვს (ოღონდ ყველა დროში)... ერგატიული კონსტრუქცია იბერიულ-კავკასიურ ენათა დამახასიათებელი სინტაქსური მოვლენაა“ [ჩიქობავა, 1950:035]. რეალური სუბიექტის მიხედვით ამ კონსტრუქციას ეწოდა ერგატიული და ეს გასაგებიცაა: ინდოევროპული ენებისათვის ერგატივი უცხოა. ერგატიული კონსტრუქციის დროს რეალური ობიექტის ბრუნვა ყოველთვის

სახელობითია, ანუ ინდოევროპულ ენებში დადასტურებულ ნომინატიურ კონსტრუქციასთან შედარებით აქ არ გვაქვს ბრალდებითი ბრუნვა. ამიტომაც ამ კონსტრუქციას, ზოგჯერ „გარდამავალი ზმნის უაკუზატივო კონსტრუქციას“ უწოდებენ. ეს ტერმინი გვხვდება არნოლდ ჩიქობავასთან, რომელსაც მიაჩნია, რომ ასეთი დარქმევა „გამართლებული იქნებოდა აღწერითი თვალსაზრისითაც და კიდევ უფრო – ისტორიული თვალსაზრისით“ [ჩიქობავა, 1979:198-199]. აქ არნოლდ ჩიქობავას გამოკვეთილი აქვს ამ კონსტრუქციის ძირითადი არსი, ამიტომ მიზანშეწონილი იქნებოდა ერგატიული კონსტრუქციის საპირისპიროდ ნომინატიურ კონსტრუქციას აკუზატიური კონსტრუქცია დარქმეოდა. ენათმეცნიერებაში არსებობს კიდევაც თვალსაზრისი, რომლის მიხედვით ნომინატიურ კონსტრუქციას სახელი უნდა შეეცვალოს.<sup>25</sup> აქ მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი უნდა იყოს ბრუნვის მარკირება. თუ სუბიექტის ბრუნვაა მარკირებული – გვექნება ერგატიული კონსტრუქცია, ხოლო თუ ობიექტის ბრუნვა – აკუზატიური კონსტრუქცია. რეალურად, როგორც „ერგატიული, ასევე აკუზატიური (ნომინატიური) ერთ ტიპოლოგიურ კლასში შედის, რომლისთვისაც არსებითია ენის სტრუქტურაში სუბიექტურ-ობიექტური ურთიერთობა, და ზმნების დაპირისპირება გარდამავლობა-გარდაუვლობის მიხედვით“ [გამყრელიძე/Гамкрелидзе... 1984:314]. მიუხედავად იმისა, რომ ერგატიული კონსტრუქციის თავისებურება სახელებში ჩანს, იგი გარდამავალი ზმნის თავისებურებით არის შეპირობებული. მაშასადამე, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში გარდამავალი ზმნის პრობლემაა [ჩიქობავა, 1979:199].

ქართულის სპეციფიკურ ბრუნვას ასევე ვითარებითი წარმოადგენს. ეს ბრუნვა უცხოა ევროპული ენებისათვის ისევე, როგორც მოთხრობითი, თუმცა ჩვენი ენის სტრუქტურისათვის მას არა აქვს ისეთი გადამწყვეტი მნიშვნელობა, როგორც მოთხრობით ბრუნვას. ბუნებრივია, არ მოიპოვება ეს ბრუნვა არც ბერძნულ ენაში. რაც შეეხება კავკასიურ ენებს, როგორც არნ. ჩიქობავა აღნიშნავს, „მათში, რომელთაც ბრუნება

---

<sup>25</sup> დაწვრილებით იხ. Т. В. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванов 1984. Индоевропейский язык и индоевропейцы. Реконструкция и историко-типологический анализ праязыка и протокультуры. Тбилиси, 313-319.

მოეპოვებათ, ძირითადად, ბრუნვათა შორის ეს ბრუნვა არა ჩანს. მისი ფუნქციები განაწილებულია ნაწარმოებ ბრუნვათა შორის ანდა ზმნისართულ წარმოებათა შორის“ [ჩიქობავა, 1956:10]. ვინაიდან, ევროპულ ენებში ეს ბრუნვა არ იყო, ამიტომ დიდ ხანს შეუმჩნეველი იყო ეს ბრუნვა ქართულშიც. პირველი ავტორი, რომელმაც ამ ბრუნვას ბრუნვათა სისტემაში ადგილი დაუთმო, იყო მარი ბროსე.<sup>26</sup> ბროსესთან ორი ტერმინი გვხვდება ვითარებითის აღსანიშნავად, ესენია მოდალობითი და დამთავრებითი. გარდა ამ ტერმინებისა, ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში ბევრი სხვა სახელწოდებაც გვხვდება. სხვა ენებში ამ ბრუნვის არარსებობის გამო, ბუნებრივი იყო, რომ შესაბამისი ტერმინი ქართულის ნიადაგზე უნდა შემუშავებულიყო. ამან განაპირობა სხვადასხვა სახელწოდების არსებობა. „რაკი სახელი უნდა შეერჩიათ, გრამატიკის ავტორები ბრუნვის მნიშვნელობას დაემყარნენ, მაგრამ ეს მნიშვნელობა მრავალფეროვანი იყო და ამიტომ ზოგმა ერთი მომენტი გამოიყენა ამოსავლად და ზოგმა სხვა“ [ჩიქობავა, 1956:12]. ტერმინები, რომლებიც ვითარებითი ბრუნვის აღსანიშნავად გვხვდება, შემდეგია: მოდალობითი (მ. ბროსე), განვითარებითი (დ. ჩუბინაშვილი, არ. ქუთათელაძე), ცვლილებითი (დ. ყიფიანი),<sup>27</sup> გარდაქმნითი ანუ ცვალებითი (პ. კვიციანიძე), ზმნიზედითი (თ. ჟორდანია), ზმნიზედათი (მ. ჯანაშვილი), ვნებითი (ს. ხუნდაძე), მიმართულებითი (ნ. მარი), ვითარებითი (ა. შანიძე), გარდაქცევითი (არნ. ჩიქობავა) [ცერცვაძე, 1956:471]. ადრე ა. შანიძეც და არნ. ჩიქობავაც მას ვნებითს ემახდნენ. დღესდღეობით დამკვიდრებულია ტერმინი ვითარებითი.

რაც შეეხება მოქმედებით ბრუნვას, ახალ ბერძნულში ის არ გვაქვს, არ დასტურდება ეს ბრუნვა არც ძველ ბერძნულში. თუმცა მისი

---

<sup>26</sup> დაწვრილებით იხ. ნ. იოსავა 2005. მ. ბროსე და ქართული გრამატიკის საკითხები. *მეოთხე საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმის მასალები*. თბილისი, 7-15.

<sup>27</sup> დ. ყიფიანს ვითარებითი ბრუნვა ბრუნვათა რიგში არ შეაქვს, მაგრამ აღნიშნავს, რომ რამდენიმე ბრუნვა გვაქვს, რომელთა შეტანაც ბრუნვათა სისტემაში საჭირო არ არის, მათ შორის ცვლილებითი (სახლად, ტყედა...), დაწვრილებით იხ. ილ. ცერცვაძე 1956. ბრუნვათა საკითხი XVIII და XIX სს. ქართველ გრამატიკოსებთან. *სახელის ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში*. თბილისი. 464-466; არნ. ჩიქობავა 1956. მიმართულებითი ბრუნვის მნიშვნელობისა, წარმოებისა და ისტორიისათვის. *სახელის ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში*. თბილისი, 11-12.

ფუნქციებიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, საერთო ინდო-ევროპულ ენაში გვქონდა ამავე ფუნქციების აღმნიშვნელი ბრუნვები: ინსტრუმენტალისი, ლოკატივი და აბლატივი. როგორც ვიცით, მოქმედებით ბრუნვას ძველ ქართულში ძირითადად სამი ფუნქცია ჰქონდა; იგი აღნიშნავდა: ა) მოქმედების იარაღს, ბ) ვითარების გარემოებას და გ) მოქმედების დაწყების ადგილს [ჭანტურია, 1956:409]. ახალ ქართულში მოქმედებითი ბრუნვის ფორმით შეიძლება გადმოიცეს: ა) უბრალო დამატება (საჭურვლისა და თანაობისა), ბ) ადგილის გარემოება, გ) დროის გარემოება, დ) ვითარების გარემოება და ე) მიზეზის გარემოება [კვაჭაძე, 1996:233]. როგორც ძველ, ისე ახალ ქართულშიც ამ ბრუნვის ერთ-ერთ ფუნქციას სივრცეში დასაწყისი პუნქტის აღნიშვნა წარმოადგენს, რაც ქართულში თანდებულისი მოქმედებითი გამოხატება. ვინაიდან თანდებული მჭიდროდ შეეხარდა ბრუნვის ფორმას და წაიშალა ზღვარი ბრუნვის ნიშანსა და თანდებულს შორის, ამის გამო ა. შანიძე მიიჩნევს, რომ აბლატივის მნიშვნელობით ეს ბრუნვა ცალკე უნდა გამოიყოს როგორც ლოკალური ბრუნვა და მას გამოსვლითი ან დაწყებითი უნდა ეწოდოს [შანიძე, 1980:73-74]. ძველ ბერძნულში ეს ფუნქციები სხვადასხვა ბრუნვაზეა განაწილებული. ეს ბრუნვებია მიცემითი და ნათესაობითი. ასე, მაგალითად, მიცემითი ძველ ბერძნულში უპირატესად ირიბი დამატების გამოსახატავად იხმარებოდა, თუმცა მას ჰქონდა სხვა ფუნქციებიც, მაგალითად, არსებობდა ა) კუთვნილების, ბ) იარაღის, გ) მიზეზის, დ) მიმართების, ე) დროის, ვ) მიცემითი, რომელიც გამოხატავდა საგანს, რომლის სასარგებლოდ ან საზიანოდ ხდებოდა მოქმედება და სხვ.<sup>28</sup> ფუნქციების ეს მრავალფეროვნება, უპირველეს ყოვლისა გამოწვეული იყო იმით, რომ ძველი ბერძნულის დატივი შეიცავდა, როგორც სუფთა მიცემითი ბრუნვის ფუნქციებს, ასევე ადგილის და იარაღის (ლოკატივი და ინსტრუმენტალისი) ბრუნვებისას [ბერეკაშვილი, 2008:50]. გარდა ამისა, მეცნიერები ვარაუდობენ, რომ პროტობერძნულში უნდა ყოფილიყო ცალკე ინსტრუმენტალისის

---

<sup>28</sup> დაწვრილებით მიცემითის ფუნქციების შესახებ იხ. რ. გორდეზიანი, ი. დარჩია, ს. შამანიდი 2001. ძველი და ახალი ბერძნული. შედარებითი გრამატიკა. თბილისი, 166-169; A. Θ. Φλώρος, Ιστορικό και συγκριτικό συντακτικό αρχαίας, νέας ελληνικής και λατινικής. Αθήνα 1988, 98-115, С. И. Соболевский 1948. Древнегреческий язык. Учебник для высших учебных заведений. Москва, 259-265.

ბრუნვა - $\psi(\nu)$  დაბოლოებით, რომელიც ხმარებიდან გავიდა და შემდეგ მისი ფუნქციები იარაღის დატივმა შეითავსა [გორდეზიანი... 2001:167]. აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ ინსტრუმენტალისი შემორჩა თანამედროვე კვიპროსულ დიალექტში, სადაც წინდებული სუ უკავშირდება არა დატივს, არამედ ინსტრუმენტალისს [გორდეზიანი... 2001:167]. რაც შეეხება აბლატივის ფუნქციებს, მას ისევ ნათესაობითისა ან მიცემითის ფორმები ასრულებდა. სპეციალური დაბოლოება მხოლოდ - $\iota$  ფუძიან სახელებს ჰქონდა. ყველა დანარჩენ სახელს მხოლობითში იგივე დაბოლოება ჰქონდა, რაც ნათესაობით ბრუნვას, ხოლო მრავლობითში – მიცემითს. უძველესი აბლატივის გადმო-  
 ნაშთად შეიძლება ჩაითვალოს დელოფოსის წარწერაზე შემორჩენილი ფორმა:  $\text{F}\iota\kappa\omega$  (სახლიდან) [ფლოროსი/Φλαώριος, 1988:90]. აბლატივის ფორმა ბევრ მეცნიერს საკუთრივ ლათინურ ბრუნვად მიაჩნია. ასე, მაგალითად, „კლასიკური ფილოლოგიის ისტორიის ნარკვევების“ ავტორს ა. გუდემანს პარალელურად აქვს მოცემული ბრუნვათა ბერძნული და ლათინური სახელწოდებები, ლათინურის ბრუნვებში მეექვსე ადგილას აბლატივია, რომელსაც მკვლევარი *latinus casus* (ლათინურ ბრუნვას) უწოდებს. აქვე მოცემულია მ. ვაროს განმარტება: „*quia Latinae linguae proprius est*“ („ლათინური ენის საკუთრება“) [გუდემანი/Gudeman, 1909:97]. თუმცა ალექსანდრიელ სწავლულებს ეს ბრუნვაც ბერძნული წარმომავლობისად მიაჩნდათ. პრისკიანუსის თქმით, „აბლატივი – რომაელების საკუთარი ბრუნვაა, თუმცა, როგორც ჩანს, ისიც უძველესი ბერძენი გრამატიკოსებიდანაა ნასესხები, რომლებიც მეექვსე ბრუნვად ისეთ ფორმებს მიიჩნევდნენ, როგორიცაა  $\text{i}\sigma\text{p}\alpha\text{v}\acute{\alpha}\text{t}\mu\epsilon\upsilon$  (ციდან)“ [რედ.: ფრეიედენბერგი/Фрейденберг, 1939:124]. ახალ ბერძნულში ეს ბრუნვები არ გვაქვს, მათი ფუნქციით ან ნათესაობითი ან წინდებულიანი ბრალდებითი გამოიყენება [მარძანოსი/Τζαργάνος, 1996:85]. მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვა ქართულში იმითაც განსხვავდება სხვა ბრუნვებისაგან, რომ მხოლოდ დამოკიდებულებას კი არ აღნიშნავენ, არამედ სიტყვათწარმოებით მომენტებსაც არ არიან მოკლებულნი [ჩიქოზავა, 1956:13].

ბოლო ბრუნვა, რომელსაც უნდა შევეხოთ წოდებითი ბრუნვაა, ბერძნული ტერმინით  $\text{κ}\lambda\iota\tau\iota\kappa\eta$ . ამ ბრუნვას როგორც ქართულ, ასევე ბერძნულ ენაში ერთადერთი ფუნქცია აქვს, ეს გახლავთ მიმართვის ფუნქცია. წოდებითი ბრუნვის გამოყოფაც დიონისიოს თრაკიელის

გრამატიკიდან მომდინარეობს, მანვე შემოიღო მის გადმოსაცემად ტერმინი κλητική. ქართულ გრამატიკაში დამკვიდრდა ტერმინი წოდებითი (ანტონის გრამატიკიდან დაწყებული), შანშოვანი ამ ბრუნვას საწოდებოს უწოდებდა. მას შემდეგ ეს ბრუნვა შესულია ქართულ ბრუნვათა სისტემაში. ის თითქმის ყველა გრამატიკაში გვხვდება, თუ არ ჩავთვლით დ. ყიფიანის გრამატიკას, რომელშიც ეს ბრუნვა არ არის შესული, და ავტორს განმარტებული აქვს, თუ რატომ უარყოფს ამ ბრუნვას: „წოდებითი ბრუნვა სახელობითს დაჰყვება და თუ „ი“ უზის, იმის მაგიერად უჯდება წოდებითი თანდებული „ო“, სხვა ხმოვანს ემატება „ვ“ [ცერცვაძე, 1956:465].

საენათმეცნიერო ლიტერატურაში იყო დავა წოდებითი ბრუნვის ბრუნვად მიჩნევაზე. ვგულისხმობთ როგორც ქართულ, ისე, ბერძნულ ლიტერატურასაც. და, ბუნებრივია, რომ ამ მხრივ, აზრთა მრავალფეროვნებას ვხვდებით. საქართველოში წოდებითის ბრუნვობაში ეჭვი არნ. ჩიქობავამ შეიტანა ჯერ კიდევ 1927 წელს. აქედან მოყოლებული 1933 წლამდე წოდებითი, როგორც ბრუნვა, არ შესულა ქართული ენის გრამატიკულ სახელმძღვანელოებში.

არნ. ჩიქობავას აზრს მიემხრო ვ. თოფურიაც. ის წოდებითის ადგილს სიტყვათწარმოებაში ვარაუდობს და არა ბრუნვებში. „წოდებითი განსხვავდება სხვა ბრუნვათაგან: 1. ინტონაციით, 2. წარმოშობით (შორისდებულითი ნაწილაკი უნდა ჰქონდეს დართული), 3. ფუნქციით, 4. რაც ძირითადაა, წინადადების წევრებთან სინტაქსური კავშირის უქონლობით და 5. ამის გამო სხვადასხვა ადგილას გვხვდება და მძიმით ან ძახილის ნიშნით გამოიყოფა. ეს საბუთი საკმარისი უნდა იყოს, რომ წოდებითი დაშორდეს ბრუნვებს და სხვა კატეგორიად იქნეს მიჩნეული“ [თოფურია, 1956:36]. მას არ ეთანხმება ა. შანიძე, მისი აზრით, „წოდებითის ფორმა როგორც სინტაქსური, ისე მორფოლოგიური ნიშნებით ბრუნვათა რიგში დგას, ის ბრუნვის ფორმაა: მას სხვა ბრუნვის ფორმებთან სინტაქსურად აერთიანებს ურთიერთობა სინტაგმის წევრებთან, მორფოლოგიურად კი – ერთნაირი ლექსიკური მნიშვნელობა და მრავლობითი რიცხვის წარმოება“ [შანიძე, 1956:54].

ბერძნულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში მსგავსი სახის კამათია წოდებითი ბრუნვის ბრუნვად მიჩნევის გამო. ამ მხრივ არსებობს სამი ყველაზე უფრო მეტად გავრცელებული თვალსაზრისი:



1. წოდებითს ბრუნვად მიიჩნევენ; ამ აზრს თანამედროვე ენათმეცნიერთა უმრავლესობა ემხრობა. ამ აზრისაა ე. შვიცერი, ვ. ბრანდენშტაინი, მ. ტრიანდაფილიდისი, ა. ძარძანოსი, ა. ცოპანაკისი და სხვ.
2. მორფოლოგიურად იგი ბრუნვებში არ შედის და მხოლოდ ფორმალურადაა შენარჩუნებული ბრუნვათა სისტემაში; ამ თვალსაზრისისაა გ. ბაზინიოტისი. მისი აზრით, წოდებითს განსაკუთრებული ფუნქცია გააჩნია – იგი მხოლოდ მოწოდებისას გამოიყენება. ამიტომ წოდებითში დასმული ლექსიკური ერთეული ყველაზე ნათლად სახელის პირველად სახეს გვიჩვენებს. მაგრამ წოდებითს არ შეუძლია წინადადებაში ბრუნვათა ძირითადი ფუნქციების შესრულება (იგი ვერ აკავშირებს ორ სახელს, ზმნისგან არ იმართება და ა. შ.) ამიტომაც იგი ბრუნვათა სისტემაში არ უნდა განიხილებოდეს [კლერისი/Κλαρίης... 1998:50-51], თუმცა არც სიტყვათწარმოებითი ფუნქცია ახასიათებს. აქედან გამომდინარე წოდებითი ფორმალურადაა მოცემული ბრუნვათა სისტემაში.
3. წოდებითი ბრუნვად არ მიიჩნევა. ამ თვალსაზრისის ი. სტამატაკოსი ემხრობა. მისი აზრით, წოდებითი ბრუნვა კი არ არის, არამედ განსაზღვრული წინადადებაა, რომელიც მიმართვას გამოხატავს [სტამატაკოსი/Σταματάκος, 1949:104-105].

როგორც ვხედავთ, როგორც ქართულ, ისე ბერძნულ ენაში წოდებით ბრუნვასთან დაკავშირებით ერთნაირი მდგომარეობა გვაქვს, ანუ ორივეგან ჩანს ტენდენცია ამ ბრუნვის ამოღებისა ბრუნვათა სისტემიდან. ეს ბუნებრივია განპირობებულია მთელი რიგი ფაქტორით, რომელთაც აქ აღარ შევხებით.<sup>29</sup>

ქართული და ბერძნული ენისათვის დამახასიათებელი ბრუნვების შედარებისას შემდეგი თანმიმდევრობა ავირჩიეთ: ჯერ განვიხილეთ ის ბრუნვები, რომლებიც ქართულშიც გვხვდება და ბერძნულშიც, ანუ

<sup>29</sup> დაწვრილებით ვოკატივის პრობლემატიკასთან დაკავშირებით ბერძნულ ენაში იხ. ს. ბერიკაშვილი 2004. ვოკატივის პრობლემისათვის ბერძნულ ენაში. *ლოგოსი. წელიწადული ელინოლოგიასა და ლათინისტიკაში*. ტ. II. თბილისი, 58-63.

სახელობითი, ნათესაობითი და მიცემითი,<sup>30</sup> შემდეგ ის ბრუნვა, რომელიც ბერძნულს აქვს და ქართულს არ გააჩნია, ანუ ბრალდებითი, მერე დავასახელებთ უშუალოდ ქართული სპეციფიკური ბრუნვები, როგორცაა მოთხრობითი, ვითარებითი და მოქმედებითი.<sup>31</sup> და ბოლოს, შევხებით წოდებითი ბრუნვის საკითხს და დავრწმუნდით, რომ როგორც ქართულ, ისე ბერძნულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ეს ბრუნვა დიდ დავას იწვევს.

ბერძნულში არ ჩანს ბრუნვათა სახელწოდებების შეცვლის ტენდენცია, რაც მკვეთრად იყო გამოხატული ქართულში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბრუნვათა თანმიმდევრობის შესახებ, ბერძნულმა ტრადიციით მიიღო ის სახელწოდებები რაც ანტიკური ეპოქის გრამატიკოსებთან დასტურდება, ხოლო ქართულს კი მოუწია არსებული ტერმინებისათვის ახლის დამატება, რომელიც ქართული ენის თავისებურებას წარმოადგენდა. თანაც აქ სახელწოდებების მრავალფეროვნება გამოწვეული იყო რამდენიმე ფაქტორით, კერძოდ: ა) არსებული გრამატიკული ტერმინების თარგმნით სხვადასხვა ენიდან და შესაბამისად უკეთესი შესატყვისის მოძებნით; ბ) ამა თუ იმ ბრუნვის მრავალფუნქციურობით, რაც იწვევდა სხვადასხვა სახელწოდებების დარქმევას იმისდა მიხედვით, თუ რომელ ფუნქციას ენიჭებოდა უპირატესობა. რიგ შემთხვევაში ტრადიციით დამკვიდრებული ტერმინი სულ არ ასახავს ბრუნვის არსს და შესაბამისად სასურველი იქნებოდა, ახალი სახელწოდებები მოგვეძებნა. ასე, მაგალითად, ა. შანიძე აღნიშნავს, რომ აუცილებელია, რომ ბრუნვის სახელწოდების შინაარსი აშკარად არ ეწინააღმდეგებოდეს ბრუნვის ფუნქციას, ამიტომ შესაცვლელია მოქმედებითი და მოთხრობითი. პირველისთვის აჯობებდა „საჭურვლობითი“ ან „ჭურვილობითი“ (ინსტრუმენტალი) ყოფილიყო შემოდებული, ხოლო „მოქმედებითი“ (აქტიური, ერგატიული) განკუთვნიებულია ბრუნვას, რომელსაც „მოთხრობითის“ ვეძახით [შანიძე, 1980:46]. თუმცა, ხშირ შემთხვევაში ტრადიცია იმდენად

---

<sup>30</sup> მართალია, ახალ ბერძნულში მიცემითი ბრუნვა აღარ გვაქვს, მაგრამ ცალკეულ გამოთქმებში მაინც ჯერ კიდევ შენარჩუნებულია, სამაგიეროდ აღნიშნული ბრუნვა ძალზედ მრავალფუნქციურია ძველ ბერძნულში.

<sup>31</sup> მოქმედებითი საერთოდ ინდოევროპული ენებისათვის დამახასიათებელი ბრუნვაა, სავარაუდოდ ის იყო პროტობერძნულშიც, არც ძველ, არც ახალ ბერძნულში ის აღარ დასტურდება.

გამჯდარია ადამიანის ცნობიერებაში, რომ რაიმე სახის ცვლილების შეტანა დიდ გაუგებრობებთან არის დაკავშირებული. აქვე გვსურს აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ მოთხრობითი ბრუნვისათვის სახელწოდების შეცვლა დღეს თითქოს დავას არ უნდა იწვევდეს. მაგრამ ნებისმიერ მკვლევარს არა აქვს უფლება თავისი შეხედულებისამებრ შეცვალოს რაიმე გრამატიკული კანონი თუ ნორმა, მას შეუძლია მხოლოდ აზრის გამოთქმა. აქ დიმიტრი ყიფიანს დავიმოწმებთ, და ვიტყვით: „... საქმე იმაში კი არაა, მოსწონს თუ არა ვისმე მოცემული გრამატიკული წესი, არამედ იმაში, რომ მან (გრამატიკულმა წესმა) გამოხატოს ნამდვილი თავისებურება ენისა, მისი პრაქტიკული კანონი“ [ცაგარელი/Цагарели, 1894:99-101].

### **დასკვნები გრამატიკული კატეგორიების შესახებ**

გრამატიკული კატეგორიების შეპირისპირებითი ანალიზის შედეგად გამოვლენილი შედეგების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ:

1. თანამედროვე ქართულში სახელს ბრუნვისა და რიცხვის გრამატიკული კატეგორიები აქვს. ახალ ბერძნულში ამას სქესის გრამატიკული კატეგორიაც ემატება;
2. ბერძნული ენის სქესის გრამატიკულ კატეგორიების წარმოშობას აქტივისა და ინაქტივის კლას-კატეგორიები უდევს საფუძვლად;
3. ქართულ ენაში სახელების კლასიფიკაცია უნდა ყოფილიყო კლას-კატეგორიების მიხედვით, რაც საერთოდ დამახასიათებელია იბერიულ-კავკასიური ენებისათვის;
4. კლას-კატეგორიების გაგება უადვილებს ბერძნული ენის ქართველ შემსწავლელთ სქესის კატეგორიის ათვისებას;
5. რაც შეეხება რიცხვის გრამატიკულ კატეგორიას, ქართულში გვაქვს ორი რიცხვი: მხოლობითი და მრავლობითი. ანალოგიური მდგომარეობაა ახალ ბერძნულშიც;

6. ძველ ბერძნულში გვექონდა ორობითი რიცხვიც. დუალისის კვალი შეიძლება დაიკებნოს -ნარ-თანთან მრავლობითშიც;
7. ქართულში მრავლობითის ორი ფორმა გვაქვს, ამათგან ერთი აგლუტინაციურ პრინციპზეა აგებული; მეორეს კი ფლექსიურობის ნიშნები აქვს. ბერძნულში მრავლობითის წარმოება ფლექსიურადაა წარმოდგენილი;
8. ქართული აგლუტინაციური ენაა, ე. ი. ბრუნვის ნიშნებით მხოლოდ ბრუნვათა მნიშვნელობაა გადმოცემული. ბერძნული კი ფლექსიურია, და, შესაბამისად, ბრუნვის ნიშნები გამოხატავს არა მხოლოდ ბრუნვის, არამედ რიცხვისა და სქესის გრამატიკულ კატეგორიებს;
9. წინა პუნქტიდან გამომდინარე, ქართულში ბრუნების პროცესი მარტივია, ბერძნულისა კი საკმაოდ რთული. ორივე ენაში ბრუნებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფონეტიკურ ფაქტორებს;
10. ქართული ენის ტიპოლოგიის მთავარ და ძირითად ზოგად თავისებურებად უნდა იქნეს აღიარებული ზმნის სირთულე და სახელის სიმარტივე [ჩიქობავა, 1968:130]. ზუსტად ამის შედეგია ენაში ერგატიული კონსტრუქციის არსებობა, რაც გარდამავალი ზმნის თავისებურებით არის განპირობებული. ბერძნულში კი პირიქით აკუზატიური კონსტრუქცია გვაქვს, რაც ნაკლებ სირთულეებს ქმნის ენის შესწავლისას;
11. ქართულ ბრუნვათა სისტემის სპეციფიკურობა გამოიხატება ბრალდებითი ბრუნვის უქონლობასა და მოთხრობითი ბრუნვის ქონაში. ბერძნულის ბრუნვათა სისტემის თავისებურება კი ბრუნვათა რაოდენობის შემცირებაში, ე. ი. უნიფიკაციის ტენდენციაში;
12. ქართულ და ბერძნულ ბრუნვებზე მსჯელობისას ნებისმიერ შემთხვევაში უნდა გავითვალისწინოთ, რომ ესა თუ ის ბრუნვა

(ერთი სახელწოდებაც რომ ჰქონდეს) არ არის იდენტური ოდენობა. მაგალითად, „სახელობითი ბრუნვა ამოსავალია ბრუნებისათვის როგორც ინდოევროპულ, ისე იბერიულ-კავკასიური ენებისათვის, მაგრამ ინდოევროპული ენებისათვის სახელობითი ოდენ სუბიექტის ბრუნვაა (ე. წ. პირდაპირი ბრუნვა) და მას უპირისპირდება ოდენ ობიექტის ბრუნვა, აკუზატივი (ბრალდებითი), ე. წ. პირდაპირი ობიექტის ბრუნვა. იბერიულ-კავკასიურ ენათათვის უცხოა აკუზატივი, ოდენ ობიექტის ბრუნვა, და სახელობითიც არ წარმოადგენს ოდენ სუბიექტის ბრუნვას, გარდამავალ ზმნებთან სახელობითი ე. წ. პირდაპირ ობიექტს აღნიშნავს; ამრიგად, სახელობითი იბერიულ-კავკასიურ ენებში არ წარმოადგენს პირდაპირ ბრუნვას ინდოევროპულ ენათა გაგებით“ [ჩიქობავა, 1979:135-136];

13. ქართულს აქვს თანდებულიანი ბრუნვები, ბერძნულს წინდებულიანები. თანდებულიანი ბრუნვა იბერიულ-კავკასიურ ენებში ეფარდება წინდებულიან ბრუნვებს ინდოევროპულ ენებში;
14. ძველ ქართულ ენას თანამედროვე ქართულისათვის დამახასიათებელი თანდებულიანი ფორმების ნაცვლად გააჩნდა ორი სხვადასხვა სიტყვა, მაგალითად, სახლსა შინა – სახლში. მათ პოსტპოზიციური წყობა ჰქონდათ. ძველ ბერძნულში წინდებულები შეიძლებოდა დაკავშირებოდა ერთ, ორ ან სამ ბრუნვას და დაისმოდა, როგორც არსებითი სახელის წინ, ისე მის შემდეგაც. ახალ ბერძნულში მხოლოდ პრეპოზიციური წყობა გვაქვს;
15. ქართულში ზოგი თანდებული იმდენად შეეზარდა ფუძეს, რომ ბრუნვის ნიშანი აღარ გამოიყოფა და შესაბამისად, ზოგიერთი მეცნიერის აზრით, დადგა დრო ახალი ბრუნვების გამოყოფისა [შანიძე, 1980:73-76]. ინდოევროპულ ენებში არის შემთხვევები წინდებულები რომ შეეზარდება სახელს, მაგრამ იშვიათად. ახალ ბერძნულში ასეთი შემთხვევები არ დასტურდება. წინდებული რომ შეეზარდება სიტყვას, სიტყვის

დასაწყისს ცვლილება მოუდის. თანდებულის დართვისას კი ეს ცვლილება არ ხდება. ამიტომაც, არსებით სახელს თანდებული უფრო ადვილად შეერწყმის [ჩიქოზავა, 1979:157];

16. ბრუნვათა თანმიმდევრობისა და სახელწოდებების შესახებ ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობას ვხვდებით, მაშინ, როდესაც ბერძნულში ეს ტენდენცია არ ჩანს. ეს განპირობებულია იმით, რომ ბერძნულმა ტრადიციით მიიღო ანტიკური გრამატიკოსებისგან ბრუნვათა ის თანმიმდევრობა და სახელწოდებები, რაც ბერძნული ენის სტრუქტურისათვის იყო დამახასიათებელი, ხოლო ქართულს კი მოუწია უცხო ტრადიციით დამკვიდრებული რიგისა თუ სახელწოდებების ქართული სინამდვილისთვის მორგება.

## III თავი სახელთა ბრუნება

### 3. 1. არსებითი სახელი

სახელთა ბრუნების დროს განსხვავებები ბერძნულ და ქართულ ენებში უპირველეს ყოვლისა დამოკიდებულია იმ ფაქტორზე, რომ ქართული აგლუტინაციური ენაა, ბერძნული კი ფლექსიური. შესაბამისად, ქართულში ბრუნვის ნიშნებით მხოლოდ ბრუნვათა მნიშვნელობაა გადმოცემული, ხოლო ბერძნულში ბრუნვის გარდა რიცხვისა და სქესის მნიშვნელობაც. ამის შესახებ წინა თავშიც გვქონდა საუბარი, ქართულში ბრუნების პროცესი მარტივია, ბერძნულში კი საკმაოდ რთული. ქართულში ისევე როგორც ბერძნულში, ბრუნების დროს ფონეტიკურ პროცესებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ქართულში მრავლობით რიცხვში ყველა სახელი ერთნაირად იბრუნვის, ანუ ყველა ერთ სისტემას მისდევს. მხოლოდ რიცხვშიც ქართულის ბრუნვა ერთ სისტემას გვიჩვენებს, მაგრამ ეს ერთობა დარღვეულია ფონეტიკური ფაქტორის ზეგავლენით, რის გამოც ბრუნვის ნიშნებმა შეიძლება ან თვით შეიცვალონ სახე ან ფუძე შეცვალონ რამდენადმე: შეკუმშონ ან შეკვეცონ [შანიძე, 1980:50]. ბერძნულ ენაში ბრუნების დროს ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფონეტიკურ პროცესს. ერთსა და იმავე ბრუნვას შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული ბოლოკიდური იმისდა მიხედვით, თუ რა ბგერაზე ბოლოვდება სახელის ფუძე. თუმცა ბერძნულში თვითონ ფუძეს ცვლილება არ მოსდის, ანუ აქ არ დასტურდება არც კვეცა და არც კუმშვა. ბერძნულში ბრუნებისას მრავალი ფაქტორია გასათვალისწინებელი, როგორცაა, მაგალითად: ა) სქესის გრამატიკული კატეგორია; ბ) სახელის ფუძის დაბოლოება; გ) სახელის თანაბარ და არათანაბარმარცვლიანობა და სხვ. ქართულში ბრუნების ტიპები ფონეტიკური ფაქტორის ზეგავლენითაა გამოყოფილი, ბერძნულში კი იგი სქესის გრამატიკულ კატეგორიას ეფუძნება, თუმცა ყველა მეცნიერი არ ემხრობა ამ თვალსაზრისს და ბერძნულ სინამდვილეში ბევრი ალტერნატიული კლასიფიკაციაც არსებობს. აქვე უნდა აღვნიშნოთ რომ, როცა ვსაუბრობთ ბრუნების ტიპებზე ქართულსა და ბერძნულში, სხვადასხვა ოდენობას ვგულისხმობთ. ქართულში

ბრუნების ტიპებს შორის ნაწილდება ყველა თავისთავადი სახელი, იქნება ის არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი თუ ნაცვალსახელი, ხოლო ბერძნულში საუბარია მხოლოდ არსებით სახელებზე, ვინაიდან ბრუნების სისტემა ბერძნულ ენაში მრავალფეროვნებას გვიჩვენებს მეტყველების ერთი ნაწილის ფარგლებშიც კი. ამ მხრივ ყველაზე დიდ მრავალფეროვნებას არსებითი სახელი გვიჩვენებს.

„სახელთა ბრუნება, როგორც მორფოლოგიური პროცესი, ქართულში ერთია, მაგრამ რამდენსამე სახეობას ქმნის ბგერითი ცვლილებების გამო, ე. ი. ფონეტიკურ მიზეზთა წყალობით. ეს ბგერითი ცვლილებები ან სახელის ფუძეში ხდება ანდა ბრუნვის ნიშნებში. სახელის ფუძეში ცვლილებას იწვევს ბრუნვის ნიშანი, ბრუნვის ნიშანში კი ცვლას იწვევს ფუძე“ [ჩიქობავა, 1950:037]. ამ მხრივ, ქართულში აკ. შანიძე შემდეგ ტიპებს გვთავაზობს: „I ტიპს განეკუთვნება თანხმოვნიან ფუძეთა მქონე სახელები, შემოკლებით: თანხმოვნიანი ფუძეები (ან სახელები); II ტიპს განეკუთვნება კვეცილ ხმოვნიან ფუძეთა მქონე სახელები, შემოკლებით: კვეცილ ხმოვნიანი ფუძეები (ან სახელები); III ტიპს განეკუთვნება უკვეცილ ხმოვნიან ფუძეთა მქონე სახელები, შემოკლებით: უკვეცილ ხმოვნიანი ფუძეები (ან სახელები). მაშასადამე, თანხმოვან-ფუძიანი სახელები ბრუნების მხრით ერთი ტიპისანი არიან, ხმოვან-ფუძიანები კი – ორი სხვადასხვა ტიპისა“ [შანიძე, 1980:51]. სქემის სახით ეს ტიპები შემდეგნაირად შეიძლება წარმოვადგინოთ:

<b>I ტიპი</b> თანხმოვანფუძიანი სახელები	
<b>ფუძე-უკუმშველი სახელები</b>	<b>ფუძე-კუმშვადი სახელები</b>
სხვადასხვა	-ალ, -ელ; -ან, -ენ; -არ, -ერ; -ამ, -ემ; -ოლ, -ონ, -ორ
კაცი, არწივი, ხელი...	ბორბალი, კანი, ზღვარი...

<b>II ტიპი</b> ხმოვანფუძიანი სახელები	
<b>ბოლო-კვეცილი სახელები</b>	
-ა ფუძიანი	-ე ფუძიანი
დედა, მიწა, კოკა...	დღე, მხარე, მეზაღე...



III ტიპი ხმოვანფუძიანი სახელები				
ბოლო-უკვეცილი სახელები				
-ო ფუძიანი	-უ ფუძიანი	-ი ფუძიანი	პირის სახელები	მაწარ. -ა
სპილო, ოქრო, წყარო...	რუ, ღრუ, მარაბუ...	ჩაი, ტრამვაი...	შოთა, გიორგი, პეტრე...	დედოფალა, ცისარტყელა...

არნ. ჩიქობავას კლასიფიკაციით სახელთა ბრუნებაში უნდა განვასხვავოთ სამგვარი შემთხვევა: „პირველი: არც ბრუნვის ნიშანი იწვევს ცვლილებას ფუძეში, არც ფუძის დაბოლოება მოქმედებს ბრუნვის ნიშანზე – ესაა ამოსავალი ყველაზე მარტივი ვითარება. ნიმუში: ამხანაგი, ვაჟკაცი, სახელი. მეორე: ხმოვნით დაწყებული ბრუნვის ნიშანი იწვევს ცვლილებას ფუძეში: ა. ფუძე იკუმშება – ხმოვანი ამოვარდება ფუძეში (მაგ.: სოფელი, სოფლისა...) ანდა სუსტდება (ო→ ვ, მაგ.: მინდორი, მინდორისა...). ბ. ფუძე იკვეცება – ფუძის ბოლოკიდური ხმოვანი იკარგება (მაგ.: გზა, გზისა...). მესამე: ფუძის ბოლოკიდური ხმოვანი მოქმედებს ბრუნვის ნიშანზე: ფუძისეულ ხმოვანთან შეხვედრისას იკვეცება ბრუნვის ნიშანი – იკარგება ბრუნვის ნიშნის დასაწყისი ხმოვანი. (მაგ.: წყარო: წყაროსი, წყაროთი)“ [ჩიქობავა, 1950:037]. სქემის სახით ეს კლასიფიკაცია შემდეგნაირად შეიძლება წარმოვადგინოთ:

I ტიპი ცვლილება სახელში არ ხდება	II ტიპი ბრუნვის ნიშანი იწვევს ცვლილებას ფუძეში		III ტიპი ფუძის ბოლოკიდური ხმოვანი კვეცავს ბრუნვის ნიშანს
ფუძეუკუმშველი სახელები	ფუძეუკუმშვადი სახელები	ფუძეკვეცადი სახელები	ფუძეუკვეცილი სახელები
სხვადასხვა	-ალ, -არ, -ან, -ელ...	-ა, -ე	ადამიანთა სახელები და გვარები, -ო, -უ, -ი, მაწარმოებელი -ა შეთვისებული სახელები
ამხანაგი, ვაჟკაცი, სახელი...	სოფელი, მინდორი...	გზა, საქმე, მმა...	წყარო, რუ, ჩაი, ელენე, ჭრიჭინა, კაფე

მიუხედავად მცირეოდენი განსხვავებისა ბრუნების ტიპებს შორის ბრუნების კლასიფიკაციის პრინციპი ყველგან ერთია, ეს არის ფონეტიკური ფაქტორის შედეგად სახელის ფუძეში ან ბრუნვის ნიშანში მომხდარი ცვლილება, ანუ ამოსავალია სახელების დაყოფა ფუძეკუმშვად და უკუმშველ, ფუძეკვეცად და უკვეცელ სახელებად. ამდენად ცვლილებები, რომლებიც ხდება ბრუნების დროს, ბგერითი ცვლილებებია და არა მორფოლოგიური, გრამატიკული ცვლილებები. „ეგ მოვლენა დამახასიათებელია როგორც ძველი და ახალი ლიტერატურული ქართულისა, ისე ქართული ენის დიალექტებისა. მაშასადამე, სახელის ფუძისა და ბრუნვის ნიშანთა ურთიერთმოქმედება საერთო ქართული მოვლენაა ისტორიულად“ [თოფურია, 1956:197].

ბერძნულ ენაში ბრუნების სისტემის კლასიფიკაცია ეფუძნება სქესის გრამატიკულ კატეგორიას. პრობლემა კი ისაა, რომ ახალ ბერძნულში სქესის მიხედვით დაყოფა არ უტოლდება ბრუნების ტიპებს ანუ ის ფაქტი, რომ სახელი არის მამრობითი, მდედრობითი ან საშუალო სქესისა არ ნიშნავს იმას, რომ არსებობს ბრუნების ერთი განსაზღვრული ტიპი ამა თუ იმ სქესის სახელებისათვის. ამიტომაც ბერძნულ სინამდვილეში სხვადასხვა ალტერნატიული კლასიფიკაცია შემუშავდა. ჯერ კიდევ ანტიკურობიდან მოყოლებული ბრუნების ტიპების კლასიფიკაციას სხვადასხვა პრინციპი ედო საფუძვლად. ძირითადად ეს პრინციპებია: ა) სახელის ფუძის დაბოლოება, ბ) სახელის თანაბარ და არათანაბარმარცვლიანობა, გ) სახელის ბრუნებისას ბრუნების ნიშნების რაოდენობა ერთი ტიპის ფარგლებში, დ) სახელის რომელიმე ბრუნვის (მაგალითად, ნათესაობითი ბრუნვის) ნიშნის მიხედვით კლასიფიკაცია, ე) ბრუნებისას ფონეტიკური ცვლილებები, კერძოდ, ხმოვანთა კონტრაქცია, ვ) სახელის დაბოლოებათა მიხედვით ბრუნების ტიპების ანბანური დაწყობა და ბოლოს ზ) სქესის გრამატიკული კატეგორია. მთავარი ფაქტორი, რომელიც გასათვალისწინებელია ბრუნების ტიპების გამოყოფისას, ეს არის ერთიანი პრინციპის შემუშავება. ამ მხრივ, ჩვენი აზრით, უპირველეს ყოვლისა ყურადღება უნდა მივაქციოთ სახელის ფუძის დაბოლოებას.

დღესდღეობით აღიარებული სისტემით, რომელიც მ. ტრიანდაფილიდისს ეკუთვნის, ცალკე განიხილება მამრობითი, მდედრობითი და საშუალო სქესის არსებითი სახელები, რომლებიც თავის მხრივ იყოფა თანაბარმარცვლიან და არათანაბარმარცვლიან სახელებად. პირველი

ტიპის ბრუნებაში გაერთიანებულია სრულიად განსხვავებული ბრუნების პარადიგმები. აქ შედის: ა) -აც, -იჯ-ზე დაბოლოებული თანაბარმარცვლიანი სახელები, ბ) -აც, -იჯ-ზე დაბოლოებული არათანაბარმარცვლიანი სახელები, გ) -ეც, -იჯ-ზე დაბოლოებული არათანაბარმარცვლიანი სახელები და დ) -იჯ-ზე დაბოლოებული თანაბარმარცვლიანი სახელები. მეორე ტიპის ბრუნებაში გვაქვს მდებდრობითი სქესის არსებითი სახელები, რომლებიც სხვადასხვა ფუძეზე ბოლოვდება და განსხვავებულად იბრუნვის. აქ შედის: -ა, -ი, -ა, -იჯ, -იჯ-ზე დაბოლოებული სახელები, რომლებიც მრავლობით რიცხვსაც განსხვავებულად აწარმოებენ. თანაბარმარცვლიანებს აქვთ -ეც დაბოლოება, არათანაბარმარცვლიანებს -ნეც, ხოლო -თი, -ჯი, -ქი-ზე დაბოლოებულებს -იჯ დაბოლოება. მესამე ტიპის ბრუნებაში კი შედის საშუალო სქესის სახელები, რომლებიც ორ ჯგუფად იყოფა: თანაბარმარცვლიანები, რომლებიც ბოლოვდება -ი, -ი, -იჯ-ზე და არათანაბარმარცვლიანები -მი, -თმი, -აც, -აჯ-ზე. [ტრიანდაფილიდისი/Τριανταφυλίδης, 2002:225-258]. სქემის სახით ეს სისტემა შემდეგნაირად შეიძლება ჩამოვსაყალიბოთ:

I ტიპი მამრობითი სქესის სახელები		II ტიპი მდებდრობითი სქესის სახელები	III ტიპი საშუალო სქესის სახელები	
-აც, -იჯ, -ეც, -იჯ	-იჯ	-ა, -ი, -ა, -იჯ, -იჯ	-ი, -ი, -იჯ	-მი, -თმი, -აც, -აჯ

მ. ტრიანდაფილიდისის მიერ შემოთავაზებულმა სისტემამ საყოველთაო აღიარება იმიტომ მოიპოვა, რომ ის ერთი შეხედვით მარტივია – გვთავაზობს ბრუნების მხოლოდ სამ ტიპს, რომელთა დიფერენციაცა ძალიან ადვილია სახელის სქესების მიხედვით. როგორც ჩანს, ბერძნული ენის ბრუნების სისტემის გამოყოფისას მ. ტრიანდაფილიდისი იზიარებს XIX საუკუნის გერმანელი ენათმეცნიერის ა. თუმბის თვალსაზრისს, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ბერძნული ენის ბრუნების სისტემის სქესების მიხედვით დაყოფას. მან ბრუნების ტიპების გამოყოფისას საფუძვლად გერმანული ენის სინამდვილე გაითვალისწინა, და შესაბამისი სისტემა შემოგვთავაზა [თუმბი/Thumb, 1910:39-40].

ბერძნულის ბრუნების სისტემის ღრმად შესწავლისას ნათელი ხდება, რომ სქესების მიხედვით მარტივი დაყოფა ილუზორულია და თითოეული ტიპის ფარგლებში ბევრი განსხვავებული ქვეკატეგორიაა. არ შევუდგებით ახლა ენათმეცნიერებაში არსებული ალტერნატიული კლასიფიკაციების განხილვას, უბრალოდ აღვნიშნავთ, რომ პრინციპები ამ კლასიფიკაციებისა ყველგან განსხვავებულია. ასე, მაგალითად, ხ. კლერისი და გ. ზაბინოტისი ბრუნების ტიპების გამოყოფისას ამოსავლად ბრუნვის ნიშნებს იღებენ და შესაბამისად ორ კატეგორიას განასხვავებენ: ორდაბოლოებიან და სამდაბოლოებიანს [კლერისი/Κλαίρις... 1998:15-17]. სქემის სახით ეს კლასიფიკაცია შემდეგნაირად შეიძლება წარმოვადგინოთ:

I ტიპი ორდაბოლოებიანი						II ტიპი სამდაბოლოებიანი	
თანაბარმარცვლიანი			არათანაბარმარცვლიანი			თანაბარმარცვლიანი	
მამრ.	მდედრ.	საშ.	მამრ.	მდედრ.	საშ.	მამრ.	მდედრ.
-αζ	-α	-ο	-αζ	-α	-μα	-οζ	-οζ
-ηζ	-η	-ι	-ηζ	-ου	-εαζ		
-εαζ			-εζ	-η	-ου		
			-ουζ		-συο		

ჩვენი აზრით, ბერძნულ ენაში ბრუნების ტიპების გამოყოფისას ყურადღება უნდა მივაქციოთ როგორც სახელთა ფუძის დაბოლოებებს, ვინაიდან სხვადასხვაფუძიანი სახელები სხვადასხვანაირად იბრუნვის, ასევე სახელების თანაბარ და არათანაბარმარცვლიანობას. ინდოევროპული ენებისათვის საერთოდ დამახასიათებელია ბრუნების ტიპების მრავალფეროვნება ფუძეების ჯგუფების მიხედვით. თითოეულ ჯგუფს ბრუნების თავისებური წარმოება ახასიათებს. ამიტომ ბრუნების ტიპების გამოყოფის საფუძველი უპირველეს ყოვლისა უნდა იყოს სახელთა ფუძის დაბოლოება. ამ მხრივ საინტერესოა რ. გორდეზიანის, ი. დარჩიას და ს. შამანიდის მიერ შემოთავაზებული ბრუნების სისტემის კლასიფიკაცია.<sup>1</sup> ეს უკანასკნელი სწორ ლინგვისტურ პრინციპს ეფუძნება ანუ აქ პირველ რიგში გათვალისწინებულია

<sup>1</sup> დაწვრილებით იხ. რ. გორდეზიანი, ი. დარჩია, ს. შამანიდი 2001. ძველი და ახალი ბერძნული. შედარებითი გრამატიკა. თბილისი, 58-59.

სახელის ფუძის დაბოლოება, თანაც ბრუნების კლასიფიკაციისას მოშველებულია ერთიანი პრინციპი – ნათესაობითი ბრუნვის ფორმის მიხედვით ტიპების გამოყოფა.

ამ პრინციპების გათვალისწინებით, ჩვენ ვცადეთ ჩვენი კლასიფიკაცია შემოგვეთავაზებინა, რომელზეც დაწვრილებით ჩვენს სადისერტაციო ნაშრომში იყო საუბარი.<sup>2</sup> აქ მხოლოდ ამ კლასიფიკაციის ამსახველ სქემას გავიმეორებთ.

I ტიპი α ფუძიანი თანაბარმარცვ- ლიანი სახელები			II ტიპი α ფუძიანი არათანაბარმა- რცვლიანი სახელები		III ტიპი ο ფუძიანი თანაბარმა- რცვლიანი სახელები	IV ტიპი სხვადასხვა- ფუძიანი თანაბარმარ- ცვლიანი სახელები	V ტიპი სხვადასხვა- ფუძიანი არათანა- ბარმარცვ- ლიანი სახელები
მამრ.	მდედრ.	მამრ., მდედრ.	მამრ.	მდედრ.	მამრ., მდედრ., საშ.	საშ.	საშ.
-აც, -იჯ	-α, -ι	-εαζ, -ηζ, -εζ	-αζ, -ηζ, -εζ	-α	-οζ, -ο, -ι	-οζ	-οζ, -αζ, -μα, -εαζ, -ον, -αυ, -εν, -σις

როგორც ვნახეთ, ბრუნების ტიპების გამოყოფისას ქართული და ბერძნული ენები სრულიად განსხვავებულ პრინციპებს იყენებენ. ქართულში ეს ფონეტიკური პროცესების შედეგად მიღებული ცვლილებებია, ბერძნულში კი მიღებულ კლასიფიკაციაში სქესის გრამატიკული კატეგორიაა, ხოლო ალტერნატიულ კლასიფიკაციაში, ძირითადად, ფუძის დაბოლოება [ზუკისი/Zoukij, 1963: 47-73, გორდეზიანი... 2001:58-59], სახელების თანაბარ და არათანა-ბარმარცვლიანობა [ცოპანაკისი/Τσιπανάκης, 1994:213-241] და ბრუნვის

<sup>2</sup> ბერძნული ენის ბრუნების სისტემის ალტერნატიული კლასიფიკაციების შესახებ იხ. ს. ბერიკაშვილი 2008. ბრუნების სისტემის კლასიფიკაციის პრინციპები ძველსა და ახალ ბერძნულში. თბილისი, 118-134.

ნიშნების რაოდენობა [კლერისი/Κλαίρης...1998:15-17, მირაბელი/Mirambel, 1988:89-97].

ბრუნვის ფორმა ქართულში შეიძლება მარტივად იყოს წარმოდგენილი, შეიძლება მხლებლიანი იყოს. მხლებელი ზოგჯერ ისე მჭიდროდ არის შეზრდილი სახელის ფორმასთან, რომ შეიძლება ერთი სიტყვა მოგვცეს. ქართულში სახელს ერთვის თანდებული და ნაწილაკი. საერთოდ, თანდებულებისა და ნაწილაკების პოსტპოზიციური დართვა ქართული ტიპოლოგიის ერთ-ერთ მთავარ თავისებურებად უნდა მივიჩნიოთ. სხვადასხვა ენის უნივერსალიების დადგენისას უპირველესი კრიტერიუმი, რომელსაც აქცევენ ყურადღებას სინტაქსური ურთიერთმიმართების გამოსავლენად, ენაში თანდებულებისა ან წინდებულების არსებობაა. შესაბამისად იმ ენებს, რომელთაც თანდებულები გააჩნიათ, სხვა სინტაქსური მიმართებები აქვთ წინადადებაში იმ ენებისაგან განსხვავებით, რომელთაც წინდებულები ახასიათებთ. ქართულს აქვს თანდებულისანი ბრუნვები, ბერძნულს კი წინდებულისანი. მიუხედავად იმისა, რომ თანდებულისანი ბრუნვები იბერიულ-კავკასიურ ენებში ეფარდება წინდებულისანი ბრუნვებს ინდოევროპულ ენებში, მათ შორის დიდი განსხვავებაა და შესაბამისად წინდებულებისა თუ თანდებულების არსებობა ამა თუ იმ ენაში სრულიად განსხვავებულ სინტაქსურ მოდელს ქმნის.

ბრუნვის დროს, ბუნებრივია, ჩნდება მთელი რიგი სადავო საკითხებისა თანდებულისანი და ნაწილაკისანი სახელებთან მიმართებაში. თანდებულებს ქართულში ზოგიერთი ბრუნვა დაირთავს, ნაწილაკს კი – ყველა. თანდებულები გვხვდება სახელობითში, მიცემითში, ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში. ძირითადად, თანდებულები მხოლოდ ერთ გარკვეულ ბრუნვას დაერთვის, მაგრამ გვაქვს შემთხვევები, როდესაც ორ-ორ ბრუნვასთანაც გვხვდება. ასე, მაგალითად, -გან და -ვით ორ-ორ ბრუნვას დაერთვის: -გან ნათესაობითსა და მოქმედებითს, -ვით სახელობითსა და მიცემითს. ბერძნულში წინდებულები ძირითადად მხოლოდ ერთ ბრუნვასთან გვხვდება, ეს ბრუნვაა ბრალდებითი. ორადორი წინდებული  $\gamma\alpha$  (-თვის) და  $\alpha\pi\tau$  (-გან, -დან) გვხვდება სახელობით ბრუნვაშიც. ზოგიერთი წინდებული გვხვდება ნათესაობით ბრუნვასთან, ისიც მხოლოდ, ძველ, სტერეოტიპულ, გაქვავებულ ფრაზებში და გამოთქმებში, მაგალითად,  $\acute{\epsilon}\nu$

μέρει (ნაწილობრივ), επί Φραγκοκρατίας (ფრანგთა მმართველობის დროს), πρὸ Χριστοῦ (ქრისტეშობამდე) და სხვ. [ტრიანდაფილიდისი/Τριανταφυλλίδης, 2002:387].

ძველ ქართულში თანდებული დაერთოდა სახელობითს, მიცემითს, ნათესაობითს, მოქმედებითს, ვითარებითს, აგრეთვე ნათესაობითისაგან ნაწარმოებ მეორეულ ბრუნვებს: მიმართულებითსა და დანიშნულებითს. ზოგი თანდებული (ზედა, თანა, შორის, წინაშე...) ორ ბრუნვას დაერთოდა, ზოგი – ერთს (ვით, ურთ...) [სარჯველაძე, 1997: 47-48].

ძველ ბერძნულში წინდებულები შეიძლებაოდა დაკავშირებოდა ერთ, ორ ან სამ ბრუნვას. ამასთანავე წინდებულები აქ იყოფოდა ორ ჯგუფად, საკუთრივ და არასაკუთრივ წინდებულებად. საკუთრივ წინდებულებისაგან განსხვავებით არასაკუთრივ წინდებულები მონაწილეობას არ იღებდნენ სიტყვათწარმოებაში [გორდეზიანი... 2001:172]. ძველ ბერძნულში წინდებულები დაისმოდა როგორც არსებითი სახელის წინ, ისე მის შემდეგაც. ძველ ქართულში თანდებული უპირატესად ბრუნვის ფორმას მოსდევდა, მაგრამ გვხვდება შემთხვევები, როდესაც ის სახელის წინაც დაისმის. ძველ ქართულში თანდებულის პრეპოზიციურად ხმარება ბერძნულის ზეგავლენას უნდა მივაწეროთ [სარჯველაძე, 1997:48]. ქართულისთვის იგი ბუნებრივი არ არის. თანამედროვე ქართულში თანდებული მოსდევს არსებით სახელს, ანუ გვაქვს პოსტპოზიციური წყობა, ახალ ბერძნულში, ძველი ბერძნულისაგან განსხვავებით, არ გვხვდება შემთხვევები წინდებულის ხმარებისა სახელის შემდეგ, მას მხოლოდ პრეპოზიციური წყობა აქვს.

ქართულში ჯერ კიდევ ძველი ქართულის პერიოდიდან გაირჩეოდა ბრუნვის ნიშანთა ორი სახეობა: სადა და -ა დართული ანუ „ემფატიკური“. ემფატიკური -ა უტოლდება თავისი ფუნქციით განსაზღვრულ ნაწევარს. ემფატიკური -ა ახალ ქართულში დაერთვის ყველა სახელს ოთხ ბრუნვაში, სახელდობრ: მიცემითში, ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში და აგრეთვე ამავე ბრუნვების თანდებულიან ფორმებს [ზურაბიშვილი, 1956:224]. ეს ემფატიკური -ა მეცნიერებს სხვადასხვა წარმომავლობისა მიაჩნიათ. ზოგი მას ბრუნვის ნიშნად

მიიჩნევს, ზოგი განსაზღვრებით ნაწილაკად.<sup>3</sup> არნ. ჩიქობავას აზრით, ემფატიკური -ა განსაზღვრებაა, დეტერმინაცია, რომელიც ნაცვალსახელოვან ელემენტს იყენებს. თანაც უნდა განვასხვავოთ მარტოდენ მსაზღვრელნაწილაკიანი ბრუნვები, როგორცაა სახელობითი და მოთხრობითი და ბრუნვის ნიშნისა და მსაზღვრელი ნაწილაკის მქონე ბრუნვები ანუ -ა დართული: ნათესაობითი, მოქმედებითი და მიცემითი, ე. ი. ორი ტიპის მორფოლოგიური ოდენობა [ჩიქობავა, 1956:267-268].

აღსანიშნავია, რომ თანდებულების დართვისას ჩვენ გვხვდება ორივე ფორმა, როგორც -ა ნაწილაკიანი, ისე მის გარეშეც. ნათესაობითში ორივე ფორმა სწორია. რაც შეეხება მიცემითს, მოქმედებითსა და ვითარებითს, აქ, როგორც არნ. ჩიქობავა აღნიშნავს, „ისტორიულად ყველგან თანდებული დაერთვოდა ბრუნვის ფორმას უამნაწილაკოდ“. ზუსტად ამიტომ მიცემით ბრუნვაში ბრუნვის ნიშანი -ს დაიკარგა თანდებულის წინ. ეს არ მოხდებოდა -ზე, -ში, -თან-ის წინ -ა რომ გვექონოდა [ჩიქობავა, 1950:043]. ეს და ზოგიერთი სხვა თანდებული იმდენად შეეზარდა ფუძეს, რომ ბრუნვის ნიშანი აღარ გამოიყოფა და, შესაბამისად, შეიქმნა საფუძველი, რომ სახელის ფუძეზე დართული ელემენტი მთლიანად ბრუნვის ნიშნად ყოფილიყო გაგებული. ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ამის გამო ახალი ბრუნვები უნდა გამოვეყოთ [შანიძე, 1980:73-76]. ინდოევროპულ ენებში არის შემთხვევები სახელთან წინდებულების შეზრდისა, მაგრამ იშვიათად. ახალ ბერძნულში ასეთი შემთხვევები არ დასტურდება. წინდებული რომ შეეზრდება სიტყვას, სიტყვის დასაწყისს ცვლილება მოულის. თანდებულის დართვისას კი ეს ცვლილება არ ხდება. ამიტომაც, არსებით სახელს თანდებული უფრო ადვილად შეერწყმის [ჩიქობავა, 1979:157].

ბრუნვის ფორმას შეიძლება ახლდეს ნაწილაკებიც, რომლებიც სახელს, ჩვეულებრივ, ბრუნვის ნიშნის შემდეგ დაერთვის. თუმცა ზოგიერთი ნაწილაკი შეიძლება შეეზარდოს ფუძეს და მის ნაწილად იქცეს. ასეთია, მაგალითად, -მე, -ვე, -ლა, -ცა ნაწილაკები, რომლებიც სიტყვასთან ერთად იწერება. ამ ნაწილაკებთან ერთად სახელთა

---

<sup>3</sup> საენათმეცნიერო ლიტერატურაში არსებული თვალსაზრისები ემფატიკური -ა-ს შესახებ იხ. სტატიაში: თ. ზურაბიშვილი 1956. ემფატიკური -ა ახალ ქართულში. *სახელის ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში*. თბილისი, 224-233.



ბრუნებისას სადავო საკითხები წარმოიშვება იმ შემთხვევაში, როცა ნაწილაკები დაერთვის ნაცვალსახელებსა და რიცხვით სახელებს [თოფურია, 1956:131]. ამ მხრივ თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ პარალელურად გამოიყენება სამი ფორმა: შეუხორცებელი, შეხორცებული და ნარევი. შეუხორცებელი წარმოება იმაში მდგომარეობს, რომ ნაწილაკები ბრუნვის ნიშნის შემდეგ დაერთვის. ეს სახეობა ძველი ქართულიდან მომდინარეობს, იხმარება დღესაც, მაგრამ არ შეუძლია აწარმოოს ყველა ბრუნვა. შეხორცებული, ანუ ახალი წარმოების მიხედვით ნაწილაკები შეზრდილია ფუძეზე, ბრუნებისას იგი ყველა ბრუნვას აწარმოებს. ნარევი სახეობაა, როდესაც ბრუნვის ნიშანი სახელს დაერთვის ნაწილაკის წინაც და ნაწილაკის შემდეგაც. ვ. თოფურიას აზრით, ამათგან სალიტერატურო ენაში ძირითად ფორმად უნდა დარჩეს შეხორცებული წარმოება, როგორც „წარმოების მიხედვით სწორი, სრული, გავრცელებული და ადვილად მოსახმარისი და ენის განვითარების ტენდენციის ამსახველი“, შეუხორცებელი წარმოება დასაშვებად უნდა იქნეს მიჩნეული, ხოლო ნარევი უნდა უარყოფილ იქნეს, როგორც წარმოების მიხედვით არასწორი [თოფურია, 1956:131-138].

ქართულ ენაში საკუთარი სახელები, როგორც გეოგრაფიული, ასევე პირის აღმნიშვნელი, ბრუნების საერთო წესს მიჰყვებიან. ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს ახალ ბერძნულშიც. ქართულში მოგვეპოვება მთელი რიგი თავისებურად ბრუნებადი სახელებისა, როგორიცაა, მაგალითად, ღმერთი, ხუცესი, ამბავი და ა. შ.<sup>4</sup> ასევე ახალ ბერძნულსაც მოეპოვება თავისებურად ბრუნებადი ე. წ. არაწესიერი (ατάκτα ουσιαστικά) არსებითი სახელები. აქ შედის: უბრუნველი, ფორმანაკლული, თავისებურად ბრუნებადი, ორგვარი ბრუნების, ორფორმიანი და ორბოლოკიდურიანი არსებითი სახელები [ტრიანდაფილიდისი/Τριανταφυλλίδης, 2002:253-260].

სახელთა ბრუნების დროს როგორც ქართულ, ასევე ბერძნულ ენებში თავისებურებებით განსაკუთრებით გამოირჩევა ნაცვალსახელები და ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ნაცვალსახელებზე დაწვრილებით შევჩერდეთ.

---

<sup>4</sup> თავისებურად ბრუნებადი არსებითი სახელების შესახებ იხ. ა. შანიძე 1980. ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. ტ. III. თბილისი, 96-97.

### 3. 2. ნაცვალსახელი

XIX საუკუნიდან მოყოლებული დღემდე ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში ნაცვალსახელი დამოუკიდებელ მეტყველების ნაწილად არის მიჩნეული. ბერძნულშიც ნაცვალსახელი დამოუკიდებელ მეტყველების ნაწილად ითვლება და, ქართულის მსგავსად, მეტყველების ნაწილთა სისტემაში მეოთხე ადგილს იკავებს. უბრალოდ, მეტყველების ნაწილთა რიგი ქართულსა და ბერძნულში განსხვავებულია. ქართულში გვაქვს: არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი და ნაცვალსახელი, ხოლო ბერძნულში: არტიკლი (άρτικι), არსებითი (ουσιαστικά), ზედსართავი (επίθετα) და ნაცვალსახელი (απτασμη). აქ ნაცვალსახელი არსებითთან და ზედსართავთან ერთად ქმნის სახელების ჯგუფს, მაშინ, როდესაც ქართულში სახელების ჯგუფს ემატება რიცხვითი სახელიც. ტრადიციულად ნაცვალსახელის ადგილი ქართულ მეტყველების ნაწილთა სისტემაში რიცხვითი სახელის შემდეგაა.

მიუხედავად აღნიშნულისა, გრამატიკულ ლიტერატურაში დღემდე არ არის შემუშავებული ერთიანი აზრი ნაცვალსახელის რაობისა და მისი ადგილის შესახებ მეტყველების ნაწილთა სისტემაში. ასე, მაგალითად, ზ. შანშოვანი ნაცვალსახელს გამოყოფს მეტყველების ნაწილად, მაგრამ მას მიიჩნევს დამხმარე, არასრული მნიშვნელობის მქონე ერთეულად. ანტონი, ი. ქართველიშვილი, გ. ფირალოვი და პ. იოსელიანი მეტყველების ნაწილად თვლიან მხოლოდ პირის ნაცვალსახელებს, სხვებს კი ზედსართავებს მიაკუთვნებენ. გაიოზი, მართალია, ნაცვალსახელებს სრულმნიშვნელოვან სიტყვებად მიიჩნევს, მაგრამ ცალკე მეტყველების ნაწილად მაინც არ თვლის და სიტყვათა სხვა ჯგუფებს შორის ანაწილებს. ი. ნიკოლაიშვილი ნაცვალსახელს არ თვლის დამოუკიდებელ მეტყველების ნაწილად და მას დამხმარე, ფორმალური მნიშვნელობის მქონე სიტყვათა ჯგუფში აერთიანებს.

ნაცვალსახელთა ადგილი რომ განვსაზღვროთ მეტყველების ნაწილთა სისტემაში, უნდა გავითვალისწინოთ არა მხოლოდ მისი ლექსიკური მნიშვნელობა, არამედ – გრამატიკული თავისებურებანიც.

მნიშვნელოვანი და, შეიძლება ითქვას, არსებითი თვისება ნაცვალსახელისა არის განზოგადების თავისებური უნარი. ზოგადი

მნიშვნელობა, მართალია, მეტ-ნაკლებად ახასიათებს ყველა მეტყველების ნაწილს, მაგრამ ზოგადისა და კერძოს შეთავსება ისე, როგორც ეს ნაცვალსახელებშია მოცემული, სხვა მეტყველების ნაწილს არა აქვს. ნაცვალსახელი ისწრაფვის განაზოგადოს ყველა ის, რაც უკვე განზოგადებული სახით არსებობს დანარჩენ მეტყველების ნაწილში, ე. ი. ნაცვალსახელი თავის მხრივ განაზოგადებს უკვე განზოგადებულ ცნებებს, მიუთითებს მათზე. ესაა ყველასგან განსხვავებული, ძირითადი, თავისებური თვისება ნაცვალსახელისა. ნაცვალსახელი ყველაზე ზოგადი და განყენებული სიტყვაა. იგი აღნიშნავს არა რომელიმე საგანს, არამედ საგანს საერთოდ, საგანს ზოგადი გაგებითა და მნიშვნელობით. სხვა სახელებისაგან განსხვავებით, იგი არ ასახელებს საგანს ან მის თვისება-რაოდენობას, არამედ ზოგადად მიუთითებს მათზე. ნაცვალსახელის მეორე თვისება ის არის, რომ, მუდმივ ზოგად და განყენებულ მნიშვნელობასთან ერთად, მას აქვს, ამავე დროს, ცვალებადი, კონკრეტული მნიშვნელობაც.<sup>5</sup>

ნაცვალსახელი მოიცავს სახელთა ყველა ძირითად გრამატიკულ თავისებურებას ყველაზე განზოგადებული სახით. ბრუნვის, რიცხვისა და ზოგიერთ ენაში სქესის გრამატიკული კატეგორია საერთო თვისებას წარმოადგენს არსებითი სახელის, ზედსართავის, რიცხვითისა და ნაცვალსახელისათვის.

ქართულ ნაცვალსახელს მოეპოვება ბრუნვისა და რიცხვის კატეგორიები, გარდა *მე, შენ, ჩვენ* და *თქვენ* პირის ნაცვალსახელებისა, რომელნიც, ა. შანიძის აზრით: „ისეთ სიტყვებად უნდა იქნენ მიჩნეული, რომელთაც მორფოლოგიური კატეგორიები (ბრუნვა და რიცხვი) არ გააჩნიათ“ [შანიძე, 1980:98].

ბერძნულ ნაცვალსახელს გარდა ბრუნვისა და რიცხვისა მოეპოვება აგრეთვე სქესის გრამატიკული კატეგორია. ნაცვალსახელი განასხვავებს სამ სქესს: მამრობითს, მდედრობითსა და საშუალოს, როგორც მხოლოდობით, ისე მრავლობით რიცხვშიც. მაგალითად, პირის ნაცვალსახელი: მხ. *αυτός* (ის – მამრ. სქ.), *αυτή* (ის – მდედრ. სქ.), *αυτό* (ის – საშ. სქ.) მრ. *αυτοί* (ისინი – მამრ. სქ.), *αυτές* (ისინი – მდედრ. სქ.), *αυτά* (ისინი – საშ. სქ.).

---

<sup>5</sup> იხ. ა. მარტიროსოვი 1964. ნაცვალსახელი ქართველურ ენებში. თბილისი.

ზოგი მკვლევარი მიუთითებს, რომ ნაცვალსახელი ენაში ყველაზე ადრინდელი წარმონაქმნია. მაგრამ არსებობს სხვაგვარი შეხედულებაც, რომლის მიხედვით ნაცვალსახელი გვიანდელი წარმონაქმნი უნდა იყოს. მკვლევართა უმრავლესობის აღიარებით ნაცვალსახელები მომდინარეობენ კონკრეტული, ლექსიკური მნიშვნელობის მქონე სიტყვებისაგან, რომლებიც დროთა განმავლობაში ხშირი ხმარებისაგან თანდათანობით გაცვთდნენ და სახეშეცვლილი, შეკვეცილი ფორმით მოგვევლინენ [ჩიქობავა, 1965:165].

ქართველ გრამატიკოსთა ერთი ნაწილი (ანტონი, ი. ქართველიშვილი) ვარაუდობს, რომ ენაში თავდაპირველად უნდა წარმოშობილიყო ჩვენებითი ნაცვალსახელები, ხოლო მათ ბაზაზე უფრო გვიან – პირის ნაცვალსახელები. ზ. შანშოვანისა და გაიოზის აზრით, პირიქით: ადრინდელია პირის ნაცვალსახელები, ჩვენებითი და კუთვნილებითი კი შედარებით გვიანდელი წარმოშობისაა. ნ. მარი ამოსავლად მიიჩნევს კუთვნილებით ნაცვალსახელებს, რომელთაგან შემდეგ გამოიყო პირის ნაცვალსახელები. ინდოევროპული ენების მკვლევარმა ბ. შერცლმა გამოთქვა მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, როგორც პირის, ისე კუთვნილებითი ნაცვალსახელები მომდინარეობენ მათთვის საერთო ფუძეებიდან, ისეთი მითითებითი სიტყვებიდან, რომლებიც ერთდროულად გამოხატავდნენ როგორც პირს, ისე მის კუთვნილებას [მარტიროსოვი, 1964:34].

მოსაზრება, რომლის მიხედვითაც უპირატესობა კუთვნილებით ნაცვალსახელებს ეძლევა, ნაკლებ სარწმუნო ჩანს, რადგანაც ენათა აბსოლუტურ უმრავლესობაში იგი აშკარად გვიანდელი წარმოშობისაა. კუთვნილებითი ნაცვალსახელები, როგორც წესი, წარმოადგენს პირის ნაცვალსახელთა ნათესაობითი ბრუნვის ფორმას, რომელიც სათანადო მნიშვნელობის წყალობით თანდათან გამოიყო პირის ნაცვალსახელთა ბრუნვის სქემას, შემდეგ, თავის მხრივ, შექმნა დამოუკიდებელი პარადიგმა და მიიღო კუთვნილებითი ნაცვალსახელების ახლანდელი ფორმა და მნიშვნელობა.

ა. ჩიქობავას აზრით, თანამედროვე ქართულში პირის ნაცვალსახელები *მე, შენ, ჩვენ* და *თქვენ* ბრუნვების დანაკლის ფორმებს კუთვნილებითი ნაცვალსახელებით ივსებენ. „მე, შენ, ჩვენ, თქვენ სახელობითში, მოთხრობითსა და მიცემითში უცვლელად რჩება, მიმართულებითი და მოქმედებითი არ ეწარმოება. საამისოდ ხმარებუ-

ლი ჩემად//ჩემდა, ჩემით; შენად//შენდა, შენით; ჩვენად//ჩვენდა, ჩვენით; თქვენად//თქვენდა, თქვენით კუთვნილებითი ნაცვალსახელების ჩემი, შენი, ჩვენი, თქვენი-ს ფორმება“ [ჩიქობავა, 1950:044].

რაც შეეხება ახალ ბერძნულს, აქ კუთვნილებითი ნაცვალსახელები  $\mu\omicron\varsigma$  (ჩემი),  $\sigma\iota\varsigma$  (შენი),  $\tau\omicron\varsigma$  (მისი – მამრ. სქ.),  $\tau\eta\varsigma$  (მისი – მდედრ. სქ.),  $\tau\omicron\varsigma$  (მისი – საშ. სქ.),  $\mu\alpha\varsigma$  (ჩვენი),  $\sigma\alpha\varsigma$  (თქვენი),  $\tau\omicron\iota\varsigma$  (მათი) პირის ნაცვალსახელთა ნათესაობითი ბრუნვის სუსტი ტიპის ფორმას წარმოადგენს. პირის ნაცვალსახელთა ძლიერი ფორმა, ჩვეულებრივ, მაშინ გამოიყენება, როდესაც პირის ნაცვალსახელი განცალკევებულად დგას წინადადებაში ან როდესაც გვსურს ხაზი გავუსვათ რაიმეს ან ყურადღება გავამახვილოთ რამეზე, ხოლო სუსტი ფორმები გამოყენების მხრივ, ძლიერ ფორმებზე უფრო ხშირია და გამოიყენება მაშინ, როდესაც რაღაცას ვიტყვით ხაზგაუსმელად, ყურადღების მიქცევის გარეშე [ტრიანდაფილიდისი/Τριανταφυλλίδης, 2002:287].

ადიარებულაა აგრეთვე ჩვენებით და პირის ნაცვალსახელთა მჭიდრო ურთიერთკავშირი წარმოშობის მხრივ და მთლიანი დამთხვევაც კი მესამე პირში. ცნობილია, რომ ქართულში ის და იგი ჩვენებითი ნაცვალსახელები ამავე დროს მესამე პირის ნაცვალსახელსაც წარმოადგენენ. ასეთივე მდგომარეობა გვაქვს ახალ ბერძნულშიც: აქაც ჩვენებითი ნაცვალსახელები  $\alpha\tau\acute{o}\varsigma$  (ის – მამრ. სქ.),  $\alpha\tau\eta\acute{\iota}$  (ის – მდედრ. სქ.),  $\alpha\tau\omicron$  (ის – საშ. სქ.) მესამე პირის ნაცვალსახელებია. მათი გარჩევის საშუალება ადვილია, როცა ზმნასთან იხმარება პირის ნაცვალსახელია, ხოლო როდესაც სახელთან – ჩვენებითია.

ჩვენს ყურადღებას შევაჩერებთ პირის, კუთვნილებით და ჩვენებით ნაცვალსახელებზე, რომელთა შეპირისპირებითი ანალიზის დროს ყველაზე მეტი მსგავსება გამოვლინდა ქართულ და ბერძნულ ენებს შორის.

პირის ნაცვალსახელებს გრამატიკულ ლიტერატურაში ჩვეულებრივ ახასიათებენ როგორც პირის აღმნიშვნელ სახელებს. ა. მარტიროსოვის აზრით, ასეთი განსაზღვრება მთლად ზუსტი არ არის, რადგანაც პირზე შეიძლება მიუთითოს აგრეთვე სხვა ნაცვალსახელმა, როგორცაა, მაგალითად, კითხვითი ნაცვალსახელი ვინ [მარტიროსოვი, 1964:58].

პირის ნაცვალსახელებია:  $\epsilon\gamma\acute{\omega}$  – მე,  $\epsilon\sigma\acute{\upsilon}$  – შენ,  $\alpha\tau\acute{o}\varsigma$ ,  $\alpha\tau\eta\acute{\iota}$ ,  $\alpha\tau\omicron$  – ის, იგი,  $\epsilon\mu\acute{\epsilon}\iota\varsigma$  – ჩვენ,  $\epsilon\sigma\epsilon\iota\varsigma$  – თქვენ,  $\alpha\upsilon\tau\omicron\iota\varsigma$ ,  $\alpha\upsilon\tau\acute{\epsilon}\varsigma$ ,  $\alpha\upsilon\tau\alpha$  – ისინი. როგორც

ვხედავთ, ქართულისაგან განსხვავებით, ბერძნული ენის მესამე პირის ნაცვალსახელებს სქესის გაგება ახლავს, როგორც მხოლოდით, ისე მრავლობით რიცხვშიც.

ქართულში პირის ნაცვალსახელები *მე, შენ, ჩვენ*, თქვენ ბრუნვა-უცვლელი სახელებია, თუ არ ჩავთვლით *მე – ჩემ*- ფორმას. *მე* და *ჩემ* არ არის ერთი და იმავე სიტყვის ორი სხვადასხვა ფორმა. *მე*-ს თავისი ბგერითი შედგენილობით საერთო არაფერი აქვს ნათესაობითის ჩემ-ფორმასთან. ესენი სხვადასხვა ფუძეებია, ერთმანეთისაგან იმდენად განსხვავებული, რომ წარმოშობის მიხედვითაც სხვადასხვა დროისა ჩანან. მსგავსი სახის მოვლენა გვაქვს ახალ ბერძნულშიც, სახელობითი ბრუნვის  $\epsilon\gamma\acute{\alpha}$ -ს ნათესაობითში  $\epsilon\mu\acute{\epsilon}\nu\alpha$ ,  $\mu\sigma\upsilon$  შეენაცვლება, ხოლო ბრალ-დებითში  $\epsilon\mu\acute{\epsilon}\nu\alpha$ ,  $\mu\epsilon$  ფორმები. მაგრამ ბერძნულის პირის ნაცვალ-სახელები ბრუნვაცვალებადია, ქართულისა კი – ბრუნვაუცვლელი.

ნათესაობითში პირის ნაცვალსახელები დამოუკიდებლად არ იხმარება: ყოველთვის გვხვდება ისეთ თანდებულებთან (-გან, -კენ, -თვის...), რომლებიც, საზოგადოდ, სახელს ნათესაობით ბრუნვაში მართავენ.

მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვის ფორმები პირის ნაცვალსახელებს საერთოდ არ გააჩნიათ, არ ეწარმოებათ არც მიმართვის ფორმა (წოდებითი ბრუნვა). *შენ* და *თქვენ* შეიძლება მოწოდებისას ვიხმაროთ, მაგრამ, „ერთადერთი ცვლილება, რომელიც ბოლოკიდური თანხმობის მოკვეცაში გამოიხატება, შეიძლება მხოლოდ მაშინ მოუვიდეს, თუ დაერთო რაიმე განსაზღვრება“ [შანიძე, 1980:99]. მაგალითად, *შე* კაი კაცო! *თქვე* კარგო ხალხო! ეს განსაზღვრება არსებითი სახელიც შეიძლება იყოს, მაგალითად, *შე* კაცო!

მსგავსი ვითარებაა ახალ ბერძნულშიც, აქაც წოდებითი ბრუნვის ფორმა არ გააჩნია არც ერთ პირის ნაცვალსახელს, გარდა მეორე პირისა:  $\epsilon\sigma\upsilon$  და  $\epsilon\sigma\epsilon\iota\zeta$ . მაგალითად,  $\epsilon$   $\epsilon\sigma\upsilon$   $\acute{\epsilon}\lambda\alpha$   $\pi\iota\sigma$   $\kappa\omicron\nu\nu\tau\acute{\alpha}$  (მოდი, შენ უფრო ახლოს),  $\pi\rho\omicron\chi\alpha\rho\epsilon\iota\tau\epsilon$ ,  $\epsilon\sigma\epsilon\iota\zeta$  (თქვე, წინ გასწით) [ტრიანდაფილიდისი/Τριανταφυλλίδης, 2002:288].

ფორმათა უქონლობის გამო პირის ნაცვალსახელებს ზოგ შემთხვევაში შეიძლება მაგივრობა გაუწიონ და ამგვარად ნაკლი შეუვსონ სათანადო კუთვნილებითმა ნაცვალსახელებმა. ძირითადად ეს ხდება მოქმედებითსა და ვითარებითში, ზოგჯერ – ნათესაობით ბრუნვაშიც. რაც შეეხება ბერძნულს, აქ კუთვნილებითი ნაცვალსახელები პირის ნაცვალსახელებს მხოლოდ ნათესაობით ბრუნვაში ცვლიან.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართულისაგან განსხვავებით ბერძნულში პირის ნაცვალსახელებს ბრუნების ორი ტიპი ახასიათებს: ძლიერი და სუსტი. ბერძნულში ხშირია წინადადებაში ერთი და იმავე პირის ნაცვალსახელის ძლიერი და სუსტი ფორმის ერთდროულად ხმარება, რაც უფრო მეტად ხაზს უსვამს სათქმელს. მაგალითად, *εμὲν δὲ μὲ πατοῖν* (მე არ მეკითხებიან) [ტრიანდაფილიდისი/Τριανταφυλλίδης, 2002:289].

მესამე პირის ნაცვალსახელები *ეს, ეგ, ის, იგი* ამავედროულად ჩვენებითი ნაცვალსახელებიც არის. მათ ჩვენებით ნაცვალსახელებთან განვიხილავთ.

პირის ნაცვალსახელებში თავისებურად გამოიყურება რიცხვის კატეგორია როგორც ფორმის, ისე შინაარსის მხრივ. ჯერ კიდევ ფრანც ბოპს ინდოევროპულ ენებში შენიშნული ჰქონდა, რომ პირველი პირის ნაცვალსახელისაგან არ შეიძლება იწარმოოს მრავლობითი რიცხვი, რადგან არსებობს მხოლოდ ერთი მე, სიტყვა ჩვენ კი ყოველთვის ნიშნავდა პირველი პირის გარდა, მეორე და მესამე პირსაც, ან ორივეს ერთად. ა. ჩიქობავას აზრით, აუცილებელია სახელში რიცხვის კატეგორია მორფოლოგიური საშუალებით – აფიქსით იყოს გამოხატული და არა ლექსიკურად [ჩიქობავა, 1965:271].

ზოგიერთ იბერიულ-კავკასიურ ენაში პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელთა მრავლობითის ფორმები იწარმოება კიდევაც მხოლობითისაგან სათანადო მაწარმოებლის გამოყენებით [გაფრინდაშვილი, 1953:162].

ენათა აბსოლუტურ უმრავლესობაში რიცხვის კატეგორია პირის ნაცვალსახელებში თავიდანვე გამოიხატებოდა არა გრამატიკულად, არამედ ლექსიკურად, ფუძის მთლიანად შეცვლის საშუალებით. მაგალითად, ძველ ბერძნულში პირის ნაცვალსახელთა მხოლობითი, მრავლობითი და ორობითი რიცხვის გამოსახატავად იხმარებოდა სრულიად სხვადასხვა ფუძეები: *ἐγώ* (მე – მხ.), *ἵμενες* (ჩვენ – მრ.), *ὦς* (ჩვენ – ორ.). ახალ ბერძნულშიც ანალოგიური მდგომარეობაა, მართალია, აქ აღარ მოგვეპოვება ორობითი რიცხვი, მაგრამ მხოლობითი და მრავლობითი რიცხვის ფორმები სხვადასხვა ფუძიდანაა ნაწარმოები: *εγώ* (მე – მხ.) და *εμείς* (ჩვენ – მრ.).

პირის ნაცვალსახელების მხოლობითსა და მრავლობითში ორ-ორი სხვადასხვა ფუძე-ელემენტის არსებობა იმაზე მიუთითებს, რომ ესენი

წარმოშობილია სხვადასხვა სიტყვისაგან, რომელთაც ოდესღაც კონკრეტული ლექსიკური მნიშვნელობა ჰქონდათ.

*ჩვენ* და *თქვენ* რამდენიმე პირის გამოხატველია, მაგრამ მათ სათანადო გრამატიკული გამოხატულება არ ახლავს. მართალია, ბოლოში ორივეს -ნ მოეპოვება, მაგრამ იგი არ შეიძლება მრავლობითობის ნიშნად გავიგოთ, რადგანაც პირის ნაცვალსახელებს მხოლოდითი რიცხვის ფორმებშიც *შენ* და *მე* (ძველ ქართულში *მენ*) აქვთ იგივე -ნ დაბოლოება. მაშასადამე, ნ მრავლობითის ნიშანი არ არის [იმნაიშვილი 1957:491].

*მენ* // *მენა* დასტურდება დიალექტურ ფორმებში. ქართული ენის ზოგ დიალექტში შემონახული *მენ* // *მენა* ფორმა *შენ(ა)*, *ჩვენ(ა)*, *თქვენ(ა)*-სთან ერთად საბუთს გვაძლევს ყველგან გამოვყოთ სადეტერმინაციო *ნა* ელემენტი. ეს *ნა* თავს იჩენს აგრეთვე თანდებულებსა და ზმნისართებში, სხვაგანაც გვაქვს და გარკვეულ ნაცვალსახელურ დეტერმინანტად გვევლინება [ჩიქობავა, 1956:26].

დ. მელიქიშვილის აზრით, პირის ნაცვალსახელებში *მენ*, *შენ*, *ჩვენ*, *თქვენ* სუფიქსად უნდა გამოიყოს არა *ნა* ელემენტი, არამედ *ენ*. იგივე დეტერმინანტი სუფიქსი ჩანს გამოსაყოფი ზმნისართებში: ზ-ენ-(ა), ქუ-ენ-(ა). ბოლოკიდური -ა, რომელიც ხან ახლავს და ხან არა ამ სუფიქსებს, უფუნქციო, ნართაული ხმოვანი ჩანს [მელიქიშვილი, 1980:56].

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ იბერიულ-კავკასიურ ენებში, მათ შორის ქართველურშიც, ოდითგანვე განირჩეოდა მრავლობით რიცხვში ინკლუზივ-ექსკლუზივის ფორმები. ასე, მაგალითად, *ჩვენ* შეიძლება გულისხმობდეს პირველ და მეორე პირს ერთად და, შესაბამისად, იქნება ინკლუზივი და შეიძლება გულისხმობდეს პირველ და მესამე პირს ერთად და, შესაბამისად, იქნება ექსკლუზივი. ამასთან დაკავშირებით, შეიძლება მოვიყვანოთ სვანურის მაგალითებიც, სადაც ზმნაში დღემდე განირჩევა ინკლუზივ-ექსკლუზივის ფორმები. მაგალითად, ხსასყიდ – ვაკეთებთ (მე და ის), ლასყიდ – ვაკეთებთ (მე და შენ). ბერძნულში ინკლუზივ-ექსკლუზივის ფორმები ნაცვალსახელებში არ განირჩევა.

*თქვენ* ნაცვალსახელი ყოველთვის ბევრს არ გამოხატავს, თავაზიან საუბარში თქვენობით მივმართავთ ხოლმე ერთ კაცსაც. ძველ ქართულში ეს ფორმა არ დასტურდება, არ დასტურდება არც ძველ ბერ-



მწიგნობარში. ახალ ბერძნულში კი თავაზიანობის *თქვენ* საკმაოდ გავრცელებულია.

პირის ნაცვალსახელად ქართულში გამოიყენებულია *თავი*, მას უკუქცევით ეძახიან. მაგალითად, თავი ისახელა. ბერძნულში უკუქცევით ნაცვალსახელად გამოიყენება ნაცვალსახელი *ο εαυτός* შესაბამის კუთვნილებით ნაცვალსახელთან ერთად. მაგალითად, *Φοινικῶν τὸν εαυτὸν μισ* (ვზრუნავ ჩემს თავზე). იგი ისევე იბრუნვის, როგორც მსგავსი ფუძის მქონე არსებითი სახელი. ქართულისაგან განსხვავებით უკუქცევითი ნაცვალსახელი ახალ ბერძნულში პირის ნაცვალსახელში არ შედის, იგი ცალკე ჯგუფს ქმნის.

კუთვნილებითი ნაცვალსახელები მიუთითებს კუთვნილებაზე ამა თუ იმ პირთან მიმართებით. ამის მიხედვით გვაქვს: *ჩემი, შენი, (ი)მისი, თავისი, ჩვენი, თქვენი, (ი)მათი, თავიანთი*. ასევე ბერძნულში: *μισ* (ჩემი), *σος* (შენი), *τὸς* (მისი – მამრ. სქ.), *της* (მისი – მდედრ.), *τὸς* (მისი – საშ.), *μας* (ჩვენი), *σας* (თქვენი), *τους* (მათი.) გარდა ამისა გამოიყენება ნაცვალსახელი *δικός* *μισ* (ჩემი), *δικός* *σος* (შენი), *δικός* *τὸς* (მისი) და ა. შ. ეს ნაცვალსახელი ორი ნაწილისაგან შედგება: ზედსართავი სახელისაგან *δικός* (საკუთარი) და კუთვნილებითი ნაცვალსახელისაგან *μισ* (ჩემი), *σος* (შენი), *τὸς* (მისი)... ეს ნაცვალსახელები გამოიყენება მაშინ, როდესაც გვსურს ხაზი გავუსვათ რამეს. შესაბამისად, როდესაც საუბარია ერთ მფლობელზე ვიყენებთ კუთვნილებით ნაცვალსახელთა მხოლოდითი რიცხვის ფორმას, ხოლო როდესაც მრავალზე – მრავლობითისას. ზედსართავი სახელის რიცხვი ამ დროს არ იცვლება [ტრიანდაფილიდისი/Τριανταφυλλίδης, 2002:292-293].

ნაცვალსახელს *თავისი* ბერძნულში *ἰδιος, ἰδια, ἰδιο* შეესაბამება. ქართულში თავისი ნაცვალსახელის ნაცვლად ხშირად გვხვდება ნაცვალსახელი *მისი*. მაგრამ, როგორც ცნობილია, ამ ნაცვალსახელთა შორის არსებითი აზრობრივი სხვაობაა. ძველ ბერძნულშიც ეს ნაცვალსახელები ერთიმეორის მონაცვლედ გამოდიოდა *αὐτός* და *ἐμαυτός*, მაგრამ ახალში ასეთი რამ არ დასტურდება.

*სხვა* განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმისაგან იწარმოება კუთვნილებითი ნაცვალსახელი *სხვისი*, რომელიც *სხვისა* სახითაც გვხვდება. ახალ ბერძნულში განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელისაგან *ἄλλος* (სხვა) კუთვნილებითი ნაცვალსახელი არ იწარმოება. *სხვისი* ფორმის შინაარსის გადმოსაცემად ხმარობენ

განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმას ἄλλοι (სხვის).

კუთვნილებითი ნაცვალსახელების ჩამოყალიბების პროცესი ქართველურ ენებში უშუალოდ პირის ნაცვალსახელებთანაა დაკავშირებული, რადგანაც ისინი წარმოსაქმნელად პირის ნაცვალსახელთა ნათესაობითი ბრუნვის ფორმას იყენებენ: ჩემ → ჩემი, შენ → შენი, ჩვენ → ჩვენი, თქვენ → თქვენი და ა. შ.

ამ მხრივ საინტერესოა გ. როგავას აზრი. იგი არ უარყოფს კუთვნილებით ნაცვალსახელთა პირის ნაცვალსახელებიდან მომდინარეობას, მაგრამ მათი შედგენილობა სხვაგვარად აქვს გააზრებული. „*ჩემი, შენი, ჩვენი, თქვენი* კუთვნილებით ნაცვალსახელებში, რომლებშიც -ი გაგებულია სახელობითი ბრუნვის ნიშნად, ფაქტობრივად კუთვნილების გამომხატველი აფიქსი უნდა იყოს, რომელიც მომდინარეობს ოდესღაც არსებული კუთვნილებითი ნაცვალსახელისაგან“ [როგავა, 1942:497-502].

ი. იმნაიშვილის აზრით, „*ჩემ, შენ* ნათესაობითი ბრუნვა თავისთავად შეიცავს კუთვნილებითობის მნიშვნელობას. როგორ შეიძლება, რომ ასეთი მნიშვნელობის მქონე ნაცვალსახელის ფუძეს კვლავ ამავე მნიშვნელობის აფიქსი დართოდა“ [იმნაიშვილი, 1957:517].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბერძნულში კუთვნილებითი ნაცვალსახელები სხვა არაფერია, თუ არა პირის ნაცვალსახელთა სუსტი ფორმა. მათ შორის განსხვავება შემდეგშია: კუთვნილებითი ნაცვალსახელი მოსდევს არსებით სახელს, პირის ნაცვალსახელი კი წინ უსწრებს ზმნას. სიტყვათა სხვაგვარი რიგი გამორიცხულია.

კუთვნილებითი ნაცვალსახელი თავისი დანიშნულებით მსაზღვრელი სიტყვაა, ამიტომ იგი ჩვეულებრივ სხვა სახელთან ერთად იხმარება, თან ქართული წინადადების წყობიდან გამომდინარე, წინ უსწრებს სახელს, ე. ი. კუთვნილებითი ნაცვალსახელის მსაზღვრელად გამოყენებისას დომინანტური რიგია არსებითი სახელის წინ. ქართულში კუთვნილებითი ნაცვალსახელი დამოუკიდებლად შეიძლება შეგვხვდეს. მაგალითად, **ჩვენი** ხარ, **შენი** კვნესამე, **ჩვენი!** ბერძნულში კი კუთვნილებითი ნაცვალსახელი დამოუკიდებლად არ იხმარება. ის ყოველთვის საზღვრული სიტყვის შემდეგ დგას და მასთან შერწყმულად გამოითქმის, ანუ აქვს პოსტპოზიციური წყობა.

მაგალითად, Η ικανότητα μου είναι μεγάλη (ჩემი შესაძლებლობა მაღალია).

ქართულში მაშინაც კი, როცა კუთვნილებითი ნაცვალსახელი დამოუკიდებლად იხმარება, მეტწილად ეს იმის შედეგია, რომ ისტორიულად საზღვრული სახელი ჩავარდნილია, გაუჩინარებულია. ხშირად ასეთი შემთხვევები გამოწვეულია კონტექსტში ერთი და იმავე საზღვრულის განმეორებითი ხმარების თავიდან ასაცილებლად. მაგალითად, შენ ღვთის მსახური იყავ და მე კი შენი ვიქნები. საზღვრულის ჩავარდნის გამო ბრუნვის ნიშანს კუთვნილებითი ნაცვალსახელი მიიღებს. მაგალითად, ზოგს ამხანაგების შემწეობით, ზოგსაც ჩემით ვსწავლობდი. მიცემითში კი იგი ორმაგი ბრუნვის ფორმით წარმოგვიდგება. მაგალითად, იმ მცოდნე კაცების ცოდნა რომ შენსაც ზედ დაემატოს – კარგი არ იქნება? ამგვარი წარმოშობისაა აგრეთვე ლოკატიური მნიშვნელობის მქონე ორმაგი ბრუნვის ფორმები: ჩემსას, შენსას, ჩვენსას, თქვენსას.

კუთვნილებითი ნაცვალსახელები ქართულში იბრუნვის შესაბამისი ფუძის მქონე არსებითი სახელების მსგავსად. შენი და თქვენი წოდებითს ვერ აწარმოებს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რუსული ენის ზეგავლენით გაკეთებულს: თქვენო აღმატებულებავ და მისთ. [შანიძე, 1980:101]. ახალ ბერძნულში კი კუთვნილებითი ნაცვალსახელები უბრუნველებია.

ჩვენებითი ნაცვალსახელები ქართულში სახეობით მრავალფეროვანი, შედგენილობით – ჭრელი, გამოყენების მხრივ – ფართო დიაპაზონის მქონენი არიან [თოფურია, 1979:223]. ჩვენებით ნაცვალსახელთა პირდაპირი დანიშნულებაა სივრცეში ობიექტის კონკრეტიზაცია მოუბარი პირის თვალსაზრისით. ეს მიუთითებს პირველ პირთან მყოფ საგანზე, ეგ გვიჩვენებს მეორე პირთან მყოფს, ის ან იგი ითქმის იმაზე, რომელიც არც პირველ პირთან არის ახლოს და არც მეორესთან. პირთან სიახლოვის გამოხატვის დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ხმოვნებს. როგორც ვიცით, ეს, ეგ, ის//იგი ნაცვალსახელების მონაცვლე ფუძეებია *ამან, მაგან, იმან//მან*. ამ ფუძეებში *ჲ*, *ჳ* და *ღ* ელემენტები გამოხატავენ სივრცულ მიმართებას. *ჲ* – პირველ პირთან სიახლოვეს გამოხატავს, *ჳ* – მეორე პირთან, *ღ* – მესამე პირთან. იგივე *ჲ* და *ღ* ელემენტები გამოიყოფა ძირეულ ზმნისართებში *აქ* და *იქ*, რომელთაც იგივე ფუნქცია აქვთ.

ეს, ეგ, ის//იგი, როგორც ცნობილია, პირის ნაცვალსახელების ფუნქციასაც ასრულებენ. მათთვის დამახასიათებელია ანაფორული მნიშვნელობით ხმარება, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ნაცვალსახელი მიუთითებს ისეთ სიტყვაზე, ზოგჯერ მთელ წინადადებაზეც კი, რომელიც ტექსტში ან მეტყველების დროს უკვე ნახსენები იყო.

მეორე ჯგუფი ჩვენებითი ნაცვალსახელებისა (როგორცაა *ასეთი, ისეთი, ამისთანა, მაგისთანა, იმისთანა, აშნაირი, მაგნაირი, იშნაირი, ამდენი, მაგდენი, იმდენი*) იხმარება ნიშან-თვისებაზე ან რიცხვზე მისათითებლად.

ბერძნულში გვაქვს შემდეგი ჩვენებითი ნაცვალსახელები აუტός (ეს – მამრ. სქ.), აუτή (ეს – მდედრ. სქ.), აუτός (ეს – საშ. სქ.), თούτος (ეს – მამრ. სქ.), თούτη (ეს – მდედრ. სქ.), თούτο (ეს – საშ. სქ.) / მიუთითებს ძალიან ახლოს მყოფ პირზე ან საგანზე/, εκείνος (ის – მამრ. სქ.), εκείνη (ის – მდედრ. სქ.), εκείνο (ის – საშ. სქ.), τέτοιος (ასეთი – მამრ. სქ.), τέτοια (ასეთი – მდედრ. სქ.), τέτοιο (ასეთი – საშ. სქ.), τόσος (ამდენი – მამრ. სქ.), τόση (ამდენი – მდედრ. სქ.), τόσο (ამდენი – საშ. სქ.).

ბერძნულის ჩვენებითი ნაცვალსახელებს ქართულისაგან განსხვავებით არა აქვს უნარი განასხვავოს ამა თუ იმ პირთან სიახლოვე. განსხვავება, რომელიც არის აუტός, აუτή, აუτός და თούτος, თούτη, თούτο ნაცვალსახელებში ძალზე უმნიშვნელოა. ცოცხალ მეტყველებაში ეს ნაცვალსახელები ერთმანეთის მონაცვლედ გამოდის, თანაც თούτος, თούτη, თούτο ბოლო დროს ნაკლებად გამოიყენება, ვინაიდან მას მდაბიო სტილის ელფერი მიეცა [მაკრიჯი/Mackridge, 1990:327]. გარდა ამისა, ჩვენებითი ნაცვალსახელი აუტός, აუτή, აუτός პირის ნაცვალსახელადაცაა გამოყენებული და ითარგმნება როგორც ის. ქართულის მსგავსად, როდესაც ის სინტაგმას ზმნასთან ქმნის – პირისაა, ხოლო როცა სახელთან იხმარება, ჩვენებითია. მაგალითად, აუტός ყράφει (ის წერს), აუტός ο άσθραπος (ეს კაცი).

ჩვენებითი ნაცვალსახელთაგან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ძირეული ნაცვალსახელები. ესენია: *ეს(ე), ეგ(ე), ის(ი), იგი*. ძველ ქართულში გვხვდებოდა *ესე, ეგე* სრული ფორმით, გამარტივებული ფორმები *ეს, ეგ* XIII საუკუნიდან იჩენს თავს, *ისი* ნაცვალსახელი X საუკუნიდან გვხვდება, ძველ ქართულში ეს ნაცვალსახელი არ არის დადასტურებული სახელობითის ფორმით, ოღონდ გვხვდება სხვა

ბრუნვების ფორმები. სავარაუდოა, ცოცხალ მეტყველებაში სახელობითის ფორმაც არსებულებით [სარჯველაძე, 1997:62].

მესამე პირის ჩვენებითი ნაცვალსახელები ორი ვარიანტით არის წარმოდგენილი: *ის // იგი*. ესენი ერთი მნიშვნელობის და ერთი მეორის ბადალი სიტყვებია, მაგრამ წარმომავლობით სხვადასხვა დიალექტის კუთვნილებადაა მიჩნეული. ძველისაგან განსხვავებით, თანამედროვე სალიტერატურო ქართულში უფრო ხშირია *ის*, შედარებით იშვიათია *იგი*. ეს იმით არის გამოწვეული, რომ *ის* დამოუკიდებლადაც გვხვდება, მაგალითად, ის მოვიდა და მსაზღვრელადაც, მაგალითად, ის კაცი მოვიდა, *იგი* კი მსაზღვრელად ამჟამად აღარ იხმარება, ე. ი. აღარც ჩვენებითია. სამაგიეროდ, -ვე ნაწილაკის დართვისას მხოლოდ *იგი* იხმარება. თუმცა ირიბ ბრუნვებში ამავე ნაწილაკთან *ის* ნაცვალსახელის მონაცვლე ფუძეა გამოყენებული, მაგალითად, *იმავე*. არის ზოგი შესიტყვება, რომელშიც მხოლოდ *იგი-ს* შესაფერისი ბრუნვის ფორმაა ნახმარი, მაგალითად, მით უფრო, მით უკეთესი. ზოგ შესიტყვებაში კი, პირიქით, *იგი ის* ნაცვალსახელს ვერ შეცვლის. ასეთია, მაგალითად, გაორკეცებული *ის-ის* ფორმა *იყო* ზმნასთან შეწყობილი: ის-ის იყო.

მესამე პირის ჩვენებითი ნაცვალსახელი *ის* ახალ ქართულში შეკვეცილი სახითაა დაცული, მისი თავდაპირველი ფორმაა *ისი*. ეს ფორმა აღდგება ც ნაწილაკისა და ნ მრავლობითის ნიშნის დართვისთანავე: *ისიც, ისინი*.

მსაზღვრელად ხმარების დროს ჩვენებითი ნაცვალსახელები *ეს, ეგ, ის//იგი* ორ-ორ ფორმას გვაძლევს, რომელთაც თავ-თავისი ფუძე აქვს: *ეს - ამ, ეგ - მაგ, ის//იგი - იმ*. ამ წყვილთაგან პირველი იხმარება სახელობითში, მეორე კი - დანარჩენ ბრუნვებში. განსხვავება რიცხვის მიხედვით არ არის [შანიძე, 1980:102]. ბერძნულის ჩვენებითი ნაცვალსახელები იბრუნვის შესაბამისი დაბოლოების მქონე ზედსართავ სახელთა მსგავსად და, ქართულისაგან განსხვავებით, ფუძეს არ იცვლის.

ძველ ქართულში მსაზღვრელად ხმარებისას ჩვენებითი ნაცვალსახელი უპირატესად მოსდევდა არსებით სახელს, მაგალითად, ძმაჲ დგ. როცა ზედსართავი სახელი ან სხვა მსაზღვრელი არსებითს უსწრებდა, მაშინ ჩვენებითი ნაცვალსახელი არსებითის წინ დაისმოდა, მაგალითად, კეთილი ეს მოძღუარი. თანამედროვე ქართულში ჩვენებითი

ნაცვალსახელი უსწრებს არსებითს, მაგალითად, ეკ კაცი. ძველ ბერძნულში, როდესაც ჩვენებითი ნაცვალსახელი გამოიყენებოდა არსებითი სახელის მსაზღვრელად, იგი ჩვეულებრივ წინ უსწრებდა არსებით სახელს, თანაც არსებითი სახელის წინ აუცილებლად არტიკლი დაისმოდა, მაგალითად, τὸν τὸν βίβλιον (ეს წიგნი), იგივე პრინციპი შეინარჩუნა ახალმა ბერძნულმაც, მაგალითად, αὐτόν ο ἄρθρον (ეს ადამიანი).

ნაწარმოებ ჩვენებით ნაცვალსახელებს მიეკუთვნება: *ასეთი // აგეთი, ესეთი // ეგეთი, ისეთი // იგეთი, ამგვარი, მაგგვარი, ამნაირი, მაგნაირი, იმნაირი, ამისთანა, მაგისთანა, იმისთანა, ამდენი, მაგდენი, იმდენი* და სხვ. ეს ნაცვალსახელები ზმნისართული წარმოშობისაა, ისინი თავისუფლად აწარმოებენ თითქმის ყველა ბრუნვას, გარდა წოდებითისა და მოეპოვებათ მრავლობითი რიცხვის ფორმა.

ჩვენ მიერ დამუშავებული მასალის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ:

1. ყველა ნაცვალსახელი ერთნაირი მნიშვნელობით არის წარმოდგენილი როგორც ქართულ, ისე ბერძნულ ენაში;
2. კუთვნილებითი ნაცვალსახელების ჩამოყალიბების პროცესი ორივე ენაში დაკავშირებულია პირის ნაცვალსახელებთან;
3. ქართული ენის ჩვენებით და პირის ნაცვალსახელთა მჭიდრო ურთიერთკავშირი და მთლიანი დამთხვევა მესამე პირში ასევე დამახასიათებელია ბერძნული ენისათვის;
4. ორივე ენაში პირის ნაცვალსახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოება ხდება არა მორფოლოგიური საშუალებით, აფიქსით, არამედ – სხვა ფუძით;
5. კუთვნილებითი ნაცვალსახელები, თავისი ძირითადი დანიშნულებით, მსაზღვრელი სიტყვებია, როგორც ქართულ, ასევე ბერძნულ ენაშიც;
6. მსაზღვრელი კუთვნილებითი ნაცვალსახელების პოზიცია არსებითი სახელის მიმართ ქართულსა და ბერძნულში განსხვავებულია. ქართულში იგი წინ უსწრებს არსებით სახელს, ბერძნულში კი მოსდევს მას;
7. მსაზღვრელი ჩვენებითი ნაცვალსახელები წინ უსწრებს არსებით სახელს, როგორც ქართულ, ასევე ბერძნულ ენაშიც.

განსხვავება ისაა, რომ ბერძნულში არსებითი სახელი ამ შემთხვევაში აუცილებლად არტიკლთან ერთად გამოიყენება.

რა შეიძლება მივიჩნიოთ ამ ენებში ნაცვალსახელთა ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესების მსგავსების საფუძვლად? ჩვენი აზრით, მიუხედავად ენათა შორის არსებული სხვადასხვაობისა, ისინი ჩვეულებრივ ინარჩუნებენ საერთო ორგანიზმის მთლიანობას, ანუ არსებობს რაღაც უნივერსალური სისტემა, რომელიც დამახასიათებელია ყველა ენისათვის და, შესაბამისად, შესაძლებელია ტიპოლოგიური მსგავსება შეინიშნოს სულ სხვადასხვა სტრუქტურისა და სხვადასხვა ოჯახების ენებს შორის. ჯერ კიდევ ინდოევროპული ენების მკვლევარი ბ. შერცლი აღნიშნავდა: „რატომ არ შეიძლება, რომ ნაცვალსახელები სხვადასხვა ენაში ერთსა და იმავე საფუძველზე აღმოცენებულიყო, თუ მათი წარმოშობის პირობები და მიზეზები ერთნაირი იყო?“ შეიძლება ითქვას, რომ ტიპოლოგიური მსგავსება ქართულ და ბერძნულ ენებს შორის ყველაზე მეტად ნაცვალსახელებში ჩანს.

### **3. 3. მსაზღვრელ-საზღვრული**

#### **ზედსართავი სახელი, რიხვითი სახელი, არტიკლი**

ქართულ ენაში სახელთა ბრუნების დროს ვარჩევთ ორგვარ შემთხვევას: ა) თავისთავადი სახელების ბრუნება და ბ) მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნება. თავისთავად სახელად უპირატესად გამოიყენება არსებითი სახელები, წილობითი რიცხვითები, ზოგიერთი ნაცვალსახელი, საწყისები და მოქმედებითი გვარის მიმღეობები. მსაზღვრელად კი უმეტესად – ზედსართავები, რაოდენობითი და რიგობითი რიცხვითი სახელები, ზოგიერთი ნაცვალსახელი და ვნებითი გვარის მიმღეობები. „თავისთავად სახელს, ეხლება მას მსაზღვრელი, თუ არა, ბრუნვის ნიშნები სრული სახით ექნება წარმოდგენილი; მსაზღვრელს კი ბრუნვის ნიშნები შეიძლება მოეკვეცოს ნაწილობრივ ან სავსებითაც კი“ [შანიძე, 1980:49].

როგორც ვხედავთ, ზოგიერთი მეტყველების ნაწილისათვის მთლიანად ან სიტყვათა გარკვეული ჯგუფისათვის ატრიბუტული განსაზღვრების გამოხატვა ძირითადი სინტაქსური ფუნქციაა [კვაჭაძე, 1996:190-191], მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ მეტყველების

ნაწილები, რომლებიც ჩვეულებრივ წინადადებაში ქვემდებარე-დამატების როლს ასრულებენ, არ შეიძლება გამოიყენებოდეს განსა-ზღვრების ფუნქციით, უბრალოდ, მათთვის ეს ფუნქცია არაძირითადი იქნება. მაშასადამე, ზედსართავი სახელის ძირითადი სინტაქსური ფუნქციაა ატრიბუტული განსაზღვრების გამოხატვა.

ზედსართავი სახელი წინადადებაში გვხვდება დამოუკიდებლად და საზღვრულთან ერთად. წინადადებაში იგი, ჩვეულებრივ, არსებითს ახლავს, მაგრამ არის შემთხვევები, როცა დამოუკიდებლად იხმარება, ეს ხდება ძირითადად სტილისტური მიზნით: ზედმეტი გამეორებისაგან თავის ასარიდებლად.

ახალ ბერძნულში ყოველდღიურ მეტყველებაში ძალზედ ხშირია არსებითი სახელების ზედსართავებად გამოყენების შემთხვევები და პირიქით, ზედსართავების არსებითის ფუნქციით გამოყენება. მაგალითად, εἶδα στο δῆμοί ἐνα γέρο – εἶναι πῶς πῖο γέρος ἀπὸ μένα (ქუჩაში ვნახე მოხუცი (არს. სახ.) – ის ჩემზე მოხუცია (ზედ. სახ.)) [ტრიანდაფილიდისი/Τριανταφυλλίδης, 2002:260-261]. ანალოგიური მდგომარეობა, როდესაც ერთი და იგივე სიტყვა არსებითადაც შეიძლება შეგვხვდეს და ზედსართავადაც, ძველ ბერძნულშიც დასტურდება [ფლოროსი/Φλώρος, 1988:54].

დამოუკიდებლად ნახმარი ზედსართავი სახელი ქართულში იმგვარადვე იბრუნვის, როგორც არსებითი და არსებითი სახელების მსგავსად, ზედსართავ სახელებსაც კუმშვისა და კვეცის ანალოგიური წესები ახასიათებს, ანუ ბრუნების იმავე ტიპებს გვიჩვენებს, რასაც არსებითი სახელები.



ფუძეკუმშვად ზედსართავ სახელთა ბრუნების მაგალითები

	მხ. რ.	მრ. რ.	მრ. რ.
სახ.	მაღალ-ი	მაღლ-ებ-ი	მაღალ-ნ-ი
მოთხ.	მაღალ-მა	მაღლ-ებ-მა	მაღალ-თ-ა
მიც.	მაღალ-ს(ა)	მაღლ-ებ-ს(ა)	მაღალ-თ-ა
ნათ.	მაღლ-ის(ა)	მაღლ-ებ-ის(ა)	მაღალ-თ-ა
მოქმ.	მაღლ-ით(ა)	მაღლ-ებ-ით(ა)	_____
ვით.	მაღლ-ად(ა)	მაღლ-ებ-ად(ა)	_____
წოდ.	მაღალ-ო	მაღლ-ებ-ო	მაღალ-ნ-ო

ფუძეკუმშველ ზედსართავ სახელთა ბრუნების მაგალითები

	მხ. რ.	მრ. რ.	მრ. რ.
სახ.	დიდ-ი	დიდ-ებ-ი	დიდ-ნ-ი
მოთხ.	დიდ-მა	დიდ-ებ-მა	დიდ-თ-ა
მიც.	დიდ-ს(ა)	დიდ-ებ-ს(ა)	დიდ-თ-ა
ნათ.	დიდ-ის(ა)	დიდ-ებ-ის(ა)	დიდ-თ-ა
მოქმ.	დიდ-ით(ა)	დიდ-ებ-ით(ა)	_____
ვით.	დიდ-ად(ა)	დიდ-ებ-ად(ა)	_____
წოდ.	დიდ-ო	დიდ-ებ-ო	დიდ-ნ-ო

კვეცად ზედსართავ სახელთა ბრუნების მაგალითები

	მხ. რ.	მრ. რ.	მრ. რ.
სახ.	მწვანე	მწვანე-ებ-ი	მწვანე-ნ-ი
მოთხ.	მწვანე-მ	მწვანე-ებ-მა	მწვანე-თ-ა
მიც.	მწვანე-ს(ა)	მწვანე-ებ-ს(ა)	მწვანე-თ-ა
ნათ.	მწვან-ის(ა)	მწვანე-ებ-ის(ა)	მწვანე-თ-ა
მოქმ.	მწვან-ით(ა)	მწვანე-ებ-ით(ა)	_____
ვით.	მწვანე-დ(ა)	მწვანე-ებ-ად(ა)	_____
წოდ.	მწვანე-ვ	მწვანე-ებ-ო	მწვანე-ნ-ო

უკვეცელ ზედსართავ სახელთა ბრუნების მაგალითები

	მხ. რ.	მრ. რ.	მრ. რ.
სახ.	ვიწრო	ვიწრო-ებ-ი	ვიწრო-ნ-ი
მოთხ.	ვიწრო-მ	ვიწრო-ებ-მა	ვიწრო-თ-ა
მიც.	ვიწრო-ს(ა)	ვიწრო-ებ-ს(ა)	ვიწრო-თ-ა
ნათ.	ვიწრო-ს(ა)	ვიწრო-ებ-ის(ა)	ვიწრო-თ-ა
მოქმ.	ვიწრო-თი	ვიწრო-ებ-ით(ა)	_____
ვით.	ვიწრო-დ(ა)	ვიწრო-ებ-ად(ა)	_____
წოდ.	ვიწრო-ვ	ვიწრო-ებ-ო	ვიწრო-ნ-ო

რაც შეეხება ახალ ბერძნულს, აქაც დამოუკიდებლად ნახმარი ზედსართავი სახელი იმგვარადვე იბრუნვის, როგორც მსგავსი დაბოლოების მქონე არსებითი სახელები. მაგალითად,

მამრ. სქ.

	მხ. რ.	მრ. რ.
Ον.	ο μεγάλος	οι μεγάλοι
Γεν.	του μεγάλου	των μεγάλων
Αιτ.	το μεγάλο	τους μεγάλους
Κλ.	μεγάλε	μεγάλοι

მდედრ. სქ.

	მხ. რ.	მრ. რ.
Ον.	η μεγάλη	οι μεγάλες
Γεν.	της μεγάλης	των μεγάλων
Αιτ.	τη μεγάλη	τις μεγάλες
Κλ.	μεγάλη	μεγάλες

საშ. სქ.

	მხ. რ.	მრ. რ.
Ον.	το μεγάλο	τα μεγάλα
Γεν.	του μεγάλου	των μεγάλων
Αιτ.	το μεγάλο	τα μεγάλα
Κλ.	μεγάλο	μεγάλα

თუმცა გვაქვს მთელი რიგი ზედსართავი სახელებისა, რომელთაც არსებითებისაგან განსხვავებული, თავისებური ბრუნება ახასიათებს. ძირითადად საუბარია მამრობითი სქესის -ს, -ჩ დაბოლოებიან ზედსართავ სახელებზე, რომლებიც მხოლოდითი რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმას და მრავლობით რიცხვს -ოც, -ო-ზე დაბოლოებული სახელების მსგავსად აწარმოებენ. მაგალითად, ο βαθς – τος βαθς – οι βαθς (ღრმა) [ჭრიანდაფილიდისი/Τριανταφυλλίδης, 2002:261]. ასევე, ბერძნულში არსებობს არაწესიერი ზედსართავი სახელები, რომელთაც ასევე არაწესიერი ბრუნება ახასიათებთ. მაგალითად, ο πολς – η πολλή – το πολς (ბევრი)

მამრ. სქ.

	მბ. რ.	მრ. რ.
Ον.	ο πολς	οι πολλοί
Γεν.	(του πολς, πολλού) <sup>6</sup>	των πολλών
Αιτ.	τον πολς	τους πολλούς
Κλ.	_____	(πολλοί)

მდედრ. სქ.

	მბ. რ.	მრ. რ.
Ον.	η πολλή	οι πολλές
Γεν.	της πολλής	των πολλών
Αιτ.	την πολλή	τις πολλές
Κλ.	_____	(πολλές)

საშ. სქ.

	მბ. რ.	მრ. რ.
Ον.	το πολς	τα πολλά
Γεν.	(του πολς, του πολού)	των πολλών
Αιτ.	το πολς	τα πολλά
Κλ.	_____	(πολλά)

<sup>6</sup> მამრობითი და საშუალო სქესის ნათესაობითი ბრუნვის მხოლოდითი რიცხვი საკმაოდ იშვიათად გვხვდება, ფორმა πολλού მხოლოდ გაქვავებულ ფრაზებს ახასიათებს, მაგალითად, περί πολλού (ბევრის შესახებ).

როგორც ქართულ, ასევე ბერძნულ ენაში ზედსართავი სახელი ხარისხის ფორმებს აწარმოებს. საუბარია, რა თქმა უნდა, ვითარებით ზედსართავ სახელებზე ქართულში და ანალოგიურ ჯგუფზე აღწერით ზედსართავ სახელებზე ბერძნულში. მიმართებითი ზედსართავი სახელები ქართულში ხარისხის ფორმებს არ აწარმოებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა უკვე მიმართებითობა დაკარგული აქვს და ვითარებითად არის ქცეული: „გონ“-ისაგან ნაწარმოები „გონიერი“ და „უგუნური“ ორივე გვაძლევს უფროობითი ხარისხის ფორმებს: უ-გონიერეს-ი და უ-გუნურეს-ი, ასეთივეა ძლიერი, ღონიერი, ბედნიერი, ჭკვიანი და სხვ. [შანიძე, 1980:141-142]. ბერძნულ ენაში კლასიფიკაციის სახელები (რომლებიც ქართულის მიმართებით სახელებს უტოლდება), ასევე ხარისხის ფორმებს არ აწარმოებს. თუმცა აქაც გვაქვს გამოწაკლისები. ეს გამოწაკლისები განპირობებულია იმით, რომ ზოგიერთი ზედსართავი სახელი გამოყენებულია როგორც აღწერითი და კლასიფიკაციის სახელები. მაგალითად, ανάλυτική φιλοσοφία (ანალიტიკური ფილოსოფია), ανάλυτική παρυσίαση – ανάλυτικότερη παρυσίαση (ანალიტიკური პრეზენტაცია – უფრო ანალიტიკური პრეზენტაცია). პირველ მაგალითში *ანალიტიკური* ვითარებითი ზედსართავია, ხოლო მეორეში – მიმართებითი. ძირითადად, ასეთი ზედსართავები კლასიფიკაციის სახელებია, მაგრამ მათი მნიშვნელობა გაფართოვდა და მიიღეს აღწერითის ნიშან-თვისებები, მოწონებისა ან დაწუნების ელფერით. ასეთი ორმაგი მნიშვნელობის ზედსართავი სახელებია, επιστημονικός (სამეცნიერო), σποκειμενικός (სუბიექტური), αντικειμενικός (ობიექტური), μησηκευτικός (რელიგიური), επαναστατικός (რევოლუციის), συναισθηματικός (მგრძნობიარე) და სხვ. [კლე-რისი/Κλαίρης... 2004:49-50].

მიმდევრატაგან ქართულში ხარისხის ფორმები არ იწარმოება, გამოწაკლისებია, თუ ხელოვნურ ენასთან გვაქვს საქმე ან თუ ზმნური გაგება არ არის დაკარგული და მიმდევრატა ზედსართავად არ არის ქცეული. მაგალითად, კეთილშობილი – უკეთილშობილესი, მჯობი – უმჯობესი [შანიძე, 1980:142].

ბერძნულში ვნებითი გვარის მიმდევრატები ხარისხის ფორმებს აწარმოებს ოღონდ იმ განსხვავებით, რომ წარმოება ყოველთვის აღწერითადაა მოცემული πός (უფრო) და πός (ძალიან) ზმნიზედების საშუალებით. მაგალითად, χαρήςμενος (გახარებული) – πός χαρήςμενος (უფ-

რო გახარებული) – πῶς χαίρουμενος (ძალიან გახარებული) – ο πῶς χαίρουμενος (ყველაზე მეტად გახარებული) [ტრიანდაფილიდი-სი/Τριανταφυλλίδης, 2002:273].

მიუხედავად იმისა, რომ ხარისხის ფორმები ორივე ენას გააჩნია და მათი რაოდენობაც ორივე ენაში ერთნაირია ანუ სამი ხარისხით შემოიფარგლება, ხარისხების არსი ქართულ და ბერძნულ ენებში განსხვავებულია. ქართულ ენაში ხარისხის სახელი ჰქვია ისეთ სახელს, რომელიც საგნის ნიშანს გვიჩვენებს მეტი ან ნაკლები ოდენობით. ეს მეტნაკლებობა დამყარებულია ძირეულისა და წარმოქმნილის შედარებაზე. შედარების დროს გამოსავლად აღებული ფორმა (წარმოქმნის თვალსაზრისით ძირეული) მიჩნეულია დადებით ხარისხად (შავი), რომელთანაც შედარებით მასზე მეტი ოდენობის გამომხატველი ფორმა იქნება უფროლობითი (უშავესი) და მასზე ნაკლები კი – ოდნალობითი (მოშავო) [შანიძე, 1980:140]. ბერძნულს თხრობითის საპირისპიროდ ოდნაობითის ფორმა არ გააჩნია, უფროობითის აღსანიშნავად კი მოიპოვება ორ-ორი ფორმა: შედარებითი და აღმატებითი. თანაც აღმატებითი თავის მხრივ ორ ქვეჯგუფად იყოფა: შეფარდებითი აღმატებითი ხარისხი და აბსოლუტური აღმატებითი ხარისხი. აღმატებითი ხარისხის ზედსართავ სახელს ეწოდება შეფარდებითი (σχετικόν), თუკი აჩვენებს, რომ არსებით სახელს, რომელსაც ის განსაზღვრავს, ამ ზედსართავი სახელით გადმოცემული თვისება აქვს, სხვა ყველა ამგვარ არსებით სახელთან შედარებით, ყველაზე უფრო დიდი ხარისხით. მაგალითად, Ο Όλυμπος είναι το ψηλότερο (ან το πιο ψηλό) από τα βουνά της Ελλάδας (საბერძნეთის მთებიდან ოლიმპოსი ყველაზე მაღალი მთაა). აღმატებითი ხარისხის ზედსართავ სახელს ეწოდება აბსოლუტური (απόλυτο), თუკი სხვა არსებით სახელებთან შედარების გარეშე აჩვენებს, რომ არსებით სახელს, რომელსაც ის განსაზღვრავს, აქვს რაიმე თვისება ძალიან დიდი, აბსოლუტური ხარისხით. მაგალითად, Ο Όλυμπος είναι πῶς ψηλός (ოლიმპოსი ძალიან მაღალია).

ქართულში უფროობითი და ოდნაობითი სახელების საწარმოებლად გამოყენებულია პრეფიქს-სუფიქსები: უ – ეს უფროობითისათვის და მო – ო ოდნაობითისათვის. ბერძნულში ხარისხების წარმოება შეიძლება ორგვარად: აღწერითად (περιφραστικά) და ერთსიტყვიანი ფორმის (μονολεκτικά) საშუალებით. ერთსიტყვიან ფორმაში იგუ-

ლისხმება სუფიქსებით წარმოება, შესაბამისად შედარებით ხარისხში გამოყენებულია სუფიქსი -τερος, -τερη, -τερο, ხოლო აღმატებით ხარისხში -τατος, -τατη, -τατο. შეიძლება აღმატებით ხარისხად ქართულში ორი უ-თი ნაწარმოები უფროობითი ხარისხის ფორმები მიგვეჩინა, მაგალითად, *უუმშვენიერესი*, მაგრამ ეს არის ხელოვნური ფორმები, ასეთ უფროობითს გაძლიერებული უფროობითი ეწოდება.

ქართულისათვის, როგორც თანდებულისანი ენისათვის, შედარებითი კონსტრუქციისას დამახასიათებელია შემდეგი რიგი „ნიმუში – შედარების მაჩვენებელი – ზედსართავი“, ხოლო ბერძნულისათვის როგორც წინდებულისანი ენისათვის, შემდეგი რიგი „ზედსართავი – შედარების მაჩვენებელი – ნიმუში“. მაგალითად, ქართ. ნიკო ალექოზე უფრო ლამაზია, ბერძნ. Ο Νίκος είναι αραιότερος από τον Άλεκο, თუმცა ბერძნულში აღწერთი ფორმების შემთხვევაში შესაძლებელია ალტერნატიული რიგიც, „შედარების მაჩვენებელი – ზედსართავი – ნიმუში“, მაგალითად, Ο Νίκος είναι πιο αραίος από τον Άλέκο.

ბერძნულს მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნვისას არ ახასიათებს იმდენი თავისებურება, რაც ქართულში დასტურდება. ძირითადად, როდესაც საუბარია ატრიბუტულ მსაზღვრელზე და ეს მსაზღვრელი ზედსართავი სახელით არის გადმოცემული. ბრუნვის დროს მსაზღვრელ-საზღვრული ისევე იბრუნვის, როგორც ცალკე აღებული სახელი. მსაზღვრელი ეთანხმება საზღვრულს პირში, რიცხვსა და სქესში. მაგალითად,

	მხ. რ.	მრ. რ.
Ον.	ο καλός άνθρωπος	οι καλοί άνθρωποι
Γεν.	του καλού ανθρώπου	των καλών ανθρώπων
Αιτ.	τον καλό άνθρωπο	τους καλούς ανθρώπους
Κλ.	καλέ άνθρωπε	καλοί άνθρωποι

ძველ ქართულში მსაზღვრელი შეიძლება ყოფილიყო დასმული საზღვრულის წინაც და შემდეგაც. ადრინდელ ძეგლებში მსაზღვრელი მეტწილად მოსდევდა საზღვრულს. ორივე შემთხვევაში მსაზღვრელი, უსწრებდა იგი საზღვრულს თუ მოსდევდა მას, იღებდა სრულ დაბოლოებას, ე. ი. ერთნაირად იბრუნებოდა მსაზღვრელიცა და საზღვრულიც [ჯანაშია, 1956:353].

ახალ ქართულში მსაზღვრელი ჩვეულებრივ წინ უსწრებს საზღვრულს და ბრუნებისას მას რიგი თავისებურება ახასიათებს. ე. ი. თანამედროვე ქართულისათვის ჩვეულებრივია წინ მდგომი (პრეპოზიციური) განსაზღვრება, მომდევნო (პოსტპოზიციური) განსაზღვრება კი იშვიათად იხმარება (ისიც უფრო პოეზიაში). განსაზღვრებისა და მისგან განსაზღვრული წევრის იმ წყობას, რომელიც ჩვეულებრივია და გაბატონებულია თანამედროვე ქართულში, პირდაპირი ჰქვია, ხოლო იმ წყობას, რომელიც იშვიათად იხმარება – ინვერსიული ანუ შებრუნებული [კვაჭაძე, 1996:198]. მაგრამ ისტორიული თვალსაზრისით ნორმა საზღვრულ-მსაზღვრელი, ინვერსია კი მსაზღვრელ-საზღვრული.

თუმცა როგორც ჩანს, მსაზღვრელ-საზღვრულის პოსტპოზიციური წყობა არ უნდა ყოფილიყო ბუნებრივი ქართული ენისათვის. ზ. სარჯველაძე აღნიშნავს, რომ ეს არის სემიტურის (კერძოდ, ებრაულის) ზეგავლენა ბერძნულზე და ბერძნულისა ქართულზე. „ბიბლიის წიგნთა ზეგავლენით პოსტპოზიციური ზედსართავი მომრავლებულია ქართული ორიგინალური თუ ნათარგმნი ძეგლების ენაში. სავარაუდოა, რომ ცოცხალ მეტყველებაში ბატონობდა ზედსართავი სახელის პრეპოზიცია. ამას მოწმობს წარწერათა, ანდერძ-მინაწერთა, საისტორიო და იურიდიულ დოკუმენტთა მონაცემები“ [სარჯველაძე, 1997:52].

ახალ ბერძნულში, ისევე როგორც ძველ ბერძნულში, ზედსართავით გადმოცემული განსაზღვრების ადგილი არის არტიკლსა და საზღვრულ სიტყვას შორის. ასევე შეიძლება შეგვხვდეს შემთხვევები, როდესაც ზედსართავი დგას არტიკლით მოცემული არსებითი სახელის შემდეგ. ორივე შემთხვევაში მსაზღვრელი არტიკლით გამოიყენება. მაგალითად, *πᾶν ἄσπε το νερό από το πῶλον κρῦο* (დიდი სიცივით წყალი გაიყინა), *το πᾶλλῆκἀρι το καλὸ ἔχει κι ἄλλο μοισπᾶτι* (კარგმა ვაჟკაცმა სხვა ბილიკიც იცის). თანამედროვე ბერძნულისათვის ჩვეულებრივია პრეპოზიციური წყობა, თუმცა ხშირად გვხვდება პოსტპოზიციური წყობის მაგალითებიც. მაგალითად, *ο επιμελὴς μαθητὴς* (ბეჯითი მოსწავლე) – *ο μαθητὴς ο επιμελὴς* (მოსწავლე ბეჯითი). ამ შემთხვევაში არსებობს მცირეოდენი განსხვავება. პირველ შემთხვევაში, ყურადღება გამახვილებულია ზედსართავ სახელზე, მეორეში კი არსებითზე. პოსტპოზიციური წყობის დროს დიმოტიკი ითხოვს არტიკლის გამეორებას [ფლოროსი/Φλῶρος, 1988:57-58]. შესაბამისად, ზედსართავი სახელის დასმა არსებითი სახელის შემდეგ განსაზღვ-

რული არტიკლით, ზეპირი მეტყველებისათვისაა დამახასიათებელი. არტიკლის ამგვარი გამოყენება ატრიბუტული მსაზღვრელის დროს ასევე დამახასიათებელი იყო ძველი ბერძნულისთვის, მაგალითად, *ὁ ἄσθραπτοι ὁ ἀγαθοί* (კარგი ადამიანები), *ὁ Ζεὺς ὁ Ὀλύμπιος* (ოლიმპიელი ზევსი) [სობოლევსკი/Соболевский, 1948:247]. ტრადიციული ანალიზის თანახმად, როდესაც ზედსართავი სახელი წინ უსწრებს არსებითს, მაშინ საქმე გვაქვს ატრიბუტულ განსაზღვრებასთან, ხოლო როდესაც მოსდევს მას – პრედიკატულთან. ბერძნულ ენაში კი სახელის შემდეგ დასმული ზედსართავი სახელი შეიძლება ატრიბუტულიც იყოს. ეს კი დამოკიდებულია იმაზე, რომ სახელის თვისება უფრო მეტად ხაზგასმულია მაშინ, როდესაც ზედსართავი მოსდევს არსებითს [კლერისი/Κλαίρη... 2004:105]. ქართულში პრედიკატული განსაზღვრება ძირითადად ვნებითი გვარის მიმღეობით არის გადმოცემული, უფრო იშვიათად – საშუალო გვარის მიმღეობითა და სახელით (ზედსართავით, იშვიათად სხვა სახელითაც) [კვაჭაძე, 1996:222]. თანაც პრედიკატულია განსაზღვრება, რომელიც გამოხატავს ისეთ ნიშანს, რომელიც საზღვრულ საგანს ახასიათებს ზმნით გამოხატული მოქმედების შესრულების პროცესში, მაგრამ საერთოდ მისთვის დამახასიათებელი არ არის. ერთი და იგივე სახელი შეიძლება გამოვიყენოთ როგორც ატრიბუტული მსაზღვრელი და პრედიკატულიც. მაგალითად, სულგანაბული ნიბლია შესცქეროდა ალაღს (ატრიბუტული განსაზღვრება), ნიბლია სულგანაბული შესცქეროდა ალაღს (პრედიკატული განსაზღვრება) [კვაჭაძე, 1996:221].

თანამედროვე ბერძნულში გვაქვს შემთხვევები, როდესაც არსებითი სახელი გვხვდება არტიკლის გარეშე ან განუსაზღვრელი არტიკლით *ένα, μια, ένα*, მაშინ ზედსართავით გადმოცემული განსაზღვრება გამოიყენება: ა) არსებითი სახელის წინ, როდესაც ეს სახელი გადმოცემულია ყოველგვარი აქცენტირების გარეშე, მაგალითად, Σοφός ἀσθραπτος. Ένα σοφός ἀσθραπτος (ბრძენი ადამიანი) და ბ) არსებითი სახელის შემდეგ, როდესაც ხდება ამ არსებითი სახელის აქცენტირება, მაგალითად, Ἀσθραπτος σοφός. Ένα ἀσθραπτος σοφός (ბრძენი ადამიანი) [მარძანოსი/Τζατζάνος, 1996:73].

ქართულს ბერძნულისაგან განსხვავებით არტიკლი არ გააჩნია. ძველ ქართულს ახლისაგან განსხვავებით მოეპოვებოდა ნაწევარი, რომელიც უჩვენებდა, რომ სახელი, რომელსაც ის ახლდა, განსა-



ზღვრულია, ცნობილია, გარკვეულია. თუმცა ნაწევარი ძველ ქართულში განსხვავდებოდა ბერძნულის არტიკლისაგან. ამიტომაც ძველ ქართულ ტრაქტატში „სიტყუა ართრონთათჳს“, რომელიც მოღწეულია XII-XIII და XIV საუკუნეების ხელნაწერებით, ავტორი განმარტავს, თუ რატომ არ არის საჭირო ბერძნული არტიკლის გადმოცემა ქართულად თარგმნის დროს: „რამეთუ ჩუენსა ენასა არა გუქონან სახელთა წინა დასასხმელნი ართრონი, ვინაჲცა, რაჟამს გეგულეზოდის ბერძნულსა ართრონიანსა სახელსა თარგმანებაჲ, „ო თეოს“ [ὁ θεός] ესრეთ სთარგმნი, ვითარმედ: „ღმერთი“, რამეთუ არა არს ართრონი ენასა ზედა ჩუენსა და ვერ შესაძლებელ არს თარგმნაჲ მისი, ვინაჲთგან არა არს“ [შანიძე, 1990:134].

მართლაც, ქართული ნაწევარი ძლიერ განსხვავდებოდა ბერძნულის არტიკლისაგან. ნაწევრად ძველ ქართულში იხმარებოდა სამი სიტყვა: *ესე, ეგე, იგი*, რომელთა დანიშნულება იყო ა) გაურკვეველი გაერკვიათ და ბ) აღენიშნათ მისი მიმართება რომელიმე პირისადმი: პირველისადმი (*ესე*), მეორისადმი (*ეგე*), თუ მესამისადმი (*იგი*): სახლი *ესე*, სახლი *ეგე*, სახლი *იგი* [შანიძე, 1976:30]. წარმოშობით ნაწევარი ჩვენებითი ნაცვალსახელია. მართალია, ბერძნულშიც არტიკლის წარმოშობა ჩვენებით ნაცვალსახელებთანაა დაკავშირებული. ამას ჯერ კიდევ ანტიკურობის ცნობილი გრამატიკოსი აპოლონიოს დისკოლოსი აღნიშნავდა,<sup>7</sup> მაგრამ პირისადმი მიმართება მხოლოდ ქართული ნაწევრისთვისაა დამახასიათებელი. რაც შეეხება ბერძნულის არტიკლს, ის მოკლებულია პირის მიმართებას, მაგრამ სამაგიეროდ მას სამი სქესი მოეპოვება: მამრობითი, მდედრობითი და საშუალო. თანაც ბერძნულის არტიკლი წინ უსწრებს არსებით სახელს, ძველი ქართულის ნაწევარი კი მოსდევს მას. ერთადერთი შემთხვევა როდესაც ნაწევარი შეიძლება სახელის წინ გადმოვიდეს, თუ სახელს მსაზღვრელი ახლავს წინ. ნაწევრიანი სახელი ძველ ქართულში ბრუნვა-ნაკლი სახელია, მას არ მოეპოვება წრფელობითი და წოდებითი, იშვიათად გამოიყენება ვითარებითშიც [შანიძე, 1976:42-43]. მაგალითად,

---

<sup>7</sup> დაწვრილებით არტიკლის შესახებ იხ. A. Θ. Φλώρος 1988. Ιστορικό και συγκριτικό συντακτικό αρχαίας, νέας ελληνικής και λατινικής. Αθήνα, 41.

	მხ. რ.	მრ. რ.	მრ. რ.
სახ.	კაცი იგი	კაცნი იგი	კაცები იგი
მოთხ.	კაცმან მან	კაცთა მათ	კაცებმან მან
მიც.	კაცსა მას	კაცთა მათ	კაცებსა მას
ნათ.	კაცისა მის	კაცთა მათ	კაცებისა მის
მიმ.	კაცისა მისა	კაცთა მათ	კაცებისა მისა
მოქმ.	კაცითა მით	კაცთა მათ	კაცებითა მით

ბერძნულში არტიკლს წოდებითის გარდა ყველა ბრუნვისა და ორივე რიცხვის ფორმა გააჩნია.<sup>8</sup> ბერძნული ენის სწავლების დროს განსაკუთრებით ხშირია შეცდომები არტიკლის გამოყენებისას, ვინაიდან ქართულს მეტყველების ეს ნაწილი არ გააჩნია. ამიტომ, ჩვეულებრივ, ბერძნული ენის შემსწავლელთ ახასიათებთ ერთი ტენდენცია – არტიკლის ე. წ. განზოგადება (συνερισκευθη) ანუ ყველგან არსებით სახელთან არტიკლის ზედმეტად გამოყენება. ასე, მაგალითად, ტესტის შედეგებმა აჩვენეს, რომ გამოკითხულთა ნახევარზე მეტს არ ესმის ბერძნულ წინადადებაში სად არის ზედმეტად გამოყენებული არტიკლი.

საზღვრულს ერთდროულად შეიძლება ახლდეს რამდენიმე განსაზღვრება. ქართულში როცა საზღვრულ წევრს ორი ატრიბუტული განსაზღვრება ახლავს, წყობა ორგვარია: ა) ორი ატრიბუტული განსაზღვრებისაგან ერთი უსწრებს საზღვრულს, მეორე კი მოსდევს, მაგალითად, ნელად მოღელავს მოდუდუნე მტკვარი ანკარა (ბარ.), ბ) ორივე ატრიბუტული განსაზღვრება საზღვრული წევრის წინაა, პრეპოზიციულია. ნაცვალსახელითა და რიცხვითი სახელით გადმოცემული განსაზღვრება ჩვეულებრივ პირველ ადგილზეა, ზედსართავითა და მიმღობით გადმოცემული – მეორე ადგილზე. მაგალითად, ფიცხლავ შეიკრიბა ოცდაათი შეიარაღებული ვაჟკაცი (გოგ.) [კვაჭაძე, 1996:200].

ბერძნულშიც ერთ სახელს შეიძლება რამდენიმე განსაზღვრება ჰქონდეს. განსაზღვრებები შეიძლება გამოვიყენოთ კავშირით და კავშირის გარეშეც. ორი ატრიბუტული განსაზღვრების შემთხვევაშიც წყობა ორგვარია, ოღონდ ქართულისაგან განსხვავებით, პირველ

<sup>8</sup> საუბარია განსაზღვრულ არტიკლზე. განუსაზღვრელ არტიკლს მრავლობითი რიცხვის ფორმა არ გააჩნია, ამიტომ მრავლობითში სახელი უბრალოდ უარტიკლოდ იქნება.

შემთხვევაში ორივე განსაზღვრება მოსდევს საზღვრულს, მაგალითად, *Μία πίπα χοντρή μύρη* (Λπ.), (მსხვილი შავი ჩიბუხი). მეორე წყობა კი ემთხვევა ქართულს, აქაც ის პრეპოზიციურადაა წარმოდგენილი, მაგალითად, *Και στα καημένα Γιάννινα μύρη παχύ σκοτάδι* (Ε.), (საბრალო იანიანაში სრული შავი სიბნელე). ბერძნულშიც, ისევე როგორც ქართულში, ნაცვალსახელითა და რიცხვითი სახელით გადმოცემული განსაზღვრება, ჩვეულებრივ, პირველ ადგილზეა, ზედსართავითა და მიმდებრით კი მეორეზე. მაგალითად, *Πολλά αραία μικρά πράγματα*. (Ππδ.) (ზევრი ლამაზი პატარა საგანი).<sup>9</sup>

განსაზღვრება ზოგჯერ გათიშულია საზღვრული წევრისაგან სხვა წევრით თუ წევრებით. ასეთი გათიშვა ჩვეულებრივ ლექსის საჭიროებით არის გამოწვეული, მიმართავენ მას სტილისტური მიზნით [კვაჭაძე, 1996:198]. გათიშულ მსაზღვრელს, მიუხედავად იმისა ხმოვანფუძიანია იგი თუ თანხმოვანფუძიანი, ბრუნვის ნიშნები ყოველთვის სრულად უნდა დაერთოს. მაგალითად, *ჭრელს ჩავიცომდი კაბასა* (ვაჟა) [ჯანაშია, 1956:356]. ბერძნულში მსაზღვრელი ყოველთვის, მიუხედავად იმისა გათიშულია ის თუ არა, სრულად დაირთავს ბრუნვის ნიშნებს.

წინადადებაში ზოგჯერ წარმოდგენილია განსაზღვრება, საზღვრული წევრი კი გამოტოვებულია, მაგრამ კონტექსტის მიხედვით ადვილად იგულისხმება. ასეთ განსაზღვრებას განმარტოებელი განსაზღვრება ჰქვია. განმარტოებელი განსაზღვრება ჩვეულებრივ სუბსტანტიურია. მაგალითად, კაკლის ხეები ეზოებში და *ხილისანი* ბაღებსა და ბაღებში შეიკუნწლა ახალის თოვლის ქულითა (ქავ.) [კვაჭაძე, 1996:198-199].

ანალოგიურად ახალ ბერძნულშიც ხშირად საზღვრული გამოტოვებულია და მის ადგილს მხოლოდ განსაზღვრება იკავებს, რომელიც სუბსტანტიურია. ხშირად ზედსართავი სახელის გასუბსტანტიურება იმდენად ძლიერია, რომ გამოტოვებული არსებითი სახელი აღარც იგულისხმება, მაგალითად, ისეთი სიტყვების შემთხვევაში, როგორცაა *το δειλινό* (საღამო), *το πρωινό* (საუზმე), *ο χαρικός* (სოფელი) და ა. შ. ასეთ დროს არ არის საუბარი ნაკლოვან წინადადებაზე, მაგრამ როდესაც საზღვრული იგულისხმება, მაშინ ზუსტად განმარტოებულ

<sup>9</sup> მაგალითები აღებულია ა. მარმანოსის აღნიშნული ნაშრომიდან.

განსაზღვრებასთან გვაქვს საქმე, მაგალითად, τον ἔδιωξα με μερικὲς γερές (იგულისხმება κλοπιμαί = წიხლები) (რამდენიმე ძლიერით გავაგდე = კინწისკვრით გავაგდე) [ფლოროსი/Φλάριος, 1988:57].

როდესაც მსაზღვრელი რამდენიმე საზღვრულ წევრთანაა დაკავშირებული, ბერძნულში იგი მრავლობით რიცხვში იხმარება, ქართულში კი მხოლობითში. მსაზღვრელის რიცხვითი სახელით გადმოცემისას საზღვრული ქართულში მხოლობითშია, მაგალითად, ორი კაცი, ბერძნულში კი მრავლობითში – δύο άνθρωποι. ამგვარად, ქართულ ენაში რიცხვით სახელთან საზოგადოდ საზღვრული მხოლობითის ფორმით არის წარმოდგენილი [შანიძე, 1980:85], ბერძნულში კი მრავლობითის ფორმით. მრავლობით რიცხვში -ებ ბოლოსართით ნაწარმოებ საზღვრულთან მსაზღვრელი მხოლობით რიცხვშია დასმული (საზღვრულს რიცხვში არ ეთანხმება) და ბრუნვაში ისე იცვლება, როგორც მხოლობითში, მაგალითად, დიდი საქმეები, დიდმა საქმეებმა და ა. შ. [ჯანაშია, 1956:355]. მაგრამ თუ საზღვრული ნარ-თანხანის მრავლობითის ფორმითაა წარმოდგენილი, მაშინ შეიძლება მსაზღვრელიც აწარმოებდეს მრავლობით რიცხვს ძველებური წესით, მაგალითად, მაღალნი მთანი, მაღალთა მთათა და ა. შ. [შანიძე, 1980:83]. ბერძნულ ენაში მსაზღვრელი ეთანხმება საზღვრულს არა მხოლოდ ბრუნვასა და სქესში, არამედ რიცხვშიც. საუბარია, როგორც ძველ ასევე ახალ ბერძნულზე. ამ მხრივ ბერძნული ენის განვითარების ორივე ეტაპზე ერთნაირი მდგომარეობა გვაქვს.

ბრუნებისას ბერძნული ენის მსაზღვრელ-საზღვრული სრულად დაირთავს ბრუნვის ნიშნებს, გამონაკლისს ამ მხრივ რიცხვითი სახელით გადმოცემული მსაზღვრელი წარმოადგენს. რაოდენობითი რიცხვითი სახელიდან ბერძნულში იბრუნვის: ένας, μια, ένα (ერთი), τρεις, τρεις, τρία (სამი) და τέσσερις, τέσσερις, τέσσερα (ოთხი), διακόσια (ორასი) და აქედან მოყოლებული ასეულების აღმნიშვნელი სახელები, χιλιάδα (ათასი) და εκατομμύριο (მილიონი). ორი ან ორზე მეტი რიცხვისაგან შედგენილი კოპოზიტი რიცხვითი სახელები იმგვარად იბრუნვის, როგორც მათი შემადგენელი სიტყვები [ტრიანდაფილიდი-სი/Τριανταφυλλίδης, 2002:277].

ქართულში მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნებისას ორი ტიპია გამოსაყოფი:

ა) I ტიპია, თუ მსაზღვრელი ბოლოხმოვნია და უსწრებს საზღვრულს, იგი უცვლელი რჩება ყველა ბრუნვასა და რიცხვში. ბრუნვისა

და მრავლობითი რიცხვის ნიშნები მხოლოდ საზღვრულს აქვს. ასეთივე მდგომარეობაა მაშინაც, როცა საკუთარ სახელებს მოსდევს გვარი, თანამდებობის ან პროფესიის გამომხატველი სიტყვა.

სახ.	ფართო	ველ-ი
მოთხ.	ფართო	ველ-მა
მიც.	ფართო	ველ-ს
ნათ.	ფართო	ველ-ის
მოქმ.	ფართო	ველ-ით
ვით.	ფართო	ველ-ად
წოდ.	ფართო	ველ-ო

ბ) II ტიპია, თუ მსაზღვრელი ბოლოთანხმოვნია და წინ უსწრებს საზღვრულს. ამ შემთხვევაში იგი ყველა ბრუნვაში იცვლება, მაგრამ ბრუნვის ნიშნებს სრულად არ დაირთავს. ბრუნვის ნიშნები აუცილებლად შენახულია სახელობითსა და წოდებითში და თითქმის ყოველთვის მოთხრობითში. მაგალითად, დიდი კაცი, დიდმა კაცმა, დიდო კაცო. დანარჩენ ბრუნვებში ნიშნები მსაზღვრელს შეიძლება შეეკვეცოს მთლიანად ან ნაწილობრივ: სრულად ეკვეცება მიცემითსა და ვითარებითში, მაგალითად, დიდ კაცს, დიდ კაცად, ნაწილობრივ კი – ნათესაობითსა და მოქმედებითში, მაგალითად, დიდი კაცის, დიდი კაცით. ბოლოთანხმოვნია სახელების ბრუნებისას გვექონდა ოთხი სახეობა:

1. სრული, როდესაც მსაზღვრელი ყველა ბრუნვაში დაირთავს ბრუნვის ნიშნებს, ოღონდ ვითარებითში იღებს მიცემითის ნიშანს, ხოლო მოქმედებითში – ნათესაობითისას;

	<b>I. სრული სახეობა</b>	
სახ.	დიდ-ი	საქმე
მოთხ.	დიდ-მა	საქმე-მ
მიც.	დიდ-ს	საქმე-ს
ნათ.	დიდ-ის	საქმე-ის
მოქმ.	დიდ-ის	საქმე-ით
ვით.	დიდ-ს	საქმე-დ
წოდ.	დიდ-ო	საქმე-ვ

2. გარდამავალი, როდესაც მსაზღვრელს სრული დაბოლოება აქვს მხოლოდ სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში, ბრუნვის ნიშანი მთლიანად მოკვეცილია მიცემითსა და ვითარებითში, ხოლო ნაწილობრივ მოკვეცილია ნათესაობითსა და მოქმედებითში;

II. გარდამავალი სახეობა		
სახ.	დიდ-ი	საქმე
მოთხ.	დიდ-მა	საქმე-მ
მიც.	დიდ	საქმე-ს
ნათ.	დიდ-ი	საქმ-ის
მოქმ.	დიდ-ი	საქმ-ით
ვით.	დიდ	საქმე-დ
წოდ.	დიდ-ო	საქმე-ვ

3. შეკვეცილი, როდესაც სახელობითის, მოთხრობითისა და წოდებითის გარდა სხვა ბრუნვებში ბრუნვის ნიშანი მთლიანად მოკვეცილია;

III. შეკვეცილი სახეობა		
სახ.	დიდ-ი	საქმე
მოთხ.	დიდ-(მა)	საქმე-მ
მიც.	დიდ	საქმე-ს
ნათ.	დიდ	საქმ-ის
მოქმ.	დიდ	საქმ-ით
ვით.	დიდ	საქმე-დ
წოდ.	დიდ-ო	საქმე-ვ

4. ვულგარული, როცა ყველა ბრუნვაში სახელობითის ფორმა აქვს.

II. ვულგარული სახეობა		
სახ.	დიდ-ი	საქმე
მოთხ.	დიდ-ი	საქმე-მ
მიც.	დიდ-ი	საქმე-ს
ნათ.	დიდ-ი	საქმ-ის
მოქმ.	დიდ-ი	საქმ-ით
ვით.	დიდ-ი	საქმე-დ
წოდ.	დიდ-ი	საქმე-ვ

დღევანდელი სალიტერატურო ქართულისათვის ძირითადია გარ-  
დამავალი სახეობა [ჯანაშია, 1956:354-355].

თუ მსაზღვრელად კუთვნილებითი ნაცვალსახელია, მაშინ ერთა-  
დერთ ფორმად სრული სახეობა უნდა იქნეს მიჩნეული მიცემითსა და  
ვითარებითში. მაგალითად, ჩემს ამხანაგს, ჩემს ამხანაგად და ა. შ.  
[ჯანაშია, 1956:356].

ბერძნულ ენაში მსაზღვრელად კუთვნილებითი ნაცვალსახელის  
გამოყენების შემთხვევაში მდგომარეობა განსხვავებულია. თუ  
ზოგადად მსაზღვრელ-საზღვრული ბრუნებისას სრულად დაირთავს  
ბრუნვის ნიშნებს, კუთვნილებითი ნაცვალსახელის შემთხვევაში  
მსაზღვრელი უბრუნველია, მაგალითად, τὸ βίβλιον μὴ, τοῦ βίβλιου μὴ  
(ჩემი წიგნი, ჩემი წიგნის) და ა. შ. როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშ-  
ნული, ბერძნულ ენაში კუთვნილებითი ნაცვალსახელი პირის  
ნაცვალსახელთა სუსტ ფორმას წარმოადგენს და პირისა და კუთვნი-  
ლებითი ნაცვალსახელების ერთმანეთისაგან განსხვავების მიზნით,  
კუთვნილებითი ნაცვალსახელი არსებითი სახელის შემდეგ დაისმის.  
შესაბამისად მას ზედსართავი სახელით<sup>10</sup> გადმოცემული მსაზღვრე-  
ლისაგან განსხვავებით პოსტპოზიციური წყობა აქვს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კუთვნილებითი ნაცვალსახელები  
ძველად მოსდევდა საზღვრულს, მაგალითად, მამაო ჩუენო, ნებაჲ შენი  
და სხვ. ეს ვითარება დღესაც ცოცხალია ზოგიერთი ნათესაობის აღმნი-  
შვნელ სახელთან, როგორცა მამა, დედა და სხვ. [შანიძე, 1980:94].

თუ მსაზღვრელად პროფესიის აღმნიშვნელი სახელია, ძირითად  
ფორმად ბრუნვის ნიშანმოკვეცილი სახეობაა მიჩნეული ნათესაობითსა  
და მოქმედებით ბრუნვებში, მაგალითად, პროფესორ მელიქიშვილის,  
პროფესორ მელიქიშვილით. როცა სახელი და გვარი ერთად იხმარება  
წინადადებაში, სახელი უბრუნველია, ბრუნვის ნიშნებს გვარი მიიღებს.  
ძირითადად, სახელი წინ უსწრებს გვარს, მაგალითად, გრიგოლ  
ორბელიანი, გრიგოლ ორბელიანმა და ა. შ. თანამედროვე სალიტერა-  
ტურო ქართულში იშვიათია შემთხვევები, რომ ადამიანის საკუთარი  
სახელი მოსდევდეს გვარს, თუ მოსდევს, ორივეს უნდა ერთოდეს

---

<sup>10</sup> ბერძნული ენის სინტაქსის შესაბამისად, ზედსართავი სახელით გადმოცემულ  
მსაზღვრელში ზედსართავის გარდა იგულისხმება ზედსართავი ნაცვალსახე-  
ლი, ზედსართავი რიცხვითი სახელი და ზედსართავი მიმღობა [მარძანო-  
სი/Τζαπρζάβοϋ, 1996:69].

ბრუნვის ნიშნები მთლიანად, გარდა საკუთარი სახელისა სახელობითა და წოდებითში [ჯანაშია, 1956:356].

ბერძნულში გვარისა და სახელის ერთდროულად გამოყენების შემთხვევაში, ერთადერთი სწორი წყობა არის პრეპოზიციური, ანუ სახელი წინ უსწრებს გვარს, და სხვა მსაზღვრელ-საზღვრულის ანალოგიით, აქაც სახელიც და გვარიც სრულად დაირთავს ბრუნვის ნიშნებს, მაგალითად, Νίκος Καζαντζάκης, Νίκου Καζαντζάκη და ა. შ.

სინტაქსური კავშირი საზღვრულსა და მსაზღვრელს შორის ქართულში გამოხატულია სამგვარად: შეთანხმებით, მართვითა და მართვა-შეთანხმებით. კავშირი ატრიბუტული მსაზღვრელებისა საზღვრულთან გამოხატულია შეთანხმებით ბრუნვასა და რიცხვში; ნათესაობითი დასმული მსაზღვრელისა, როცა იგი წინ უსწრებს საზღვრულს, მართვით ბრუნვაში, ხოლო როცა მოსდევს საზღვრულს – მართვით ბრუნვაში და შეთანხმებითა ბრუნვასა და რიცხვში [კიზირია, 1956:345]. ბერძნულში კი ორგვარად: შეთანხმებით და მართვით. ატრიბუტული მსაზღვრელი გამოხატულია შეთანხმებით ბრუნვაში, სქესსა და რიცხვში. ხოლო ნათესაობითი დასმული მსაზღვრელი, რომელიც მოსდევს საზღვრულს – მართვით ბრუნვაში.

ნათესაობით ბრუნვაში დასმული მსაზღვრელი შეიძლება იყოს საზღვრულის წინაც და შემდეგაც როგორც ძველ ქართულში, ისე ახალში. ძველ ქართულში იგი უპირატესად მოსდევს საზღვრულს, შედარებით იშვიათად წინ უსწრებს. ახალ ქართულში კი, პირიქით, ჩვეულებრივი წყობაა პრეპოზიციური, პოსტპოზიციური კი იშვიათად გვხვდება.

ბერძნულ ენაში ნათესაობით ბრუნვაში დასმული მსაზღვრელი ე. წ. ετερόπλευτος πρὸς ἑαυτὸν (ბრუნვაში შეუთანხმებელი მსაზღვრელი) შეიძლება იყოს საზღვრულის წინაც და შემდეგაც, როგორც ძველ ბერძნულში, ისე ახალში. ძველ ბერძნულში უპირატესობა არც ერთ წყობას არ ენიჭება. მაგალითად, Πόλεως ψυχῆ οἱ ἴμοι (ქალაქის სული – კანონებია), Οἱ Πελοποννήσιοι δὺς και εἴκοσι ναὺς τῶν Ἀθηναίων ἔλαβον (პელოპონესელებმა ათენელების ოცდაორი გემი აიღეს).<sup>11</sup> მაშინ როდესაც ახალში გაბატონებული წყობაა პოსტპოზიციური, იშვიათად გვხვდება პრეპოზიციური წყობის მაგალითებიც, როგორიცაა Τρίαντα

<sup>11</sup> მაგალითები აღებულია ს. სობოლევსკის ზემოაღნიშნული ნაშრომიდან, 265.



χρόνων κρᾶσι (ოცდაათი წლის ღვინო) [კარანიკოლასი/Καρανικόλας, 2008:39].

როცა ნათესაობით ბრუნვაში დასმული მსაზღვრელი ქართულში წინ უსწრებს საზღვრულს (ახალი ქართულის გაბატონებული წყობა), მსაზღვრელი ყველა ბრუნვაში უცვლელი რჩება. მაგალითად,

სახ.	ძმის	წიგნ-ი
მოთხ.	ძმის	წიგნ-მა
მიც.	ძმის	წიგნ-ს(ა)
ნათ.	ძმის	წიგნ-ის(ა)
მოქმ.	ძმის	წიგნ-ით(ა)
ვით.	ძმის	წიგნად
წოდ.	ძმის	წიგნო

როცა ნათესაობით ბრუნვაში დასმული მსაზღვრელი მოსდევს საზღვრულს (ძველი ქართულის გაბატონებული წყობა), მსაზღვრელი ეთანხმება საზღვრულს, ვითარებითის გარდა, ყველა ბრუნვაში [თოფურია, 1956:358]. ძველად პოსტპოზიციურ მსაზღვრელს ანუ მართულ-შეთანხმებულ მსაზღვრელს ყველა ბრუნვა ჰქონდა, მაგრამ დღეს მას ხუთი ბრუნვა მოეპოვება: სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი, ვითარებითი და წოდებითი [შანიძე, 1980:92]. მაგალითად,

სახ.	წიგნ-ი	ძმისა
მოთხ.	წიგნ-მა	ძმისა-მ
მიც.	წიგნ-ს	ძმისა-ს
ნათ.	_____	_____
მოქმ.	_____	_____
ვით.	წიგნად	ძმისა
წოდ.	წიგნო	ძმისა(ვ)

მართებულად აღნიშნავს ვ. თოფურია, რომ „პოსტპოზიციურად მდგომი მსაზღვრელის ბრუნვაში შეთანხმება საზღვრულთან აუცილებელია იმიტომ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ვიღებთ ე. წ. ღია კონსტრუქციას და არაა გამორიცხული მსაზღვრელის დაკავშირების შესაძლებლობა ფრაზაში სხვა მომდევნო სიტყვასთან; შდრ. ერთმა-

ნეთს: წიგნი ძმისა ამხანაგისთვის მიუცია – წიგნი ძმის ამხანაგისთვის მიუცია“ [თოფურია, 1956:360]. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ პოსტპოზიციური წყობა თანამედროვე ქართულში იშვიათია და გამართლებულია მხოლოდ სტილისტიკური და სინტაქსური ხასიათის საჭიროებით.

ახალ ბერძნულში ნათესაობითში დასმული მსაზღვრელი მოსდევს საზღვრულს. ბრუნებისას ის უცვლელი რჩება, ბრუნვის ნიშნებს მხოლოდ საზღვრული დაირთავს, მაგალითად,

	მხ. რ.	მრ. რ.
Ον.	το βιβλίον του φίλου	τα βιβλία του φίλου
Γεν.	τους βιβλίους του φίλου	των βιβλίων του φίλου
Αιτ.	το βιβλίον του φίλου	τα βιβλία του φίλου
Κλ.	βιβλίον του φίλου	βιβλία του φίλου

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ახალ ბერძნულში პრეპოზიციური წყობა იშვიათია და შეიძლება ითქვას, რომ ერთადერთ გაბატონებულ სახეობად პოსტპოზიციური წყობა უნდა მივიჩნიოთ.

მსაზღვრელ-საზღვრულის თვალსაზრისით საინტერესოა სხვადასხვა ენისათვის დამახასიათებელი უნივერსალიების დადგენა. როგორც ცნობილია, ტრანსფორმაციული გრამატიკის ერთ-ერთ მთავარ მიზანს ენის უნივერსალური ნიშან-თვისებების ე. წ. უნივერსალიების (universalia) დადგენა წარმოადგენს. სიღრმისეული სტრუქტურული ნათესაობა ენებს შორის სწორედ მათ არქექტიპულ სინტაქსურ ფორმებში უნდა ვეძიოთ. ეს არის ენის ე. წ. უნივერსალიები, ე. ი. ზოგადი სტრუქტურული ფორმები, რომლებიდანაც წარმოდგება ადამიანის ენის სხვადასხვა სინტაქსური ფორმები. უნივერსალიების კვლევა დღესდღეობით ენათმეცნიერების, განსაკუთრებით კი ტრანსფორმაციული გრამატიკის, ერთ-ერთ მთავარ საგანს წარმოადგენს [ბაზინიოტისი/Μπαμπινιώτης, 1998:171-172].

სინტაქსური უნივერსალიების დადგენა არსებითად სამი სახის კრიტერიუმს ემყარება: ა) წინდებულებისა ან თანდებულების არსებობა, ბ) სუბიექტის, ზმნისა და ობიექტის რიგი თხრობით წინადადებაში სახელური სუბიექტითა და სახელური ობიექტით. ენათა უმრავლესობას აქვს მითითებული რიგის არა ერთი, არამედ რამდენიმე

ტიპი, მაგრამ, როგორც წესი, ერთ-ერთი მათგანი დომინირებს, გ) თვისების აღმნიშვნელი ზედსართავი სახელის პოზიცია არსებითი სახელის მიმართ: არსებობს დომინანტური რიგი ზედსართავი სახელით არსებითი სახელის წინ და დომინანტური რიგი შებრუნებული წყობით, ზედსართავი სახელით არსებითი სახელის მომდევნოდ [გამყრელიძე... 2008:421-422].

ამ მხრივ, ჩვენ მესამე კრიტერიუმში გვიანტერესებს, რომელიც უკავშირდება მსაზღვრელ ზედსართავ სახელს. ჩვენი კვლევის შედეგად ჩანს, რომ ზედსართავით გადმოცემული მსაზღვრელი, მიუხედავად იმ განსხვავებებისა, რომელიც ორივე ენაში არსებობს, დომინანტური წყობის თვალსაზრისით ერთნაირია ორივე ენაში ანუ მსაზღვრელი წინ უსწრებს საზღვრულს. ასე რომ ქართველი სტუდენტების მიერ ბერძნული ენის შესწავლისას ატრიბუტული მსაზღვრელის შემთხვევაში პრობლემებს ძირითადად არ ვაწყდებით. ეს არის ე. წ. დადებითი ჩარევა, როდესაც ენის შემსწავლელს ავტომატურად გადმოაქვს მშობლიური ენიდან წესები ან ნიმუშები, რომლებიც საერთოა ორივე ენობრივი სისტემისათვის.

რამდენიმე ატრიბუტული მსაზღვრელის გამოყენების შემთხვევაში, როდესაც ეს მსაზღვრელები სხვადასხვა მეტყველების ნაწილით არის გადმოცემული და ჩვეულებრივ წინ უსწრებს საზღვრულს, ყოველთვის გვექნება მეტყველების ნაწილების შემდეგი რიგი: ჩვენებითი ნაცვალ-სახელი, რიცხვითი სახელი და აღწერითი ზედსართავი სახელი, როგორც ქართულ, ასევე ბერძნულ ენაშიც.

რაც შეეხება ნათესაობითში დასმულ მსაზღვრელს აქ განსხვავებული მდგომარეობა გვაქვს, ქართულში გაბატონებულია პრეპოზიციური წყობა, ბერძნულში კი, პირიქით, პოსტპოზიციური. ენების ერთ-ერთ უნივერსალიას ისიც წარმოადგენს, რომ წინდებულიან ენებში გენეტივი თითქმის ყოველთვის მოსდევს მმართველ არსებით სახელს, ხოლო თანდებულიან ენებში იგი თითქმის ყოველთვის წინ უსწრებს მას [გამყრელიძე... 2008:422]. ჩვენს შემთხვევაში ბერძნული ენა წინდებულიანია, ქართული კი თანდებულიანი, ამიტომ ამ ენებისთვის გაბატონებული წყობები ბუნებრივად უნდა მივიჩნიოთ.

## დასკვნა

სხვადასხვა ენობრივი სისტემების კონტრასტული ანალიზი მეტად მნიშვნელოვანია როგორც სამეცნიერო ტიპოლოგიური დასკვნების გამოსატანად, ასევე უცხო ენის შესწავლისა თუ სწავლებისას. მისი მნიშვნელობა განპირობებულია იმით, რომ ძალიან ხშირად ორი სხვადასხვა ენის სისტემის შესწავლა გვამღევეს საშუალებას გავაანალიზოთ ენაში დაფიქსირებული ესა თუ ის მოვლენა და გამოვიტანოთ სათანადო დასკვნები, თუ როგორ შეიძლება მივუსადაგოთ ამა თუ იმ ენობრივ მოვლენასთან დაკავშირებული დებულებები ენის შესწავლას. ამ მხრივ, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, კონტრასტული ანალიზის პრაქტიკული დანიშნულება საკმაოდ დიდია.

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევა ეფუძნება ორი სხვადასხვა სისტემის და სხვადასხვა ოჯახის ენის შედარებით-შეპირისპირებით ანალიზს. კვლევისას გვსურდა გამოგვევლინა როგორც მსგავსებები, ისე განსხვავებები, რაც ამ ორ ენას შორის არსებობს. ენებში არსებულ საერთო დამახასიათებელ ნიშნებს მივყავართ ერთი მხრივ, ტიპოლოგიური უნივერსალიების არსებობამდე, რომელიც, რა თქმა უნდა, შეიძლება სხვადასხვა სახის იყოს: ფორმალური ან კონტენსიური, ხოლო მეორე მხრივ, უცხო ენის სწავლების დროს მივყავართ დადებით ჩარევამდე, ანუ შემსწავლელთ ავტომატურად გადმოაქვთ მშობლიურ ენაში არსებული სტრუქტურა შესასწავლ ენაშიც. განსხვავებები კი იმით არის საინტერესო, რომ საშუალებას გვამღევეს გავაანალიზოთ სხვადასხვა სტრუქტურები და უკეთ შევისწავლოთ, თუ როგორ შეიძლება ამ განსხვავებების ასახვა უცხო ენის შესწავლისას.

გარდა ამისა, განსხვავებების შედეგი უცხო ენის სწავლისას შეიძლება იყოს უარყოფითი ჩარევა, ანუ როდესაც შემსწავლელს გადმოაქვს მშობლიური ენიდან ესა თუ ის ენობრივი მოვლენა, რომელიც სამიზნე ენაში არ არსებობს. ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია უარყოფითი ჩარევის შედეგად დაშვებული შეცდომების გაანალიზება და ამის საფუძველზე ისეთი სახელმძღვანელოს შემოთავაზება უცხო ენის შემსწავლელთათვის, რომელიც ორიენტირებული იქნება განსხვავებული სტრუქტურების შესწავლაზე, და, შესაბამისად, ხელს შეუწყობს შემსწავლელთ თავი აარიდოს ამ სახის შეცდომების დაშვებას.

ასევე სასურველი იქნებოდა შესაბამისი სავარჯიშოებისა და ტესტების შედგენა, რომელშიც ყურადღება გამახვილებული იქნებოდა ენებს შორის არსებულ განსხვავებებზე. ამგვარი სავარჯიშოები ასევე ხელს შეუწყობდა სწავლების დროს მეტად საჭირო განსხვავებების გამოვლენას. ამ მიზნით ჩვენ ჩავატარეთ რამდენიმე სემინარი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტიისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტში ახალი ბერძნული ენის განყოფილების სტუდენტებთან. სემინარების დროს სტუდენტებს დაუროგდათ სხვადასხვა სახის კითხვარები და ტესტები.

ტესტების შედეგები, სადაც განხილული იყო ისეთი გრამატიკული საკითხები, როგორცაა ქართულიდან თარგმნის დროს ბერძნულად სათანადო ბრუნვაში სახელების დასმა, ბერძნულის გრამატიკული სქესის კატეგორია, თანდებულები ქართულში და წინდებულები ბერძნულში, რიცხვის გრამატიკული კატეგორიის გადმოცემა ქართულსა და ბერძნულში, ბერძნული არტიკლის გამოყენება, ატრიბუტული მსაზღვრელ-საზღვრული, ნათესაობითში დასმული მსაზღვრელ-საზღვრული, კუთვნილებითი ნაცვალსახელების პრეპოზიციური და პოსტპოზიციური წყობა და სხვ. ასახულია ნაშრომში, ამიტომ შედეგებზე აღარ შევჩერდებით, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ძირითადი სირთულეები, რასაც აწყდებიან ბერძნული ენის შემსწავლელი ქართველი სტუდენტები, განპირობებულია 1) ერგატიული და აკუზატიური კონსტრუქციის განსხვავებით, 2) სქესის გრამატიკული კატეგორიის უქონლობით ქართულში,<sup>1</sup> და 3) არტიკლის უქონლობით.

---

<sup>1</sup> თუმცა აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ სქესთან დაკავშირებით მოსალოდნელი იყო შეცდომების უფრო დიდი რაოდენობა, ვინაიდან მსგავსი კატეგორია ქართულ ენაში არ არსებობს. ჩვენი აზრით, ეს განპირობებულია იმით, რომ სქესი ინდოევროპულ ენებში გაჩნდა სულიერ და უსულო საგანთა დაპირისპირების შედეგად, ანუ მას საფუძვლად უდევს სახელების სემანტიკური დაყოფა. ქართულისთვის კი დამახასიათებელი იყო სახელების კლას-კატეგორიების არსებობა, რომელიც ასევე სემანტიკურ კლასიფიკაციას ეფუძნება. შესაბამისად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ენაში ჩომპის მიერ გამოყოფილი სიღრმისეული და ზედაპირული სტრუქტურების არსებობის შემთხვევაში სახელების სემანტიკური დაყოფა სულიერ და არასულიერ საგნებად არის სიღრმისეული სტრუქტურა, რომელიც დამახასიათებელია ყველა ენისათვის და შესაბამისად არის ე. წ. უნივერსალური სტრუქტურა, ხოლო სქესის გრამატიკული კატეგორია არის ზედაპირული სტრუქტურა, რომელიც

მსაზღვრელ-საზღვრულის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ დასტურდება გარკვეული ტიპის განსხვავებები, ძირითადად, შეცდომების რაოდენობა თითქმის მინიმუმდღა დაყვანილი. მთავარი განსხვავება აქ ნათესაობითში დასმული მსაზღვრელის შემთხვევაში გვაქვს. ქართულში გაბატონებულია პრეპოზიციური წყობა, ბერძნულში კი პოსტპოზიციური. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ტესტის შედეგებმა აჩვენა, რომ ასეთი წინადადებების თარგმნისას, თუ გარჩევისას სტუდენტები შეცდომებს ძირითადად არ უშვებენ, ასე, მაგალითად, ათკაციან ჯგუფთან ჩატარებული ტესტის შედეგი შემდეგი იყო: ათი კაციდან წინადადების თარგმნისას ათივემ სწორი წყობა აირჩია, ხოლო არსებული წინადადების გარჩევის შემთხვევაში, ცხრა კაცმა სწორი პასუხი გასცა. ამ სახის პასუხები გვიჩვენებს, რომ ენის შესწავლისას არ შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ დავეფუძნოთ კონტრასტულ ანალიზს, უნდა გავითვალისწინოთ ენათაშორისი თეორიაც. როგორც ცნობილია, სელინკერმა<sup>2</sup> განასხვავა შემეცნებითი პროცესის ხუთი სახე, რომელიც განაპირობებს ენათაშორისი სისტემის წარმოქმნას: 1) ენობრივი ჩარევა (language tranfer), რომლის დროსაც მშობლიური ენის სისტემები შემსწავლელს გადმოაქვს მეორე ენაში. კონტრასტული ანალიზი ზუსტად ასეთ ჩარევას გულისხმობს; 2) განზოგადება (over-generalization), როდესაც ხდება სამიზნე ენის წესების ზედმეტად გამოყენება; 3) სწავლების შედეგად ჩარევა (transfer of training), ე. ი. ენათაშორისი სისტემის გარკვეული ელემენტები მასწავლებლის ჩარევის შედეგად ჩნდება. ჩვენს შემთხვევაში, მსაზღვრელ-საზღვრულზე საუბრისას ზუსტად ასეთ ჩარევას აქვს ადგილი, ანუ სტუდენტებს ნასწავლი აქვთ ნათესაობითში დასმული სახელის ბერძნული ენისათვის დამახასიათებელი პოსტპოზიციური წყობა, და შესაბამისად, აქ შეცდომებს აღარ ვაწყდებით; 4) სასწავლო სტრატეგიები (strategies of L2 learning), რომელთაც მოსწავლე მიმართავს სამიზნე ენის სისტემის ასაწყობად, მაგალითად, თარგმანი, გამეორება და სხვ. და 5) კომუნიკაციური სტრატეგიები (communication strategies), როგორცაა, მაგალითად, პერეფრაზირება და სხვ.

---

